საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
17 იანვარი პარასკევი 2014
№ 009 (14 230) ფასი 80 თეთრი

# ჭანტურია, ბოლონია! როგორია?




„გაძეტა დელო სპორტი" ჩვენთვის საინტერესო სატრანსფერო სიახლეს გვამცნობს: სერია A-ს კლუბი „ბოლონია" **გიორგი ჭანტურიასა** და **ნელსონ ვალდესის** შეძენას აპირებს. გამოცემის ინფორმაციით, „ბოლონია", რომელიც ჩემპიონატში 16 ქულით მე-18 ადგილზეა, შეტევის გაძლიერებას აპირებს. ამ მიზნით, გუნდს 30 წლის პარაგვაელი ფორვარდი ვალდესი მიჰყავს. ის „ვერდერში", „დორტმუნდსა" და „ვალენსიაში" თამაშით გვემახსოვრებათ, ბოლოს კი „ალ ჯაზირაში" იყო.

*„ბოლონია მალე დაიმატებს „ვერდერისა" და „დორტმუნდის" ყოფილ ფორვარდს, რომელმაც გაერთიანებულ საემიროებში „გამოიზამთრა". კლუბს ასევე მოსწონს „ვიტესის" ქართველი ფორვარდი გიორგი ჭანტურია. ის 20 წლისაა"*, - წერს „გაძეტა".

„ბოლონიას" **დავიდე ბალარდინი** წვრთნის. გუნდის საუკეთესო ფორვარდი ალესანდრო დიამანტია (სულ რაღაც 4 გოლით). „ტუტო მერკატოსთან" საუბარში ამ ინფორმაციას ადასტურებს ფიფას იტალიელი აგენტი **კლაუდიო კავალიერი**, რომელიც ჭანტურიას საქმეებს კურირებს.

შეგახსენებთ, რომ ადრე საუბარი იყო „ჯენოას" ვარიანტზეც. კავალიერის თქმით, „ბოლონია" ჭანტურიას, სავარაუდოდ, მილიონ ევროდ შეიძენს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ნეიმარი ორმა გაიყვანა, მესიმ ორი გაიტანა


6

ესპანეთის თასზე ხეტაფესთან მატჩის პირველ ტაიმში ნეიმარმა კოჭი დაიზიანა


12

## ანტონი პარიზის მეტროში


12

## ბელგია ქართველით მოდის



11

## იგორი პოლონეთსაც მოუნდა

## შენგელიას ლონდონური გასეირნება



NBA-ს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით „ატლანტა ჰოქსმა" „ბრუკლინ ნეთსს" ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში უმასპინძლა. გამარჯვება ბრუკლინელებს დარჩათ - 127:110.

„ნეთსის" ქართველმა ფორვარდმა **თორნიკე შენგელიამ** 8 წუთი ითამაშა, მეტოქის კალათს ერთხელ შეუტია, 2 ქულა და 3 პასი მიითვალა.

მატჩის ბომბარდირი „ატლანტას" ყოფილი კალათბურთელი, ამჟამად კი „ბრუკლინის" სნაიპერი **ჯო ჯონსონი** გახდა - 29 ქულა.


5

## ზე იწყებს, ვიხილავთ მის ხელში ზემილანს?

პრესკონფერენცია

# ვეტერანების გულისტკივილი: ფეხბურთელები არ არიან და რა ქნას ქეცბაიამ?!

**გუშინ „მიხეილ მესხის“ სტადიონის მედიაცენტრში ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტმა ვაჟა ჟვანიამ და ვეტერანმა ფეხბურთელებმა - მურთაზ ხურცილავამ, ოთარ გაბელიამ და ლევან ნოდიამ პრესკონფერენცია გამართეს. შეხვედრის ანონსში ითქვა, რომ ოთხეული 2013 წლის შეჯამებას აპირებდა. საუბარი სხვა საინტერესო თემებსაც შეეხო.**



მარცხნიდან: ოთარ გაბელია, მურთაზ ხურცილავა, ვაჟა ჟვანია, ლევან ნოდია

## ვაჟა ჟვანია:

- ვეტერანთა კავშირის სლოგანია: „გავუხანგრძლივოთ დამსახურებულ ვეტერანებს სიცოცხლე“. თანხები ყველაფერს სჭირდება - ვეტერანთა ამხანაგურ თამაშებზე გამგზავრებას, იუბილეს ან თუ ვინმე გარდაიცვალა... ახლა დამსახურებული ვეტერანების შრომა დაფასდა და საამისოდ, ფედერაცია ყველაფერს აკეთებს - ოპერაციების გაკეთებაში დაეხმარა ნუკრი კაკილაშვილს, ზორბეგ ებრალიძეს, ვახტანგ კოპალეიშვილს, დავით გოგიას. ფედერაცია აფინანსებს ვეტერანებზე გამოცემულ წიგნებს. დღეს არც ერთი დამსახურებული ვეტერანი მშიერი არ არის. საამისოდ, ბევრს აკეთებენ „ქართუ ჯგუფი“, ფეხბურთის ფედერაცია, სპორტის სამინისტრო, „დინამო“, თბილისის მერია. რომან ფიფიამ „დინამოს“ ვეტერანებს სიცოცხლის ბოლომდე პენსიები დაუნიშნა.

## მურთაზ ხურცილავა:

- ერთადერთი, მერაბ ჟორდანია იყო, მსგავს რაღაცებს რომ აკეთებდა. ზვიად სიჭინავა რომ მოვიდა, ფედერაციის ქონება 15 მილიონად იყო შეფასებული, ახლა კი - 165 მილიონია. არადა, 18 მილიონი ვალი დახვდა.

**- ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპს როგორ შეაფასებთ? რას იტყვით კლუბებში არსებულ ფინანსურ კრიზისზე?**

**მურთაზ ხურცილავა:** - მართალი არ ვიქნები, რომ გითხრათ, დონე მომწონს-მეთქი. უკეთესი იქნება, რომ სტადიონზე მაყურებელმა იაროს. მას ფეხბურთელები იზიდავენ. მაგრამ დღეს ტრიბუნები ცარიელია და ამიტომაც მინდა, რომ ბევრად უკეთესი ჩემპიონატი გვქონდეს.

**ჟვანია:** - ძლიერ ჩემპიონატს კარგი ფეხბურთელები სჭირდება. მაგრამ ისინი მწვრთნელებმა უნდა გაზარდონ. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ბავშვთა ფეხბურთში მათი დონე მოიკოჭლებს. საქართველოში კლუბების ნაწილს კერძო პატრონი ჰყავს, ნაწილს კი მუნიციპალური დაფინანსება აქვს. კერძო კლუბების მესვეურები ბევრ ფულს ხარჯავენ, მაგრამ არ მიწყინონ და, ხშირად, არასწორი მენეჯმენტი აქვთ. მწვრთნელებშიც კვალიფიკაციისა და ინტელექტის დეფიციტი იგრძნობა და მოთამაშეთა პრობლემაც ამის შედეგია. საქართველოში ყოველთვის იზრდებოდნენ დიდი ფეხბურთელები და როგორ დავიჯერო, რომ უცებ ეს გენი გადაგვარდა? ამ გენეტიკას შეგნებულად ან უცოდინარობით კლავენ. მწვრთნელი 18 წლამდე ბავშვს თამაშისას შენიშვნას არ უნდა აძლევდეს. ასეა სამხრეთ ამერიკაში, სადაც მსგავსი საქციელისთვის მწვრთნელს მსაჯი ჯერ ყვითელ ბარათს აჩვენებს, ფედერაცია კი 100 დოლარით აჯარიმებს. გამეორების შემთხვევაში კი წითელ ბარათს აძლევენ და მის საკითხს სადისციპლინო კომიტეტზე განიხილავენ. ფეხბურთს ახასიათებს ინდივიდუალიზმი, ბოლო წლებში კი ამას ბევრი მწვრთნელი კრძალავს. ამერიკაში შენიშვნაა აკრძალული და ჩვენთან 12 წლის ბავშვს მეტოქის მოტყუებას ვუკრძალავთ? ადრე ასეთები რომ არ ხდებოდა, იმიტომაც იყო, „დინამო“ იმ ფეხბურთს აჩვენებდა, რასაც დღეს - „ბარსელონა“. ქართველის ფეხბურთელის საუკეთესო თვისებებზე საკუთარი სურვილით ვამბობთ უარს.

**ხურცილავა:** - ბავშვები ისე დააპროგრამეს, მწვრთნელის მითითების გარეშე, ერთი ნაბიჯის გადადგმას უკრძალავენ. ასე როგორ შეიძლება?! მიუშვი, გაერთოს, გაიხაროს და ითამაშოს. ასე ტექნიკასაც შეიძენს და თამაშის საკუთარ თავზე აღების უნარსაც, რაც დღეს ჩვენს მოთამაშებს ასე აკლიათ. თბილისის „დინამოში“ ისე მივედი, მწვრთნელი არ ვიცოდი, რა იყო და იმას ვაკეთებდი, რაც მინდოდა. მცირე ხნის წინათ, ერთად ვუყურებდით - ბავშვმა ისეთი ფინტები გააკეთა, გულში ჩახუტება მომინდა, არადა, მწვრთნელმა დატუქსა. აბა, 12 წლის ბავშვს პროგრამა რაში სჭირდება?!

**ჟვანია:** - ამიტომ მახარებს ვასილ მაისურაძის გამოჩენა. სამი წელია, მის ნაკრებს ვუყურებთ, რომელიც ტაქტიკურადაც ძლიერია, თეორიულადაც, ფეხბურთელთა ინდივიდუალიზმითაც და ფიზიკურ მომზადებაშიც არავის ჩამოუვარდება. ჰოლანდიას რომ მოუგეს, მაშინ ვთქვი - ქართულ ფეხბურთს სიკვდილი არ უწერია-მეთქი. ამიტომაც ვამაყობთ ფედერაციის მიერ განხორციელებული პროექტებით და მიმაჩნია, რომ სფფ და ქართული ფეხბურთი სწორი გზით მიდის. სიჭინავამ თქვა - 12 სტადიონს გავაკეთებო და გააკეთა.

**ლევან ნოდია:** - თამაშებზე დელეგატის რანგში დავდივარ და თვალში საცემია, რომ თითქმის ყველგან მოედნები გაუმჯობესდა. თამაშის ხარისხს კი სწორედ ეს ზრდის. ჩემი აზრით, 2014/15 წლების სეზონში უფრო მეტი კარგი ფეხბურთელი გამოჩნდება. არ შეიძლება ჩავარდნა ასე დიდხანს გაგრძელდეს.

**- სად უნდა გაიზარდონ მოთამაშეები, როცა ფეხბურთს აღარ ეკუთვნის „შევარდენისა“ და ავლაბრის სტადიონები, „სინათლე“, ძველი 35-ე სკოლა, „ირაო“, „ლოკომოტივის“ ბაზა, ვერის ბაღის სტადიონი ავტოფარეხად გადააქციეს და მის ალტერნატივად აშენებული მოედანი კი ფასიანია. ამ საკითხში საფეხბურთო სამყაროს მეტი სოლიდარობა მოგეთხოვებათ.**

**ხურცილავა:** - თბილისში 6 საფეხბურთო ცენტრი მოისპო, პლუს ამას, სტადიონები არ არის ზუგდიდსა და ბათუმში. მაგრამ სიჭინავას დროს გაცილებით მეტი აშენდა. 5-ის ნაცვლად, 7 ნაკრები ჩამოყალიბდა. შესაძლოა, თბილისმა ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც უმასპინძლოს. ეს პატარა საქმე არ არის.

**ოთარ გაბელია:** - ძველ 35-ე სკოლაში მსოფლიო დონის ფეხბურთელები გაიზარდნენ და მის ადგილას ბაზრის მშენებლობა რომ დაიწყეს, ამაზე „ლელოში“ ბევრჯერ დაიწერა, მაგრამ ვინ მოგვისმინა?! 35-ე სკოლასა და ავლაბრის სტადიონსაც კერძო მეპატრონეები ჰყავდათ და კანონით, ვერაფერს ვეტყვით, გაყიდეს და სხვა ობიექტებს აშენებენ. საერთოდ, ფეხბურთისთვის მერაბ ჟორდანიამაც გააკეთა რაღაც და უმცროსმა ნოდარ ახალკაცმაც, სიჭინავა და დღევანდელი ფედერაციაც ბევრს აკეთებენ - არასოდეს ჰქონია ნაკრებებს ის პირობები, რაც ბოლო დროს ჰქონდა. ჩივაძის მწვრთნელობისას, ბიჭები წყალს აცხელებდნენ და ისე იბანდნენ. ეროვნულ ნაკრებს შედეგი არ აქვს. ნუ ეწყინებათ ფეხბურთელებს, მაგრამ საფრანგეთისა და ესპანეთის დონის მოთამაშეები არ გვყავს.

**- რამდენად შეესაბამება თემურ ქეცბაიას ხელფასი მის კვალიფიკაციასა და შედეგს?**

**ჟვანია:** - ქეცბაიასთვის 10 მილიონიც რომ მიეცათ, ამ ნაკრებს მსოფლიოზე მოხვედრის შანსი მაინც არ ჰქონდა და ვერც ეს ფეხბურთელები გააკეთებდნენ მეტს. ისიც ცოტაა, რასაც აძლევენ, რადგან მწვრთნელობისთვის ჯანმრთელობას, ნერვებს ხარჯავს...

**ნოდია:** - ქეცბაიამ რაც ილაპარაკა, ეს იყო საქმისადმი პროფესიული მიდგომა. ნაკრებში ფეხბურთელი ზედმეტი წონით რომ ჩამოდის, რომელ წარმატებაზეა ლაპარაკი?! გუნდში სათამაშო დისციპლინა უნდა იყოს.

**- 2015 წელს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. მასში მონაწილეობა სფფ-ს გენერალურ მდივან რევაზ არველაძეს სურს. „ვეტერანთა კავშირი“ მას დაუჭერს მხარს? საერთოდ, როგორ პრეზიდენტს ისურვებდით?**

**ჟვანია:** - მანამდე დიდი დროა. დაველოდებით, ვნახავთ, ვინ იქნებიან კანდიდატები, რა პროგრამას წარმოადგენენ და მერე გადავწყვეტთ, ვის მივცეთ ხმა.

**მერაბ მამულაშვილი**

---

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბათუმისა და თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბების ვეტერანი ფეხბურთელი**

**სტეფანე (კუკური) რამიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

*პანაშვიდი: 20.01; დაკრძალვა: 21.01. ბათუმი, კოპალაძის, 9.*

---

**საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ სამძიმარს უცხადებს ჩვენი გუნდის ვეტერან ფეხბურთელს გია ფირცხალავას დის გარდაცვალების გამო.**

*პანაშვიდი: 17.01; მისამართი: ი. ჭავჭავაძის II ჩიხი, 4/8. გამოსვენება: 18.01. ვერის სასაფლაოს ეკლესიიდან ,14 საათზე.*

---

მეტალურგი

# რუსთაველთა საყურადღებოდ!..

ხალხმრავლობა იყო გუშინ რუსთავის „ფოლადის“ სტადიონზე: „მეტალურგის“ ბედ-იღბლით შეწუხებული რუსთაველი გულშემატკივრების „მშვიდობიანი და ხმაურიანი აქცია“ ქალაქში არსებული მსხვილი საწარმოს ხელმძღვანელთა „გასაგონად“ უფრო იყო მიმართული; მით უფრო, რომ გუშინ „ფოლადის“ სტადიონს ქართული ელექტრონული თუ ბეჭდური მედიის არცთუ მცირერიცხოვანი ჯგუფიც სტუმრობდა...

...ჰო, ფინანსურად ნამდვილად არ ულხინს „მეტალურგს“ დღესდღეობით და ამის დასტურად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ გუნდიდან... 15 ფეხბურთელი წავიდა!

აი, ასეთ, მართლაც ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოუწია გუნდის ჩაბარებამ „მეტალურგის“ ახალ მთავარ მწვრთნელს **ვარლამ კილასონიას**; მშობლიური ქალაქის გუნდის თავკაცად ოთხწლინახევრიანი პაუზის მერე დაბრუნებულ კილასონიას „მეტალურგის“ მზადებასა თუ პოტენციურ ახალწვეულებზე არც არაფერი დავეკითხეთ, - დღე არ გავა, „მეტალურგის“ ძველი შემადგენლობიდან ფეხბურთელმა სხვაგან წასვლის სურვილი არ გამოთქვას.

თუმცა, საწვრთნელი პროცესი მაინც მიმდინარეობს: პირველ ეტაპზე მოასპარეზე გუნდიდან დარჩენილი რვა ფეხბურთელი (**გრიგოლ ბედიაშვილი, კოკა სეფიაშვილი, მიხეილ მახვილაძე, გიორგი ქავთარაძე, დენის დობროვოლსკი, გიორგი ვასაძე, გიორგი ჩირგაძე, დავით საჯაია**) პლუს „მეტალურგის“ დუბლებიდან დაწინაურებული პერსპექტიული ჭაბუკები და უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებიდან სინჯებზე მყოფი რამდენიმე მოთამაშე 11 იანვრიდან „ფოლადზე“ ემზადება.

ოფიციალურად კი გუნდში ჯერჯერობით ერთადერთი ახალწვეულია: ცხინვალის „სპარტაკიდან“ მშობლიური ქალაქის გუნდში გადმოვიდა 21 წლის **ვარლამ კილასონია** (უმცროსი); დიდი ალბათობით, ასეთივე „მარშრუტი“ ექნება კიდევ ერთ ახალგაზრდა შუახაზელს, რუსთავის საფეხბურთო სკოლის აღზრდილს 20 წლის **კახა კაკაშვილს**. მოკლედ, წამსვლელთა ვინაობა დღითი დღე იზრდება, აი, მათი შემცვლელების ვინაობა კი ჯერჯერობით უცნობია.

არადა, საქართველოს ორგზის ჩემპიონი გუნდი და, საერთოდაც, ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული ქართული კლუბი ახალი სეზონის დაწყებას, ბევრისგან განსხვავებით, მყარი და, რაც მთავარია, არცთუ მცირე ბიუჯეტით შეხვდა. თუმცა, უკვე სეზონის მსვლელობისას მოვლენები აშკარად არასასურველი სცენარით წარიმართა და ამ ყველაფრის თაობაზე, ალბათ, სჯობს, რომ „მეტალურგის“ დირექტორს **ზაზა დოლიძეს** მოვუსმინოთ:



ზაზა დოლიძე
ნინო გელაშვილის ფოტო

*„შარშან ზაფხულში, ჩვენი კლუბის დამფინანსებელმა, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ ერთწლიანი ბიუჯეტი დაგვიმტკიცა 3 მილიონი ლარის ოდენობით; მოგეხსენებათ, რომ „მეტალურგმა“ სეზონის დაწყებამდე ნაყოფიერი შეკრება გაიარა უცხოეთში. აგვისტო-სექტემბრის თვეში ჩვენს გუნდს არანაირი პრობლემა არ ჰქონია კვების, მგზავრობის, სასტუმროში დაბინავების, ხელფასებისა თუ პრემიების მხრივ. სამწუხაროდ, ოქტომბრის დასაწყისიდან თვითონ მეტალურგიულ ქარხანაში წარმოიქმნა შიდა პრობლემები და, როგორც აღმოჩნდა, საფეხბურთო კლუბის შენახვა ჩვენი სპონსორისათვის „მძიმე ტვირთი“ აღმოჩნდა. ოღონდ, ისე არავინ გაიგოს, თითქოს, ჩვენს მთავარ დამფინანსებელ ორგანიზაციას რაიმეში ვსაყვედურობ: პირიქით, თავიანთი შიდა პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქარხნის წარმომადგენლები რუსთავის ხელმძღვანელებსაც შეხვდნენ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებსაც და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროც არ დავიწყებიათ. მოკლედ, მათთვის სულერთი ნამდვილად არ იყო „მეტალურგის“ ბედ-იღბალი და, მიუხედავად საკუთარი პრობლემებისა, მაინც აგრძელებენ ჩვენს დაფინანსებას. ოღონდ, წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით, თანხა საგრძნობლად ნაკლებია და ნახევარ მილიონ ლარს შეადგენს. ეს ყველაფერი ძირითად გუნდზეა გათვლილი, თუმცა, ყველა ვხვდებით, რომ სერიოზული მიზნების მისაღწევად აშკარად არასაკმარისია და რუსთაველ ქომაგთა დღევანდელი აქციაც ამას ემსახურება. რუსთავში არაერთი მსხვილი თუ საშუალო წარმატებული საწარმოა და სწორედ მათი დაინტერესება სურთ „რუსთავის ქომაგთა კავშირის“ წარმომადგენლებს. აქვე, იმასაც ვიტყვი, რომ ბოლო წლების განმავლობაში პირველი შემთხვევაა, „მეტალურგში“ ამდენი ადგილობრივი ფეხბურთელი რომ ითამაშებს, პლუს, მთავარი მწვრთნელიც ადგილობრივი გახლავთ და ყოველივე ამან გარკვეული ინტერესიც უნდა გამოიწვიოს. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ასეთი მძიმე სიტუაციის მიუხედავად, უყურადღებოდ არ ვტოვებთ რუსთავის ფეხბურთის „ხვალინდელ დღეს „- რუსთავის მერიამ გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი მდგომარეობა და ნელინადში 200 000 ლარის ჩარიცხვას დაგვპირდა. ეს თანხა მთლიანად მოხმარდება ჩვენი კლუბის ახალგაზრდულ სეგმენტს: ჭაბუკთა და ელიტ-ლიგის ორ-ორ ასაკობრივ გუნდს ტრანსპორტირების, ეკიპირებისა და კვების პრობლემა მოხსნილი ექნებათ, ისე როგორც ამ გუნდების მწვრთნელების ანაზღაურების საკითხი იქნება დადებითად გადაწყვეტილი. გარკვეული შეღავათი იქნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისაგან გამოყოფილი დახმარებაც: მოგეხსენებათ, თავდაპირველად ამ ჩემპიონატში საპრიზო ფონდის სახით მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, რასაც კიდევ 600 000 ლარი დაემატა და სფფ-ს ხელმძღვანელთა კეთილი ნებით, ეს თანხა 12-ვე გუნდზე თანაბრად განაწილდება. შესაძლოა, დიდი ციფრი არ იყოს, მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში აღმოჩენილი გუნდისათვის მაინც შვებაა. ამ ყველაფრის მიუხედავად, მთლად უიმედოდ მაინც არა ვარ და სიტუაციის გამოსწორებაც არავის გაუკვირდეს. როგორც ამჩნევთ, გუნდში საწვრთნელი პროცესი ჩვეული გრაფიკით მიმდინარეობს, ისე როგორც სელექცია და ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ „მეტალურგმა“ მეორე ეტაპისათვის მზადება თურქეთში გაიაროს“.*

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპის შეჯამება — ტორპედო

# რადიკალიზმის შედეგი

პირველ ეტაპზე ყველაზე არაერთგვაროვანი და ყველაზე არაპროგნოზირებადი „ტორპედოს" ასპარეზობა იყო: შემადგენლობის რადიკალურად გაახალგაზრდავების გამო, სეზონის დაწყებამდე გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ვუწინასწარმეტყველეთ (რაზეც, თურმე, ქუთათურ ქომაგთა ნაწილი აღშფოთებულა), თუმცა მოვლენები აშკარად საპირისპიროდ განვითარდა და მეათე ტურამდე „ტორპედო" უკვე ფავორიტთა შორისაც მოიხსენიებოდა!

მაგრამ, მართლაც მშვენიერ დასაწყისს ერთობ წარუმატებელი სერია მოჰყვა და საქართველოს ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა და დიდი ისტორიის მქონე გუნდმა პირველი ეტაპი IX ადგილზე დაამთავრა. იყო თუ არა ეს შედეგი ლოგიკური? რამდენიმე ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გათვალისწინებით, მაინც მიგვაჩნია, რომ საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკურად წარიმართა! ყოველ შემთხვევაში, ვერ გაგვიხსენებია მსგავსი პრეცედენტი, როცა ამა თუ იმ გუნდის შემადგენლობის თითქმის 90-პროცენტით გაახალგაზრდავებას უმოკლეს დროში სასურველი შედეგი მოეტანოს.

არადა, არავინ უარყოფს, რომ სეზონის დაწყებამდე თბილისის „ლოკომოტივიდან" „ტორპედოში" გადასული 18-19 წლის ბიჭები ერთიმეორეზე პერსპექტიულები არიან; მაგრამ იმის საფუძვლიანი შიშიც გვქონდა, რომ ეს ნიჭიერი ბიჭები ჩვენი ჩემპიონატის „მარათონსა" თუ შემჭიდროებული გრაფიკით ასპარეზობისას ყველა მატჩს ერთ დონეზე ვერ ჩაატარებდნენ.

სამწუხაროდ, ასეც მოხდა: ასევე თბილისის „ლოკომოტივიდან" გადმოსული მთავარი მწვრთნელის, ესპანელი სპეციალისტის ჟერარდ სარაგოსას ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ტორპედომ" მართლაც ჩინებული სტარტი აიღო და ცხრა ტურის შემდეგ არც ერთი წაგება არ ჰქონდა! ერთ სიამოვნებად ღირდა ახალგაზრდა ტორპედოელების ლაღი და გააზრებული თამაშების ცქერა, მაგრამ X ტურის მერე სიტუაცია რადიკალურად და, რაც ყველაზე საწყენია, კატასტროფულად უკიდურესობისაკენ შეიცვალა!

ჰო, ჯერ იყო დრამატულზე-დრამატული მარცხი უპრინციპულეს მეტოქე „დინამოსთან", როცა რიცხობრივ უპირატესობაში მყოფმა „ტორპედომ" გადამწყვეტი გოლი ბოლო წამებზე გაუშვა; ამას მოჰყვა ზედიზედ... ოთხი მარცხი და მართალია, ოთხივე მატჩი ქუთათურთა საყვარელ გუნდს ერთიმეორეზე ძლიერ მეტოქეებთან ჰქონდა, „ტორპედოს" სატურნირო მდგომარეობა ნელნელა უარესდებოდა: სულ ცოტა ხნის წინათ, ლამის ჩემპიონობის კანდიდატად შერაცხილ გუნდს უკვე პირველი ექვსეულის დატოვების საფრთხე დაემუქრა...

„სპარტაკთან" ჩემპიონატში მოგებული მატჩი „მცირე გამონათებასავით" გამოდგა - „ტორპედომ" პირველი ეტაპის დარჩენილი სამივე მატჩი წააგო და ზამთრის პაუზასაც გუნდი... IX ადგილზე შეხვდა. აქვე, გამოუცდელობის გარდა სხვა ობიექტური მიზეზებიც უნდა ვახსენოთ: სეზონის დასაწყისში მძიმედ დაშავდა გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ვაჟა ტაბატაძე, ძალიან ბევრი გაუცდა ნიჭიერ ფორვარდს ნიკა საბანაძეს, რომელსაც, წესითა და რიგით, გუნდის ლიდერობა უნდა ეტვირთა.

ამას გარდა, არცთუ სასურველი ეფექტი გამოიწვია ჟერარდ სარაგოსას მიერ განხორციელებულმა ხშირზე-ხშირმა როტაციამაც: ესპანელ სპეციალისტს თითქმის ყოველი წაგებული მატჩის მერე რადიკალური ცვლილებები შეჰქონდა ძირითად შემადგენლობაში და ამა თუ იმ ფეხბურთელსაც ხშირად უცვლიდა ამპლუას. საბოლოოდ კი, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ყველა ვარაუდობდა: პირველი ეტაპის ბოლო ტურის მატჩი („ვიტ ჯორჯიასთან") ჟერარდ სარაგოსასთვის უკანასკნელი აღმოჩნდა „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის რანგში და ესპანელი სპეციალისტიც სამშობლოში გაემგზავრა.


ჟერარდ სარაგოსა

## მეკარე

თითქმის სამწლიანი პაუზის მერე ძირითადი მეკარის სტატუსი კვლავ დაიბრუნა **მაქსიმე ქვილითაიამ,** რომელიც „ტორპედოში" ყველაზე ასაკოვანი გახლდათ პირველ ეტაპზე. 28 წლის ქვილითაია გუნდის კაპიტნის რანგშიც მოგვევლინა და მისი საიმედო თამაშის დამსახურებაც იყო ტორპედოელთა წარმატებული სტარტი.

სამწუხაროდ, პირველი ეტაპის დასკვნით ნაწილს, ისე როგორც მთელ გუნდს, ქვილითაიასაც ვერ ჩავუთვლით აქტივში; თუმცა, ეს ფაქტი ამ მეკარის შესაძლებლობებს სულაც არ აკნინებს და ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ მეორე ეტაპიდან ქვილითაია „ზუგდიდს" უნდა დაეხმაროს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში.

ჰო, ამჟამად „ტორპედოს" ახალი და, თანაც, როგორი მეკარე ჰყავს: ბოლო წლების ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი გოლკიპერი **როინ კვასხვაძე** თავის კარიერაში პირველად მოირგებს მშობლიური ქალაქის გუნდის მაისურას!

## დაცვა

...IV ტურის მატჩის („სპარტაკთან") დასაწყისში „ტორპედოს" ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ **ვაჟა ტაბატაძემ** უმძიმესი ტრავმა მიიღო და, როგორც შემდგომ გაირკვა, ქუთაისელთა გუნდისათვის ეს უმძიმესი და აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა; 22 წლის ტაბატაძეს სხვადასხვა პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით შეუძლია ასპარეზობა, თუმცა ყველაზე ხშირად მაინც მარჯვენა მცველად უწევდა თამაში.

მის არყოფნაში, უფრო ხშირად ამ პოზიციაზე 19 წლის **დავით მთივლიშვილი** ასპარეზობდა, ან კიდევ - 18 წლის **ნიკა ჭანტურია;** თუმცა, ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი ნიკა ჭანტურია ცენტრალური მცველის პოზიციაზეა უფრო სასარგებლო.

რაც შეეხება დაცვის მარცხენა ფლანგს, აქ, ფაქტობრივად ალტერნატივა არ ჰყავდა „ვიტ ჯორჯიადან" გადმოსულ 19 წლის **დავით უბილავას.** ტრავმების გამო ყველა მატჩი ვერ ჩაატარა გუნდის ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა, 27 წლის **ზაზა ჭელიძემ** და მის არყოფნაში ერთ-ერთ ცენტრალურ მცველად საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წევრს, 19 წლის **ნიკა სანდოხაძეს** უწევდა თამაში.

აი, მეორე ცენტრალურ მცველზე კი მართლაც ცალკე უნდა ვისაუბროთ: მძიმე ტრავმებისგან განამებულ **გიორგი ხიდეშელს** ამ სეზონამდე, ფაქტობრივად, ორი წელიწადი არ ჰქონდა ნათამაშები და აი, თავის ახალ გუნდში მშვენიერი დაბრუნებაც მოიწყო! 25 წლის ტანმაღალი მცველი „ტორპედოს" ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა და არც ის იყო შემთხვევითი, „ლელომ" პირველი ეტაპის „სიმბოლურ ნაკრებში" რომ შეიყვანა და არც ის ფაქტი, ამიერიდან ეს უნივერსალი ფეხბურთელი თბილისის „დინამოში" რომ აგრძელებს კარიერას.

## ნახევარდაცვა

ჟერარდ სარაგოსა ხშირ შემთხვევაში ორი საყრდენი ნახევარმცველით ასპარეზობდა და ამ პოზიციაზე უკონკურენტო იყო ორი ახალგაზრდა: 19 წლის **მათე ცინცაძე** და 20 წლის **მერაბ გიგაური;** ხშირად უწევდა თამაში კიდევ ერთ პერსპექტიულ „საყრდენს", 18 წლის **გიორგი გოროზიას.**

აი, რაც შეეხება 26 წლის **ნიკა ფირცხალავას,** ამ გამოცდილ შუახაზელს ჟერარდ სარაგოსა ნაკლებად ენდობოდა; ისე როგორც, უდავოდ ნიჭიერ და ერთობ ტექნიკურ შემტევ ნახევარმცველს, 18 წლის **ნიკა ახვლედიანს.**

სამწუხაროდ, არაერთგვაროვანი იყო გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, ერთობ ფართო დიაპაზონის მქონე გამთამაშებლის, 21 წლის **გიორგი კუხიანიძის** ასპარეზობა პირველ ეტაპზე; არადა, ქუთაისელ ქომაგთა ერთ-ერთ საყვარელ ფეხბურთელს აშკარად შეუძლია ბევრად უკეთ და ეფექტიანად თამაში...

## თავდასხმა

ზემოთ, ჟერარდ სარაგოსას ხშირი როტაცია ვახსენეთ და ეს, განსაკუთრებით, თავდასხმის რგოლს ეხება. ასე, მაგალითად, სხვადასხვა პოზიციაზე უწევდათ ასპარეზობა საკმაოდ პერსპექტიულ შემტევებს, 22 წლის **ნიკა საბანაძესა** და 20 წლის **გიორგი ფანცულაიას.**

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ახალგაზრდა ფორვარდს წინა სეზონში ბევრად უფრო მეტი სათამაშო დროც ჰქონდათ და, შესაბამისად, უფრო კარგადაც წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები.

ასევე სხვადასხვა ამპლუაში ვხედავდით „ტორპედოს" ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო ახალწვეულს, 21 წლის **თორნიკე კაპანაძეს** - ეს ტანმორჩილი ფორვარდი გიორგი ხიდეშელთან ერთად პირველ ეტაპზე გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელადაც უნდა მივიჩნიოთ. სხვათა შორის, ხიდეშელის მსგავსად, „ტორპედოში" გამოჩნდა ტრავმებისაგან განამებული კიდევ ერთი ჩინებული მონაცემების მქონე ცენტრფორვარდი, 25 წლის **რევაზ ბარაბაძე.**

რაც შეეხება საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ცენტრფორვარდს, 18 წლის **რევაზ ჯიქიას,** ამ ბომბარდირული თვისებებით დაჯილდოებულ ერთობ პერსპექტიულ თავდამსხმელს (ისე როგორც ერთობ ტექნიკურ შემტევს **მამია გავაშელიშვილს**) ძირითადში თამაში ნაკლებად უწევდა.

## საუკეთესო მატჩი

მეორე ტურში ახალგაზრდულმა „ტორპედომ" დრამატული მატჩის „შემობრუნება" შეძლო და იმერულ დერბიში სტუმრად აჯობა „ზესტაფონს"; ამას გარდა, უდავოდ, აქტივში უნდა ჩავუთვალოთ გუნდს „ვიტ ჯორჯიასთან" დიდი ანგარიშით მოგებული საშინაო შეხვედრაც; თუმცა, ჩვენი აზრით, პირველ ეტაპზე „ტორპედოს" ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი X ტურში, თბილისში ჩატარებული „ელ კლასიკო" იყო. ჰო, წაგების მიუხედავად, ახალგაზრდულმა „ტორპედომ" მართლაც მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა!

## ყველაზე ცუდი მატჩი

„დინამოსთან" დრამატულ მარცხს „ტორპედომ" რამდენიმე წაგება „მოაყოლა", სადაც, ყველაზე სუსტად „დილასთან", „ზუგდიდთან" და „გურიასთან" გამოიყურებოდა. აღარაფერს ვამბობთ პირველი ეტაპის ბოლო მატჩზე, როცა ასევე ახალგაზრდულმა „ვიტ ჯორჯიამ" ქუთაისელთა გუნდის კარში 5 უპასუხო ბურთი გაიტანა.

## მიზანი

ზამთრის პაუზას „ტორპედო" ერთობ „უცნაურ" სატურნირო მდგომარეობაში შეხვდა: გუნდს გასავარდნ ზონასთან სოლიდური ჰანდიკაპი (8 ქულა) აშორებს და ვეჭვობთ, რომ დარჩენილ ოთხ ტურში ეს უპირატესობა გაიფლანგოს.

სამაგიეროდ, ფაქტობრივად, განახლებული (აბსოლუტურად ყველა რგოლში!) „ტორპედო" არცთუ ბევრით ჩამორჩება VI ადგილზე მყოფ „მეტალურგს" და მოვლენების „შესაფერისი სცენარით" განვითარების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ქუთაისელთა საყვარელმა გუნდმა ზეექვსეულშიც შეაღწიოს. ჰო, ზამთრის პაუზის მერე, ფაქტობრივად, ახალ გუნდს ვიხილავთ:

ცნობადი ახალწვეულებით, ხანგრძლივი პაუზის მერე მშობლიური ქალაქის გუნდის დირექტორად დაბრუნებული **გია ხურციძით,** ახალი პრეზიდენტით, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლით, **გიორგი დემეტრაძით** და, რაც მთავარია, ახალი მთავარი მწვრთნელით!

ჰო, რვაწლიანი პაუზის მერე მშობლიური ქალაქის გუნდის გაძღოლა ქართული ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ და დამოუკიდებელი ქართული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულიანმა მწვრთნელმა, **რევაზ ძოძუაშვილმა** ითავა!

**გია ტუხაშვილი**

### ტორპედოს ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

18 მატჩი, 6 მოგება, 4 ფრე, 8 წაგება, ბურთები: 19-24, ადგილი-IX

| | | |
|---|---|---|
| I ტური | ტორპედო-მეტალურგი | 1:1 |
| II ტური | ზესტაფონი-ტორპედო | 2:3 |
| IV ტური | სპარტაკი-ტორპედო | 0:1 |
| V ტური | ტორპედო-გურია | 1:0 |
| III ტური | ტორპედო-დილა | 0:0 |
| VI ტური | ზუგდიდი-ტორპედო | 0:0 |
| VII ტური | ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 4:1 |
| VIII ტური | მერანი-ტორპედო | 0:3 |
| IX ტური | ტორპედო-სიონი | 1:1 |
| X ტური | დინამო-ტორპედო | 2:1 |
| XI ტური | ტორპედო-ჩიხურა | 1:2 |
| XII ტური | მეტალურგი-ტორპედო | 2:1 |
| XIII ტური | ტორპედო-ზესტაფონი | 0:1 |
| XIV ტური | დილა-ტორპედო | 3:0 |
| XV ტური | ტორპედო-სპარტაკი | 1:0 |
| XVI ტური | გურია-ტორპედო | 2:0 |
| XVII ტური | ტორპედო-ზუგდიდი | 1:2 |
| XVIII ტური | ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 5:0 |

**ვიტ ჯორჯია 2013/14**

მეკარეები: მაქსიმე ქვილითაია 18 (-24 გოლი);

მცველები: დავით მთივლიშვილი-17, დავით უბილავა-16, გიორგი ხიდეშელი-15 (2), ზაზა ჭელიძე-14 (1), ნიკა სანდოხაძე-11, გიორგი გაბაძე-7, ნიკა ჭანტურია-5, ვაჟა ტაბატაძე-3, რევაზ ჩიტეიშვილი-1;

ნახევარმცველები: მათე ცინცაძე-16 (1), გიორგი კუხიანიძე-15 (2), მერაბ გიგაური-15 (1), გიორგი გოროზია-14, ნიკა ფირცხალავა-9, ალეკო მზევაშვილი-7, ნიკა ახვლედიანი-6, თეიმურაზ მარკოზაშვილი-3;

თავდამსხმელები: თორნიკე კაპანაძე -17 (6), ნიკა საბანაძე-13 (3), გიორგი ფანცულაია-13 (1), დავით ჯიქია-9, რევაზ ბარაბაძე-5 (1), მამია გავაშელიშვილი-3 (1).

მთავარი მწვრთნელი: ჟერარდ სარაგოსა (I-XVIII ტური).

● ბათუმი

# ჟორჟიკაშვილმა წმენდა დაიწყო

პირველი ლიგის B ზონის ერთ-ერთმა ლიდერმა ბათუმის „დინამომ" სეზონისთვის მზადება დაიწყო. სიახლეები კლუბის პრესატაშე **ამირან მამალაძემ** გაგვიმხილა.

„მეორე წრისთვის მზადება 15 იანვარს დავიწყეთ. „დინამოს" პირველ შეკრებაზე შეუერთდნენ რუსთავის „მეტალურგის" მარცხენა მცველი ანზორ სუხიაშვილი, „ტორპედოდან" კი იური ოლიფერენკო. ეს უკანასკნელი ბათუმელია, მაგრამ ქუთაისელთა დუბლებში თამაშობდა. ხელვაჩაურის „მაჭახელასთან" იჯარა დაუსრულდა მეკარე შოთა მამინაშვილს და დაგვიბრუნდა. რაც შეეხებათ გუნდიდან წასულებს, ამ სიაში მოხვდნენ უკრაინელი მეკარე ივან პიცანი, მცველები - სევასტი თოდუა, გიორგი ალავიძე, სანდრო ქიღვარია, ნახევარმცველი გიორგი მანწკავა, აგრეთვე, თავდამსხმელები - ბესიკ ჩიმაკაძე და გიგა კვერენჩხილაძე", - ამბობს მამალაძე.

მისივე თქმით, „დინამო" მეორე შეკრებას 8-22 თებერვალს, თურქეთის ქალაქ ანტალიაში გაივლის და ოთხ ამხანაგურ შეხვედრასაც გამართავს. ამ დროისთვის, ზღვისპირელთა ორი მეტოქეა ცნობილი - 15 თებერვალს **კობა ჟორჟიკაშვილის** განვრთნილები დონეცკის „ოლიმპიკს" ეთამაშებიან, 21-ში კი - უკრაინის პრემიერლიგის წარმომადგენელ მარიუპოლის „ილიჩივეცს". სპარინგები 12 და 18 თებერვალსაც დაიგეგმა, მაგრამ სავარაუდო მეტოქეებთან მოლაპარაკებები დღემდე მიმდინარეობს. კლუბი სელექციას თურქული შეკრების დროსაც გააგრძელებს.

**მერაბ მამულაშვილი**


კობა ჟორჟიკაშვილი

● დინამო

# თავადური ტრანსფერი: ერისთავი დინამოში

„სამტრედიის" გულშემატკივრებმა „ფეისბუკის" გვერდზე საინტერესო ამბავი გაავრცელეს - გუნდის და I ლიგის (B ზონა) ბომბარდირი **გიორგი ერისთავი** კარიერას თბილისის „დინამოში" გააგრძელებს.

19 წლის შემტევმა ნახევარმცველმა კარიერა „გაგრაში" დაიწყო, შარშან კი „სამტრედიაში" გადავიდა. საშემოდგომო ეტაპზე ჩატარებულ 13 შეხვედრაში გიორგიმ მეტოქეთა კარი 9-ჯერ აილო და I ლიგის B ზონაში ბომბარდირთა დავას ლიდერობს. ის სწრაფი და ტექნიკური თავდამსხმელია.

„დინამოს" ერისთავის ტრანსფერზე ინფორმაცია ჯერ არ გაუვრცელებია, თუმცა შევიტყვეთ, რომ თბილისურ კლუბში მართლა გადაიყვანეს და „დინამო 2"-ში ჩაირიცხა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ერთი კვირის 1000 წვრილმანი

## ანდორა და სან მარინო: საფიქრალი, აი, ეს არის!

კალანდობით დასრულებული ბაირამობა სეზონის განახლებას გვაახლოებს. ქართულ სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე მეტად „ზესტაფონი" აქტიურობს და ყველაზე მეტად ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებს ეტანება. და რა ხდება ამ დროს „ტორპედოში"? გუნდში **რევაზ ძოძუაშვილი** კი მივიდა მწვრთნელად, მაგრამ ვინ არის მისი დამნიშნავი, ვინ იქნება „ტორპედოს" მფლობელი?

„ვისოლი", რომელიც ინახავდა კლუბს, ოფიციალურად ჯერ არ ადასტურებს იმას, რომ „ტორპედოდან" წავიდა. როცა ამ კომპანიამ ქუთაისური კლუბი ჩაიბარა, უცნობია, რა სპონსორული ვალდებულებები აიღო. ისიც გაურკვეველია - თუ „ვისოლი" ოფიციალურად დაადასტურებს „ტორპედოდან" წასვლას, ვის დარჩება სტადიონი და სალორიის ბაზა.

ამ გაურკვევლობაში კი დრო იკარგება. საქართველოში დაბრუნებულმა **მერაბ ჟორდანიამ** უარყო ხმების იმის შესახებ, თითქოს ის აპირებდა „ტორპედოში" მისვლას. დაუდასტურებელ ინფორმაციას თუ ვენდობით, ჟორდანია მართლაც ფიქრობდა ქართულ ფეხბურთში რაიმე ფორმითა თუ რეგალიით დაბრუნებას, თუმცა ეს ამ ეტაპზე არ მოხდება.

გაურკვევლობა მართლაც ცუდი რამ არის. ისიც არ ვიცით, ვინ უნდა დაინტერესდეს „ტორპედოს" მომავლით, ვინ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ კლუბს დაფინანსება ჰქონდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტისგან თუ კერძო სექტორისგან. საფეხბურთო მეცენატები ჯერჯერ არ ჩანან, ქუთაისის მერიის ბიუჯეტი, ალბათ, უკვე გაწერილია. ვინ და როგორ შეეხიდება „ტორპედოს"? აი, საკლუბო ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა რომ არსებობდეს, „ტორპედო" გაურკვევლობაში არ იქნებოდა, მაგრამ ეს პროგრამა, რომელიც ვერა და ვერ ეღირსა დღის სინათლეს (თუ მართლა არის დამუშავების სტადიაში), მხოლოდ თავისთვის არსებობს, ჯერაც ბერწია.

ბიუჯეტი შეუმცირეს რუსთავის „მეტალურგს" და კლუბიც უნიჭოდ ხელფასებს ვეღარ გადაუხდის ფეხბურთელებს. ეს ისიც ნიშნავს, რომ „მეტალურგს" ბევრი ფეხბურთელი დატოვებს, მაგრამ სად, რომელ ქართულ გუნდებში მიმოიფანტებიან? „მეტალურგის" ამბავი არაბალა ქართული საკლუბო ფეხბურთისთვის, რომლის ერთადერთი სიახლე, ამ ეტაპზე, „ზესტაფონის" მომძლავრებაა.

▪▪▪

სხვისა რა გითხრათ და, მე კი გამიხარდა, საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი **თემურ ქეცბაია** აბუ დაბიში რომ იყო „ვიტესის" საკონტროლო მატჩებზე დასასწრებად. როგორც ჩანს, ის სერიოზულად არის დაინტერესებული, ეროვნულ გუნდში **ვაკო ყაზაიშვილისა** და **გიორგი ჭანტურიას** მიწვევით. ამ ფეხბურთელებს წლეულს შეუსრულდებათ 21 წელი, თუმცა ახალგაზრდული ნაკრებისთვის ალბათ უკვე გადაზრდილები არიან - „ვიტესის" ძირითადში დამკვიდრებისთვის რა ხანია იბრძვიან და ეს უკვე კაცების ამბიციაა და არა ჭაბუკების.

იტალიურ პრესაში დაიწერა, ჭანტურიას შეძენას სერია A-ს ბინადარი „ბოლონია" აპირებსო. ჭანტურიას იტალიელი აგენტი ჰყავს და ეს ამბავი ქორს არ ჰგავს. „ბოლონიას" საქმე ცუდ არის კარგად, სერია B-ში ჩავარდნამდე ცოტა მეყოფა და ჩვენებურიც იმედ სურს, შეტევაში რომ დაიხმაროს. ყველაფერს ალბათ ის გადაწონის, რამდენად მდომებული იქნება „ბოლონია" ჭანტურიას ტრანსფერით.

▪▪▪

ამასობაში, ისიც შევიტყვეთ, **თორნიკე ოქრიაშვილი** მარიუპოლის „ილიჩევეციდან" ოდესის „ჩერნომორეცში" გადადისო. „ჩერნომორეცი" ევროპალიგის 1/8 ფინალშია გასული და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ ტურნირზე მომავალ სეზონშიც ითამაშებს. „ილიჩევეციდან" ასეთ გუნდში გადასვლა ურიგო ნაბიჯი არ უნდა იყოს, მაგრამ გახსოვთ ოქრიაშვილის ოქროპალო ბელარუსთან? გახსოვთ ის ეპიზოდები, როცა ნაკრების წინა შესარჩევში ორიგინალური გადაწყვეტილებებით უსხლტებოდა მეტოქეებს? ეს ყველაფერი ნიჭია, ამის ვარჯიშით შეძენა შეუძლებელია და ასეთი ქართველი, ალბათ, „ჩერნომორეცისთვისაც" უნდა დაგვენანოს.

▪▪▪

ქეცბაიას ნაკრებს კი წლეულს მინიმუმ ორი ვაკანსიის შევსება მოუწევს - **ზურაბ ხიზანიშვილის** და **ალექსანდრე ამისულაშვილის**. ორი ახალი, საიმედო მცველის გამოძებნა - ასე დგას საკითხი. გაუჩნდეს ქეცბაიას ვერ გააჩნიშ. ისიც ვიცით, რომ გუნდის მეხეის საფუძვლიანი მეჯარე და დაცვაა. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იქნება ის, თუ საქართველოს ნაკრები, მორიგი შესარჩევი ციკლის დაწყების წინ, ამხანაგურ მატჩებს ისეთ მეტოქეებთან გამართავს, ანდორასა და სან მარინოს ზევრად რომ არ აღემატება. ამხანაგურებში გამარჯვება ზრდის თავდაჯერებულობას მწვრთნელისთვისაც და ფეხბურთელებისთვისაც. ისიც დაგვეჩვენა, იოტისხელა ნიუანსებსაც რომ ჩვეეჩვეოთ...

დავით თავართქილაძე

● ლეგიონერი



კლარენს ზეედორფი მილანშია და დებიუტს ელოდება

## გელაშვილმა მძიმე ტრავმა მიიღო

ანტალიაში, აგდამის „ყარაბაღის" შეკრებაზე, საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ნიკოლოზ გელაშვილმა** სერიოზული ტრავმა მიიღო. სულ ახლახან შემოგითავაზეთ „აზერისპორტის" ინტერვიუ გელაშვილთან, სადაც ჩვენებური სეზონის დასრულებამდე კიდევ 10 გოლის გატანას (პირველ წრეში 5 გაიტანა) აპირებდა, თუმცა სეზონის განახლებისთვის მისი გამოჯანმრთელება გამორიცხულია.

„აზერისპორტის" ინფორმაციით, ექიმებს ჯერ არ უთქვამთ საბოლოო ვერდიქტი, თუმცა ტრავმა სერიოზულია. აზერბაიჯანის ჩემპიონატი 1-ელ თებერვალს განახლდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● მოსალოდნელი ტრანსფერი

## ქართველი ბელგიაში ისინჯება

2012 წლის აპრილში, როცა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ელიტრაუნდისთვის ემზადებოდა, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ კორღალიძემ** შეკრებაზე **დავით კობია** გამოიძახა და **კახა კაჭარავას** ერთი წლით უმცროს 19-წლამდელებთან მეორე ტაიმი ათამაშა. ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" დუბლშემადგენლობის ტანმაღალ და ჯანმაგარ ცენტრალურ მცველს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია...

მაგრამ მას შემდეგ ეს ბიჭი „ვოლგას" დუბლებიდან გაქრა, მერე „გაგრაში" ჩაირიცხა და დაიკარგა. ახლახან შევიტყვეთ, რომ 20 წლის მცველი ბელგიის პირველი დივიზიონის „რუზელარეში" ვარჯიშობს. ეს მისმა მენეჯერმა **სერგო ქუთათელაძემ** გვითხრა:

*„დათოს ბელგიაში არავინ იცნობდა. არადა, ნიჭიერი მოთამაშეა და მჯეროდა, რომ „რუზელარეს" თავს მოაწონებდა. ფიზიკურად მომზადა და მივედით გუნდში, რომელსაც კიევის „დინამოს" ყოფილი მოთამაშე სერგეი სერებრენიკოვი ავარჯიშებს, კალაძისა და დემეტრაძის ყოფილი თანაგუნდელი. „რუზელარემ" პირველი საკონტროლო მატჩი „კორტრაიკ"-4:1 მოიგო, კობიამ გოლი გაიტანა და 2 საგოლე გადაცემაც გააკეთა. სერებრენიკოვს ძალიან მოეწონა და მისი აყვანა გადაწყვიტა. მერე კიდევ რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა: I ლიგის „ვეტერენთან", „ლომელ იუნაიტედთან", „მუსკრონთან" და „ბევერენთან". დათოს კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ სერებრენიკოვს მოსწონს და თქვა - საკითხს ხელმძღვანელობასთან შევათანხმებო. იმედია, ყველაფერი მალე გადაწყდება. ხანგრძლივი ხელშეკრულება არ გვინდა, მაქსიმუმ 1,5-წლიანს გავაფორმებთ. სხვათა შორის, დათოს უნგრეთიდან „პოლგარ ზაკარპატიე" ინტერესდებოდა და საკითხი ამ გუნდის მთავარ მწვრთნელ ვიაჩესლავ გროზნისთან იყო შეთანხმებული. მაგრამ ევროპაში ყოფნა ამჯობინა. ეს მისი წინსვლისთვის უკეთესი იქნება".*

ჩვენ კობიასაც ველაპარაკეთ: *„2010 წელს კიევის „დინამოს" დუბლში ვვარჯიშობდი და კონტრაქტს ვაფორმებდი. მაგრამ მამჩა ჯულელი ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში" გადაყვანასა და ძირითად გუნდში ვარჯიშს შემპირდა. ჩავთვალე, რომ ნახევა აჯობებდა, რადგან რუსეთში უფრო მაღალი დონის ჩემპიონატია, პერსპექტივაც მეტია. „ვოლგას" ახალგაზრდულ გუნდში ჩავირიცხე. თავიდან, ყველაფერი კარგად იყო და დუბლში მათამაშებდნენ. მაგრამ მერე ჯულელი კლუბიდან წავიდა და მეც სკამზე დამსვეს. ცუდად მომექცნენ*



*და მივხვდი, კიევში უნდა დავრჩენილიყავი, თუმცა უკვე დაგვიანებული იყო. დავბრუნდი საქართველოში და სეზონი „გაგრაში" დავიწყე, მაგრამ ნახევრამდე წამოვედი და 6 თვე უგუნდოდ ვიყავი, საქართველოში კი ახლოს არავინ გამიკა. ქუთათელაძეს ბელგიური ვარიანტი რომ შემომთავაზა, დაუფიქრებლად დავთანხმდი. თავად მაჯარებელი. თვე-ნახევრის წინ „რუზელარეში" მოვიყვანე. ყველაფერი კარგადაა და იმედია, კონტრაქტს მალე გავაფორმებ".*

დათოს ოჯახი გურჯაანში ცხოვრობდა. საქართველო აფხაზეთის ომის შემდეგ დატოვეს და მოსკოვში დასახლდნენ და ჩვენი რესპონდენტიც იქ გაიზარდა, საქართველოში არასოდეს უცხოვრია. თუმცა ქართულად კარგად ლაპარაკობს. თავიდან მოსკოვის „სპარტაკის" საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა. 13 წლის იყო, როცა მისი ოჯახი კიევში გადასახლდა და დათო იქაური „ობოლონის" საფეხბურთო სკოლაში შეიყვანეს, საიდანაც კიევის „დინამოს" აკადემიაში მიიწვიეს. იქ სკოლის დამთავრებამდე დაჰყო.

კობია რუსეთის მოქალაქეა, მაგრამ ამბობს, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში სურს: *„სხვათა შორის, უკრაინის ნაკრების ხელმძღვანელობა იყო ჩემით დაინტერესებული, მაგრამ თავი შევიკავე. ასაკი ხელს მიწყობს და თუ „რუზელარეში" ტრანსფერი გამოვიდა, იმედია, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში დამიძახებენ. მით უფრო, რომ ალექსანდრე ჩივაძემ ორჯერ უკვე მიმიწვია შეკრებაზე, მანამდე კი ოთარ კორღალიძემ 19-წლამდელებში გამომიძახა. მის ნაკრებს პორტუგალიაში უნდა გავყოლოდი, მაგრამ რუსეთის მოქალაქეობის გამო, საქართველოს სახელით ვერ ვითამაშებდი".*

მერაბ მამულაშვილი

● ტრანსფერი

## კიდევ ერთი ექსტორპედოელი ზესტაფონში




„ზესტაფონმა" კიდევ ერთი ფეხბურთელი შეიძინა - 21 წლის შემტევი **თორნიკე კაპანაძე**. მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე კაპანაძე ქუთაისის „ტორპედოში" თამაშობდა, გუნდის ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშე გახლდათ და 6 გოლის გატანაც მოახერხა.

„ტორპედომდე", კაპანაძე წყალტუბოს „სამგურალის" ღირსებას იცავდა, იყო პირველი ლიგის ბომბარდირი. შარშან კი ევროპალიგის საკვალიფიკაციოში, როცა „ტორპედომ" სტუმრად 3:3 ითამაშა „ჟილინასთან", სლოვაკებს ორი გოლი სწორედ მან გაუტანა.

**გიორგი კუხიანიძე, გიორგი ფანცულაია, ნიკა საბანაძე, ზაზა ჭელიძე, დავით კუპატაძე** - ამ ფეხბურთელებმაც, კაპანაძის დარად, მიმდინარე სეზონი „ტორპედოში" დაიწყეს და მერე „ზესტაფონში" გადავიდნენ.

**გრიგოლ დოლიძე, თემურ ლონძაძე, დიმიტრი ტატანაშვილი და გიორგი გურული** - შეგახსენებთ, რომ ამ სატრანსფერო ფანჯარაში „ზესტაფონმა" ეს გამოცდილი ფეხბურთელებიც დაიმატა.

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XX ტურის წინ



კლარენს ზეედორფი მილანშია და დებიუტს ელოდება

# კლარენს ზეედორფის ფორმალური დებიუტი

## იუვეს დევნა გრძელდება

### 18 იანვარი

**რომა-ლივორნო 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** დე ლუჩა (ლივორნო).
**ტრავმა:** რომანიოლი, ბალცარეტი (რომა).

ბოლო 6 შეხვედრა

3-2-1 — 0-1-5

ურთიერთშეხვედრები

**სულ 11 თამაში: +5=5-1, (18-7)**

**იუვენტუსი-სამპდორია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** სორიანო (სამპდორია).
**ტრავმა:** არავინ.

ბოლო 6 შეხვედრა

6-0-0 — 3-2-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 29 თამაში: +14=9-6, (41-25)**

**ჯენოა-ინტერი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მალუზალემი (ჯენოა).
**ტრავმა:** კუჩკა, გამბერინი, პორტანოვა - კივუ, მარიგა.

ბოლო 6 შეხვედრა

1-2-3 — 1-3-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 20 თამაში: +3=5-12, (19-39)**

**სასუოლო-ტორინო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** გაცოლა, ძაძა - ჟილე.
**ტრავმა:** ტერანოვა, ალექსე, აჩერბი, მაზუჩი - ლარონდო.

ბოლო 6 შეხვედრა

1-1-4 — 3-2-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 9 თამაში: +2=2-5, (8-14)**

### 19 იანვარი

**უდინეზე-ლაციო 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** ალანი - ლედესმა, მაური.
**ტრავმა:** მურიელი, ბენუსი - ცანა, რადუ, ნოვარეტი.

ბოლო 6 შეხვედრა

1-1-4 — 2-1-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 39 თამაში: +11=9-19, (56-76)**

**ატალანტა-კალიარი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბენალუანი - პინილია.
**ტრავმა:** სკალონი, კარმონა, კონსილი - ნენე.

ბოლო 6 შეხვედრა

1-2-3 — 1-4-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 23 თამაში: +8=7-8, (35-37)**

**ბოლონია-ნაპოლი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ცუნიგა, მესტო, რეინა, ბერამი (ნაპოლი).

ბოლო 6 შეხვედრა

1-2-3 — 4-2-0

ურთიერთშეხვედრები

**სულ 21 თამაში: +8=3-10, (32-34)**

**კატანია-ფიორენტინა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლოდი, პერუცი (კატანია).
**ტრავმა:** ალმირონი, ბელუში, ალვარესი - გომესი, ჰეგაზი, როსი.

ბოლო 6 შეხვედრა

1-1-4 — 4-1-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 17 თამაში: +3=3-11, (12-28)**

**კიევო-პარმა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** კალელო - პავარინი, ოკაკა.

ბოლო 6 შეხვედრა

2-2-2 — 2-4-0

ურთიერთშეხვედრები

**სულ 21 თამაში: +5=8-8, (15-24)**

**მილანი-ვერონა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** მუნტარი (მილანი).
**ტრავმა:** ელ შაარავი, აბატე, კონსტანტი - სალა, ლონგო, მიჰაილოვი.

ბოლო 6 შეხვედრა

2-2-2 — 3-1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 9 თამაში: +4=3-2, (15-12)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 19 | 17 | 1 | 1 | 46-12 | 52 |
| 2. რომა | 19 | 13 | 5 | 1 | 39-10 | 44 |
| 3. ნაპოლი | 19 | 13 | 3 | 3 | 41-20 | 42 |
| 4. ფიორენტინა | 19 | 11 | 4 | 4 | 34-19 | 37 |
| 5. ინტერი | 19 | 8 | 8 | 3 | 38-23 | 32 |
| 6. ვერონა | 19 | 10 | 2 | 7 | 34-30 | 32 |
| 7. ტორინო | 19 | 6 | 8 | 5 | 31-27 | 26 |
| 8. პარმა | 19 | 6 | 8 | 5 | 29-26 | 26 |
| 9. ლაციო | 19 | 6 | 6 | 7 | 23-26 | 24 |
| 10. ჯენოა | 19 | 6 | 5 | 8 | 19-24 | 23 |
| 11. მილანი | 19 | 5 | 7 | 7 | 31-30 | 22 |
| 12. სამპდორია | 19 | 5 | 6 | 8 | 22-27 | 21 |
| 13. ატალანტა | 19 | 6 | 3 | 10 | 20-29 | 21 |
| 14. კალიარი | 19 | 4 | 9 | 5 | 19-28 | 21 |
| 15. უდინეზე | 19 | 6 | 2 | 11 | 18-28 | 20 |
| 16. კიევო | 19 | 4 | 5 | 10 | 14-24 | 17 |
| 17. სასუოლო | 19 | 4 | 5 | 10 | 21-41 | 17 |
| 18. ბოლონია | 19 | 3 | 7 | 9 | 17-33 | 16 |
| 19. ლივორნო | 19 | 3 | 4 | 11 | 16-33 | 13 |
| 20. კატანია | 19 | 3 | 4 | 12 | 13-34 | 13 |

**ბომბარდირები:** 14 - როსი (ფიორენტინა); 11 - ტევესი (იუვენტუსი), ბერარდი (სასუოლო); 10 - პალასიო (ინტერი); 9 - ჩერჩი (ტორინო), იგუაინი (ნაპოლი), იმობილე (ჯენოა), ტონი (ვერონა).

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშების მეორე წრის პირველი ტური გრანდთა ჯახს არ გვპირდება, მაგრამ არაერთ საინტერესო დაპირისპირებას ნამდვილად ვიხილავთ. ერთპიროვნული ლიდერი „სამპდორიას" უმასპინძლებს, გუნდს, რომელიც სინიშა მიხაილოვიჩთან ერთად გვარიანად მოძლიერდა; „რომა" უმწვრთნელოდ დარჩენილ „ლივორნოს" მიიღებს, „ნაპოლი" კი კრიზისში მყოფს, მაგრამ მაინც კერკეტ „ბოლონიას" ესტუმრება. „მილანი" ცხრილის ქვედა ნაწილშია, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, სხვებზე მეტ ყურადღებას იმსახურებს...**

## ლიდერები

„იუვენტუსს" „სამპდორია" ესტუმრება და მიუხედავად იმისა, რომ ფავორიტი გამოკვეთილია, წესით, კარგი თამაში უნდა გაჩაღდეს. **სინიშა მიხაილოვიჩი** დაიმუქრა, ტურინელებს იოლი გასეირნება არ ელითო და ვნახოთ, შეასრულებენ თუ არა მისი შეგირდები პირობას. **ანტონიო კონტე** წინა ხაზზე კვლავ **კარლოს ტევესს** და **ფერნანდო ლორენტეს** გაამწესებს, ნახევარდაცვაში კი ტრადიციული ხუთეული გაირჯება: **შტეფან ლიხტშტაინერი, ანდრეა პირლო, პოლ პოგბა, არტურო ვიდალი** და **კვადვო ასამოა**. ისევ არ მოიძებნება ადგილი **კლაუდიო მარკიზიოსთვის**, რომელმაც წინა ტურში „კალიარი" გატეხა და „იუვეს" გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

ახალი მწვრთნელის დებიუტი ხშირად წარმატებული გამოდის, რასაც ახალი ცოცხის ეფექტს ეძახიან, მაგრამ „ლივორნოს" შემთხვევაში ცოტა უფრო რთულად არის საქმე - ჯერ ერთი, „კომუნისტები" თვით „რომას" სტუმრობენ და მეორე, გუნდს დროებითი მწვრთნელი, ვინმე **პეროტი** უდგას სათავეში. ლივორნოში ახალ მწვრთნელს ეძებენ და ეს პროცესი აშკარად გაიწელა. სამაგიეროდ, „რომაა" სრულ მზადყოფნაში და შეეცდება, კიდევ ერთ მეტოქეს გადაურბინოს. **რუდი გარსია** შეტევაში **ფრანჩესკო ტოტის, ალესანდრო ფლორენცის** და **ჟერვინიოს** გაამწესებს, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება.

„ნაპოლი" „ბოლონიას" ესტუმრება და შეეცდება მოგებათა სერია გააგრძელოს. 2014 წელს გამართული სამი შეხვედრიდან, **რაფა ბენიტესის** გუნდმა სამივე მოიგო, რვა გოლი გაიტანა და მხოლოდ ერთი გაუშვა. ამჯერად, ესპანელი **გორან პანდევს** დატოვებს თადარიგში და შეტევაში **გონსალო იგუაინთან** ერთად, შემდეგ ტრიოს გაამწესებს: **ლორენცო ინსინიე, დრის მერტენსი, ხოსე კალეხონი**. თუ ნეაპოლელებს სკუდეტოსთვის ბრძოლა სურთ, ქულების დაკარგვის უფლება არ აქვთ.

## ზეს დებიუტი

„მილანი" სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილშია, მაგრამ მის მიმართ ინტერესი განსაკუთრებულია. ხუმრობა საქმე ხომ არაა, **მასიმილიანო ალეგრის** 3.5-წლიანი პერიოდი დასრულდა და გუნდს **კლარენს ზეედორფი** ჩაუდგა სათავეში. ჰოლანდიელს დებიუტი ექნება, თუმცა თვითონვე ამბობს, რომ „ვერონასთან" შეხვედრაში უფრო დამკვირვებელი იქნება და საქმეს **მაურო ტასოტი** გაუძღვება. ჰოლანდიელმა მხოლოდ ერთი მსუბუქი ვარჯიში ჩაატარა და ბუნებრივია, ჯერ მაინც უჭირს ახალი როლის მორგება. შესაბამისად, „მილანი" ალბათ ძველი სქემით და ძველი შემადგენლობით ითამაშებს - წინა ხაზზე **მარიო ბალოტელი**, სიღრმიდან **რიკარდო კაკა** და **რობინიო**, საყრდენ ხაზზე კი სამი ნახევარმცველი: **ბრაიან კრისტანტე, ანდრეა პოლი** და **ნაიჯელ დე იონგი**. თადარიგში მოიაზრება იაპონელი ახალწვეული **კეისუკე ჰონდა**, რომელმაც სათასო პაექრობაში უკვე გაიტანა სადებიუტო გოლი. „ვერონა" ევროსაგზურისთვის იბრძვის და იოლად არაფერს დათმობს.

**ლაშა წიკლაური**

იტალიის თასი. 1/8 ფინალი

# მილანი და ნაპოლი წინ მიიწევენ

## კატანიას მარანი დაუბრუნდა

იტალიის თასის მერვედფინალური ეტაპი სენსაციების გარეშე დასრულდა. „მილანმა" „სპეციას" იოლად მოუგო, „ნაპოლიმ" „ატალანტას" არ დაუტოვა შანსი, „სიენამ" კი „კატანია" მოინელა, მართალია, ტოსკანელები სერია B-ში ასპარეზობენ და სერია A-ს ბინადარი დაამარცხეს, მაგრამ „კატანიას" ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ შედეგს სენსაციათა კატეგორიას ნამდვილად ვერ მივაკუთვნებთ. შემთხვევითი არაა, რომ „სიენამ" გაანადგურა მეტოქე, რომლის მთავარი მწვრთნელის პოსტი ჯერ კიდევ სათასო პაექრობამდე **ლუიჯი დე კანიომ** დატოვა; „სიენასთან" მარცხის შემდეგ კი გაცხადდა, რომ „კატანიას" **როლანდო მარანი** უთავკაცებს, სპეციალისტი, რომელიც აქამდეც ედგა სათავეში სიცილიურ გუნდს.

უფრო საინტერესო მატჩი შედგა ნეაპოლში, სადაც **რაფაელ ბენიტესის** გუნდმა „ატალანტას" უმასპინძლა და ორი ბურთის სხვაობით დაამარცხა, 3:1. ბერგამოელები გაძალიანდნენ, მაგრამ მთლიანობაში, მასპინძელთა უპირატესობა მაინც თვასაჩინო გახლდათ. ბენეფისი მოიწყო **ხოსე კალეხონმა**, რომლის დუბლსაც **ლორენცო ინსინიემ** ერთი მიამატა. არადა, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს.

მოიგო „მილანმაც", რომელსაც **მაურო ტასოტი** თავკაცობდა. ლომბარდიელებმა პირველივე ტაიმში მოუმთავრეს საქმე მოკრძალებულ „სპეციას" და სამი გოლი გაუტანეს. ჯერ **რობინიო** გამოირჩა, შემდეგ **ჯამპაოლო პაცინი** და ბოლოს, თვით **კეისუკე ჰონდა**. დიახ, იაპონელმა პირველი გოლი გაიტანა „მილანის" მაისურით და მთლიანობაში, კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მატჩის მსვლელობისას, სტადიონზე **კლარენს ზეედორფი** მივიდა, რამაც გულშემატკივართა მხურვალე ოვაციები გამოიწვია. მეორე დღეს, კლარენსმა „მილანთან" ხელშეკრულება გააფორმა და განაცხადა, რომ გუნდის საკეთილდღეოდ არაფერს დაიშურებს.

**მილანი-სპეცია 3:1**

**გოლები:** 1:0 რობინიო (28), 2:0 პაცინი (31), 3:0 ჰონდა (45), 3:1 ფერარი (90).

**მილანი (4-3-2-1):** აბიატი - ძაკარდო, მექსე, რამი, დე შილიო - პოლი, მონტოლივო, კრისტანტე - რობინიო (78. ნოჩერინო), ჰონდა (64. ბირსა) - პაცინი (70. პეტანია).

**კატანია-სიენა 1:4**

**გოლები:** 1:0 ლეტო (4), 1:1 პაოლუჩი (24), 1:2 ვალიანი (59), 1:3 პულცეტი (90), 1:4 როსეტი (90).

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი - პერუცი, ლეგროტალიე, დომბერი, კაპუანო - რინაუდო (69. გარუფი), ლოდი, გუარენტე (60. ბოატენგი) - ლეტო, მონსონი (46. კეკო), მაქსი ლოპესი.

**სიენა (4-3-1-2):** ფარელი - მატეუ, ჯაკომაცი, დელაფიორე, ანჯელო - პულცეტი, ვალიანი, ფედალი - როზინა (77. ვერგასოლა) - პაოლუჩი, ჯანეტი (55. როსეტი).

**ნაპოლი-ატალანტა 3:1**

**გოლები:** 0:1 დე ლუკა (14), 1:1 კალეხონი (15), 2:1 ინსინიე (72), 3:1 კალეხონი (80).

**ნაპოლი (4-2-3-1):** კაბრალი - მაჯო, ალბიოლი, ბრიტოსი, რევეიერი - ინლერი, რადოშევიჩი - კალეხონი (85. ბარიტი), პანდევი (60. ჰამშიკი), ინსინიე - საპატა (71. იგუაინი).

**ატალანტა (4-4-2):** პოლიტო - ნიკა, იეპესი, ბენალუანი, დელ გროსო - ჯორჯი (84. ჩიგარინი), ბასელი (77. სტენდარდო), კაცოლა, კონე - დე ლუკა (62. მარილუნგო), ლივაია.

**1/4 ფინალი**

**21 იანვარი: რომა-იუვენტუსი**
**22 იანვარი: მილანი-უდინეზე**
**23 იანვარი: ფიორენტინა-სიენა**
**29 იანვარი: ნაპოლი-ლაციო.**

**1/2 ფინალი**

**მილანი/უდინეზე - ფიორენტინა/სიენა, რომა/იუვენტუსი - ნაპოლი/ლაციო.**

**ლაშა წიკლაური**



კეისუკე ჰონდას პირველი გოლი „მილანის" მაისურით

ამბები

### ჩავი ამერიკაში მიდის

იტალიური მედია იუწყება, რომ „ბარსელონას" 33 წლის ნახევარმცველმა **ჩავი ერნანდესმა** მიიღო გადაწყვეტილება, რომ მუნდიალის შემდეგ კარიერას MLS-ის კლუბ „ნიუ იორკ რედ ბულზსში" გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო პლეიმეიქერის კონტრაქტი „ბარსელონასთან" 2016 წლამდე არის გათვალისწინებული. ჩავი მომდევნო ტურში პროფესიულ კარიერაში მე-700 მატჩს ითამაშებს.

### ხმა რონალდოს მიეცით...

სკანდალი გორდება ოქროს ბურთის წლევანდელ არჩევნებთან დაკავშირებით - ყატარის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფაჰად ალ-ზარაამ** განაცხადა, რომ ყატარის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა **ჰამად ბინ ხალიფა ან-ტანიმ** მას **კრიშტიანო რონალდოს** არჩევა მოსთხოვა. *„პრეზიდენტმა მომთხოვა ეს იმ მოტივით, რომ ამით ბლატერის იმიჯი მოიგებდა, ხოლო ყატარი ფიფას პრეზიდენტს მუნდიალის 2022-ის მასპინძლობის მიცემისთვის მადლობას გადაუხდიდა".*

### მესი წლის სიმბოლურში ვერ მოხვდა

უეფას საიტზე დასრულდა 2013 წლის სიმბოლური ნაკრების გამოვლენა. აღსანიშნავია, რომ საიტის სტუმრებმა ვერ გამოძებნეს სიმბოლურში **ლიონელ მესის** ადგილი! ფანების ვერსიით, მსოფლიოს წლის ნაკრები კი ასე გამოიყურება: *მანუელ ნოიერი, ფილიპ ლამი, ტიაგო სილვა, სერხიო რამოსი, დავიდ ალაბა, გარეთ ბეილი, მარკო როისი, მესუთ იოზილი, ფრანკ რიბერი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, კრიშტიანო რონალდო.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**საფრანგეთი. ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

# ნანტის მწარე შურისძიება
## ტრუა ნახევარფინალშია


„ნანტმა“ ნახევარფინალის საგზური დიდ ბრძოლაში მოიპოვა

**ნანტი–ნიცა 4:3**

**გოლები:** 0:1 დიგარი (17), 1:1 ჯორჯევიჩი (48), 2:1 ჯორჯევიჩი (52), 2:2 კოლოძიეჩაკი (72), 3:2 ვისკარონდო (77), 3:3 ცვიტანიჩი (86), 4:3 გაკპე (87)

**ტრუა–ევიანი 3:1**

**გოლები:** 1:0 ნივე (33), 2:0 გიმბერი (44), 2:1 ნსიკულუ (69), 3:1 კაბო (90)

**ლიონი–მარსელი 2:1**

**გოლები:** 1:0 გურკუფი (24), 2:0 გომისი (74), 2:1 ჟინიაკი (89-პენ.)

**ლიონი (4-3-3):** ენტონი ლოპეში - მიგელ ლოპეში, ბიშევაცი, უმტიტი, ბედიმო - ფოფანა, გონალონი, გრენიე (90+4. ფექირი) - გურკუფი (84. მალბრანკი), ლაკასეტი, გომისი (84. ბრიანი)

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ფანი, ნკულუ, ლუკას მენდეში, მორელი (82. მენდი) - რომაო, იმბულა, ლემინა - ტოვენი, პაიე (65. ვალბუენა), ხელიფა (69. ჟინიაკი)

**ნახევარფინალი**

**4–5 თებერვალი**

ნანტი-პსჟ
ლიონი-ტრუა

„ნანტი“ და „ნიცა“ 5 იანვარს საფრანგეთის თასის 1/32-ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, ის მატჩი ნიცელებმა 2:0 მოიგეს და ცხადია, „იადონებს“ შურისძიება სწყუროდათ, თანაც ამჯერად „სტად დე ლა ბუჟუარ-ლუი ფონტენოზე“ ნახევარფინალისტის ბედი წყდებოდა.

„ნიცა“ თავისმა კაპიტანმა **დიდიე დიგარმა** დააწინაურა, რომელმაც ამ სტადიონზე ათი დღის წინაც გამოიჩინა თავი. მეორე ტაიმი სულ ახალი დაწყებული იყო, როდესაც **ფილიპ ჯორჯევიჩმა** გოლის გემო გაიხსენა და სერბმა ოთხწუთიან მონაკვეთში 2 ბურთი შეაგდო. ორივე ეპიზოდში მონაწილეობა მიიღო 26 წლის ტოგოელმა **სერჟ გაკპემ**.

იმ მომენტისთვის გულშემატკივრებს ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინათ თუ რა ელოდათ წინ... ჯერ **ტიმოტე კოლოძიეჩაკმა** გაიტანა თავურით, 77-ე წუთზე კი **ოსვალდო ვისკარონდოს** თავურის დროც მოვიდა და მძლავრი დარტყმით ვენესუელელმა კიდევ ერთხელ გაიყვანა მასპინძელი გუნდი წინ. თუმცა სტუმრებმა ამჯერადაც გაათანაბრეს, **კლოდ პუელს** შეცვლები კარგად გამოუცნია - **ერიკ ბოატეკმა დარიო ცვიტანიჩს** უპასა და 3:3. ბოატეკი 20 წუთის გამოსული გახლდათ, აი, ცვიტანიჩი კი - სულ რამდენიმე წამის. აღსანიშნავია, რომ ნიცელთა გოლეადორს 3 ნოემბრის მერე არ გაეტანა და მისთვის ეს ბურთი ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ამ შესანიშნავ თრილერს წერტილი გაკპემ დაუსვა, რომელმაც სადღაც 30 მეტრიდან გაისროლა, ბურთი **ვერონეზეს** წინ დაეცა და კარში შევიდა - 4:3! „ნანტი“ ლიგის თასის ნახევარფინალში გავიდა, სადაც პსჟ-ს შეხვდება, რომელმაც ერთი დღით ადრე „ბორდო“ დაამარცხა.

ამ სტადიაზე შემორჩენილი ერთადერთი ქვედალიგელი „ტრუა“ საკუთარ კედლებში „ევიანს“ მასპინძლობდა. ტრუელთა ვეტერანი ქარიზმატული ლიდერი **ბენჟამინ ნივე** ისევ შეუჩერებელი იყო. მან ეფექტური გოლით გახსნა ანგარიში, ხოლო ტაიმის მიწურულს **გისლენ გიმბერს** გაატანინა. თავის მხრივ გიმბერი პირველი გოლისას იყო კომბინაციის მონაწილე.

**პასკალ დუპრაზმა** შეტევის გასაძლიერებლად **მოდუ სუგუ, მარკო რუბენი** და **კლერკ ნსიკულუ** შემოიყვანა. ეს უკანასკნელი მინდორზე წუთის გამოსული იყო, სხვაობა რომ შეამცირა. „ევიანმა“ ბოლო წუთებში ნამდვილი შტურმი მოუწყო მეტოქეს, მაგრამ „ტრუამ“ გმირულად გაძლო, მეტოქე აქეთ გამოიჭირა კონტრშეტევაზე და ყველასთვის მოულოდნელად ნახევარფინალშიც აღმოჩნდა. ევიანელთათვის ეს ყველა ტურნირის გათვალისწინებით ზედიზედ მეხუთე წაგება გახლდათ.

„ჟერლანზე“ კი „ოლიმპიკების“ დერბი იმართებოდა, ერთმანეთს ამ ტურნირის 2012 წლის ფინალისტები ხვდებოდნენ. საბოლოო ჯამში, „ლიონმა“ დაამტკიცა, რომ მშვენიერ ფორმაშია შესული, უკეთ ითამაშა და მოიგო.

**კრისტიან გურკუფმა** თავისი მე-100 შეხვედრა გოლით აღნიშნა, ეს მისი მე-5 ბურთია მიმდინარე სეზონში. გურკუფმა **კლემან გრენიეს** მშვენიერ საჯარიმო დარტყმულს დაამატა.

მეორე გოლი **რემი გარდის** გუნდმა ლამაზი კომბინაციის შემდეგ შეაგდო - **ენტონი ლაკასეტმა** გურკუფთან კოხტა კედელი გაათამაშა და **ბაფეტიმბი გომისსაც** ელეგანტურად უპასა, ბაფემ კი ბოლო 8 მატჩში მერვე გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ გომისი „ლიონში“ ბოლო სეზონს ატარებს, მან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ გარდი მაინც მუდმივად შემადგენლობაში აყენებს.

„მარსელი“ ორი ბურთის გამქვითავი არ ჩანდა და ერთადერთი, რაც **ჟოზე ანიგოს** ბიჭებმა შეძლეს, სხვაობის შემცირება იყო, ისიც ბოლო წუთზე. **ჯიმი ბრიანმა** ხელით ითამაშა და შეცვლაზე შესულმა **ანდრე-პიერ ჟინიაკმა**, რომელსაც მიკროტრავმა ჰქონდა, თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა. ეს ჟინიაკის მერვე გოლი გახლდათ ბოლო 7 თამაშში. ამრიგად, 2010, 2011 და 2012 წლებში ლიგის თასის გამარჯვებული „მარსელი“ ტურნირს გამოეთიშა.

**გიორგი პაპაბაძე**

**საფრანგეთი. ლიგა 1. XXI ტურის წინ**

# გარდამტეხი ტური

| 17 იანვარი | |
|---|---|
| სტ.ეტიენი-ლილი | 23:30 |
| **18 იანვარი** | |
| მარსელი-ვალანსიენი | 20:00 |
| ბასტია-ბორდო | 23:00 |
| ლორიანი-გენგამი | 23:00 |
| ნიცა-აიაჩო | 23:00 |
| რენი-ევიანი | 23:00 |
| სოშო-მონპელიე | 23:00 |
| **19 იანვარი** | |
| რეიმსი-ლიონი | 17:00 |
| ტულუზი-მონაკო | 20:00 |
| პსჟ-ნანტი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 20 | 14 | 5 | 1 | 46-14 | 47 |
| 2. მონაკო | 20 | 12 | 6 | 2 | 32-14 | 42 |
| 3. ლილი | 20 | 12 | 4 | 4 | 23-10 | 40 |
| 4. სტ. ეტიენი | 20 | 10 | 4 | 6 | 28-20 | 34 |
| 5. მარსელი | 20 | 9 | 5 | 6 | 29-21 | 32 |
| 6. ნანტი | 20 | 10 | 2 | 8 | 24-17 | 32 |
| 7. რეიმსი | 20 | 8 | 8 | 4 | 25-22 | 32 |
| 8. ბორდო | 20 | 8 | 7 | 5 | 27-22 | 31 |
| 9. ლიონი | 20 | 7 | 7 | 6 | 30-27 | 28 |
| 10. ტულუზი | 20 | 7 | 7 | 6 | 21-24 | 28 |
| 11. ლორიანი | 20 | 8 | 3 | 9 | 26-27 | 27 |
| 12. გენგამი | 20 | 6 | 7 | 7 | 19-19 | 25 |
| 13. ბასტია | 20 | 6 | 6 | 8 | 23-29 | 24 |
| 14. ნიცა | 20 | 7 | 3 | 10 | 18-25 | 24 |
| 15. რენი | 20 | 5 | 7 | 8 | 22-24 | 22 |
| 16. ევიანი | 20 | 5 | 5 | 10 | 20-34 | 20 |
| 17. მონპელიე | 20 | 2 | 12 | 6 | 19-25 | 18 |
| 18. ვალანსიენი | 20 | 4 | 5 | 11 | 20-30 | 17 |
| 19. სოშო | 20 | 2 | 5 | 13 | 15-41 | 11 |
| 20. აიაჩო | 20 | 1 | 6 | 13 | 14-36 | 9 |

**ბომბარდირები:** 15 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 12 - ედინსონ კავანი (პსჟ); 11 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი); 9 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი), რადამელ ფალკაო (მონაკო), ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი); 8 - ემანუელ რივიერი (მონაკო), ფილიპ ჯორჯევიჩი (ნანტი)

ტური დედაქალაქში დასრულდება, სადაც **მიშელ დერ ზაქარიანის** „იადონები“ ჩაფრინდებიან, რომლებიც ლიგის თასზე „ნიცას“ ძლევით და ნახევარფინალში გასვლით არიან ფრთაშესხმულნი. სხვათა შორის, იქ „ნანტი“ სწორედ „პარი სენ ჟერმენს“ შეხვდება, ოღონდ საკუთარ მოედანზე. იქამდე კი **ლორან ბლანის** ბიჭები ჩემპიონატში შეეცდებიან ხუთეულისთვის მებრძოლი მეტოქის მინაზე დანარცხებას.

„ლილის“ თამაშზე ახლახან ვსაუბრობდით და არანაკლებ რთული გასვლა ელოდება „მონაკოს“, რომელიც „ტულუზს“ სტუმრობს. ასე რომ, პარიზელები შეეცდებიან მდევრებთან კიდევ უფრო გაზარდონ უპირატესობა, რადგან თებერვალს მაქსიმალურად კომფორტული უპირატესობით შეხვდნენ და მერე აქცენტი ჩემპიონთა ლიგაზე გააკეთონ.

„მონაკო“ ვახსენეთ და **კლაუდიო რანიერის** მართლაც სახიფათო რანდევუ აქვს **ალენ კაზანოვასთან**. ფორმაში შესული „ბორდოს“ ძლევით ტულუზელებმა მერამდენედ დაამტკიცეს, რომ მათგან ყველაფერია მოსალოდნელი. აი მონტეკარლოელთა ბოლოდროინდელი თამაში კი ხშირად დგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ და ვნახოთ, უპასუხებს თუ არა გუნდი კრიტიკოსებს ძახილის ნიშნით.

## რა ხდება სხვაგან?

ტური იმითაც არის განსაკუთრებული, რომ თითქმის ყველა მატჩს სერიოზული სატურნირო დატვირთვა აქვს. თუნდაც „რენი“-“ევიანის“ შეხვედრა ავიღოთ - ბრეტონელებს სეზონი უვარდებათ, მაგრამ **ფილიპ მონტანიე** ნელნელა ცდილობს გუნდის ფეხზე დაყენებას და თუ ამ შეხვედრას მოიგებს, მკვეთრ ხაზს გაუსვამს თავის გუნდსა და ბოლო ხუთეულს შორის.



ზლატან იბრაჰიმოვიჩის პსჟ-ს 6 წელია, „ნანტისთვის“ არ უმასპინძლია

## მთავარი მატჩები

ისე დაემთხვა, რომ ტურის მთავარი დაპირისპირებები გახსნით და დახურვის მატჩებში გველის. ყველაფერი „სენტ ეტიენისა“ და „ლილის“ დუელით იწყება. „მწვანეები“ შეეცდებიან „ლილს“ ჯოჯოხეთი მოუწყონ, რა, რა და „ჟოფრუა გიშარზე“ ეს არ ეშლებათ. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, სამეული ზედმეტად წინ გაქცეული გვეჩვენებოდა, მაგრამ ლილში „რეიმსის“ სენსაციურმა გამარჯვებამ ბევრი რამ შეცვალა. ახლა გარდამტეხი მომენტია, ყოველ შემთხვევაში „სენტ ეტიენისთვის“ - თუ **კრისტოფ გალტიეს** გუნდი მოიგებს, მესამეადგილოსან მეტოქესთან სხვაობას 3 ქულამდე შეამცირებს ანუ 3 ქულაღა დარჩება ჩემპიონთა ლიგის საგზურამდე - ამაზე მეტი მოტივატორი ძნელი საპოვნელია.

რალაცები **რენე ჟირარსაც** დასამტკიცებელი აქვს. რეიმსელებთან შეხვედრაში გამოჩნდა, რომ მისი გუნდის დაცვა და მეკარე აღარც ისეთი აუღებელია, ხოლო შეტევაში ბევრი მომენტის შექმნა გუნდს ისევ უჭირს - ათეულში „ლილზე“ ცოტა გოლი, მხოლოდ მე-9 ადგილზე მყოფ „ტულუზს“ აქვს გატანილი. მოკლედ, ისეთი მატჩია, არაფრით რომ არ უნდა გამოტოვოთ.

„ლილის“ მომგები „რეიმსი“ ამჯერად „ლიონის“ წაქცევას ეცდება - მეოთხე ადგილი უკვე ერთი ხელის გაწვდენაზეა. თუმცა **რემი გარდის** გუნდი ფორმაშია და თავისი გეგმები აქვს. თუ სტუმრები მოიგებენ, ევროსაგზურისთვის ბრძოლას აქტიურად დაუბრუნდებიან, ძნელი კი იქნება.

გამოვარჩიოთ „მარსელი“-“ვალანსიენიც“. წლების წინ რამხელა სკანდალი დაუკავშირდა ამ გუნდების შეხვედრას, მშვენივრად იცით და მათ მატჩს ყოველთვის თან გასდევს წარსულის გარკვეული აჩრდილი. მარსელელები ყველანაირად იბრძვიან იმისთვის რომ ევოზონის მიღმა არ დარჩნენ. **ანდრე-პიერ ჟინიაკი** შესაშურ ფორმაშია, დაბრუნდა **მატიო ვალბუენა**... „ვალანსიენი“ კი ბევრად უკეთ ათამაშდა და უსაფრთხო ზონას ერთი ქულაღა აშორებს. ასე რომ, „ველოდრომზე“ დიდი ომია მოსალოდნელი.

**გიორგი პაპაბაძე**

**ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები**

# პირველი ოქროს ბურთის შემდეგ
## მიკელ რიკოს მეორე სუნთქვა

**ესპანიოლი–ალკორკონი 4:2 (0:1)**

**გოლები:** 0:1 ოსკარ პლანო (4), 1:1 სიმაო (9), 2:1 სერხიო გარსია (23-პენ), 2:2 ხავიტო (80), 3:2 ვიქტორ ალვარესი (83), 4:2 პიცი (86)

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხავი ლოპესი, ვიქტორ ალვარესი (87. ე. მორენო), სიდნეი, კაპდევილა - აბრაჰამი, ალექსი (82. ლანსაროტე) - სერხიო გარსია, სტუანი, სიმაო (64. პიცი) - ჯ. კორდობა

**მაყურებელი:** 10 120

**ბილბაო–ბეტისი 2:0 (0:1)**

**გოლები:** 1:0 მიკელ რიკო (22), 2:0 მიკელ რიკო (76)

**ბილბაო (4-2-3-1):** იაგო - ირაოლა, სან ხოსე, ლაპორტი, ბალენსიაგა - იტურასპე, მიკელ რიკო (86. გურპეგი) - დე მარკოსი, ანდერ ერერა (76. ბენიატი), იბაი გომესი - ადურისი (66. კიკე სოლა)

**ბეტისი (4-2-3-1):** სარა - ხოსე კარო, ამაია, ჩიკა, დიდაკ ვილა - მატილია, ლ. რეიესი (71. პერკისი) - ხუან კარლოსი, სალვა სევილია (62. რუბენ კასტრო), ლეო ბაპტიშტაო (75. ჩული) - ხორხე მოლინა

**გაფრთხილება:** ადურისი - ამაია, სარა

**მაყურებელი:** 36 000

**ლევანტე–ვალეკანო 1:0 (0:0)**

**გოლი:** 1:0 ბარალი (42)

**ლევანტე (4-4-2):** ხავი ხიმენესი - ნაგორე, ვინტრა, ელ ადუა, კარაბელასი (81. ხუანფრანი) - ელ ჟარი (90. ნონგი), კამარასა, სერჟიუ პუნტუ, პედრო რიოსი (86. სუმეტრა) - ანხელი, ბარალი

**ვალეკანო (4-2-3-1):** კობენიო - მარიო გომესი, გალვესი, გალეანო (75. ა. ბუენო), ნაჩო მარტინესი - ბაენა, საულ ნიგესი - ადრი ემბარბა, ადრიანი, იაგო ფალკე (82. რუბენ რამირო) - ნ. კასტილიო (46. ლარივეი)

**გაფრთხილება:** ბარალი, ნაგორე, ელ ჟარი - გალეანო, იაგო ფალკე, გალვესი

**მაყურებელი:** 7 500

**ოსასუნა–რეალი 0:2 (0:2)**

**გოლები:** 0:1 კრიშტიანო რონალდო (21), 0:2 დი მარია (55)

**ოსასუნა (4-2-3-1):** ანდრეს ფერნანდესი - ოიერი, ფლანიო, ლოტიე, ორიოლი (65. სატრუსტეგი) - ლოე, პუნიალი - სეხუდო (61. ხოსე გარსია), დე ლას კუევასი (80. ორიოლ რიერა), რ. ტორესი - ხ. აკუნია

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო - ჩაბი ალონსო (64. კაზემირო), ილიარამენდი - დი მარია, ისკო, კრიშტიანო რონალდო (62. ბეილი) - ხესე როდრიგესი (68. მორატა)

**გაფრთხილება:** ორიოლ რიერა, ოიერი, ლოე, რ. ტორესი - არბელოა, ფ. კოენტრაო

**გაძევება:** ფ. კოენტრაო (84. რეალი)

**მაყურებელი:** 10 403

| | |
|---|---|
| ვილიარეალი-სოსიედადი | 0:1 (0:0) |
| ხეტაფე-ბარსელონა | 0:2 (0:4) |

**სამეფო თასის მერვედფინალური ეტაპის დარჩენილ შეხვედრებში სენსაცია არ მომხდარა. შეგახსენებთ, რომ სამშაბათს 1/4 ფინალის საგზური მესამე დივიზიონის სანტანდერის „რასინგმა“ მოიპოვა, აი, ოთხშაბათის შეხვედრებმა კი მოულოდნელობის გარეშე ჩაიარა...**

„რეალმა“ „ოსასუნას“ საპასუხო მატჩშიც 2:0 მოუგო და მომდევნო ეტაპზე მშვიდად გავიდა. ანგარიში 21-ე წუთზე **კრიშტიანო რონალდომ** გახსნა და ამ წყვილში ყველაფერი გაარკვია. კი ვთქვით, რომ ანგარიში რონალდომ გახსნა, მაგრამ გოლში მასზე დიდი წვლილი მასპინძელთა მეკარეს, **ანდრეს ფერნანდესს** მიუძღოდა - „ოსასუნას“ კარის დარაჯმა, პორტუგალიელის დარტყმის შემდეგ, ზუსტად მისკენ წასული ბურთი მუშტებით იმდენად ცუდად და უცნაურად მოიგერია, რომ ბურთი მის წინ დაეცა, ფეხებს შორის გაუძვრა, საჯდომზე მოხვდა და კარში ისე აღმოჩნდა - მართლაც, უცნაური და სასაცილო სანახაობა იყო.

მეორე ტაიმში ერთი ბურთი **დი მარიამაც** გაიტანა, ხოლო ბოლო წუთებზე **ფაბიო კოენტრაომ** „მოახერხა“ და ასეთ თამაშში წითელი ბარათი მიიღო. ახლა, პორტუგალიელი 1/4 ფინალის პირველ შეხვედრას გამოტოვებს, რომელშიც „რეალის“ მეტოქე „ესპანიოლი“ იქნება, ვინც მცირე სასწაული მოახდინა - მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად „ესპანიოლს“ ორი გოლის გატანა სჭირდებოდა, რაც **ხავიერ აგირეს** შეგირდებმა მოახერხეს კიდეც. **ვიქტორ ალვარესმა** და **პიციმ** სამწუთიან მონაკვეთში სტუმართა კარი ორჯერ აიღეს და „კორნელია ელ პრატზე“ შეკრებილი პუბლიკა უზომოდ გაახარეს. არადა, „ალკორკონს“ რომ გაეძლო, „რეალს“ სწორედ ის შეხვდებოდა და „სამეფო კლუბს“ 2009 წელს განცდილი კოშმარული მარცხისთვის (0:4) რევანშის აღების შანსი მიეცემოდა.

**მიკელ რიკოს** მორიგი გოლებით იმარჯვა ბილბაოს „ატლეტიკმა“, რომელმაც ლა ლიგაში ბოლო ადგილზე მყოფი „ბეტისი“ დაამარცხა. ბასკების საყრდენი, ვინც გუნდში ამ სეზონის დაწყების წინ „გრანადადან“ მივიდა, საოცრად შედეგიანია - ჩემპიონატში მის ანგარიშზე 5 გოლია, რაც გუნდში საუკეთესო შედეგია. საინტერესოა, რომ წინა სამ სეზონში, 36 წლის ნახევარმცველმა „გრანადას“ რიგებში პრიმერაში სულ 5 გოლი გაიტანა, თასზე კი თავი ერთხელაც არ გამოუჩენია. მოკლედ, მიკელ რიკოზეა ნათქვამი, მეორე ახალგაზრდობას განიცდისო.

კიდევ ერთ წყვილში კი ყველაფერი ერთმა გოლმა გადაწყვიტა - „ლევანტეს“ საუკეთესო სნაიპერმა **დავიდ ბარალმა** **კობენიოს** კარი დალაშქრა და „ბაყაყები“ თასის 1/4 ფინალში ისტორიაში მეორედ გაიყვანა.

1/8 ფინალის დარჩენილი ორი მატჩი გუშინ გვიან დასრულდა და 1/4 ფინალის ყველა მონაწილე გაირკვა. აი, ვინ ითამაშებენ 21-23 და 28-30 იანვარს: „ლევანტე“-“ბარსელონა“, „სოსიედადი“-“რასინგი“, „ესპანიოლი“-“რეალი“, „ატლეტიკო“-“ბილბაო“.

**ტატო ბაციკაძე**

ესპანეთი. ლა ლიგა. XX ტურის წინ

# დაამარცხე რეალი ან წადი



ხუან კარლოს გარიდო მძიმე მდგომარეობაშია

## 17 იანვარი

**მალაგა-ვალენსია** 00:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ელიზეუ, კასადო - ბანეგა

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (4-5) +2 =0 -4 (9-10)

ურთიერთშეხვედრები

სულ 25 თამაში: +3 =6 -16 (24:46)

## 18 იანვარი

**ბეტისი-რეალი** 19:00

**დისკვალიფიკაცია:** ნონო (ბეტისი)
**ტრავმა:** ვადილიო, პერკისი, იგიებორი, ხავი ტორესი - ვარანი, ხედირა

ბოლო 6 მატჩი

+0 =2 -4 (4-14) +5 =1 -0 (18-5)

ურთიერთშეხვედრები

სულ 37 თამაში: +7 =12 -18 (36:59)

**ელჩე-ვალეკანო** 21:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** საპუნარუ, მანუ ერერა, ა. ხიმენესი - ა. პერეა, სება ფერნანდესი, ხოსე კარლოსი

ბოლო 6 მატჩი

+0 =2 -4 (3-11) +1 =1 -4 (7-15)

ურთიერთშეხვედრები

სულ 11 თამაში: +8 =2 -1 (18:12)

**გრანადა-ოსასუნა** 23:00

**დისკვალიფიკაცია:** ანდრეს ფერნანდესი (ოსასუნა)
**ტრავმა:** დანი ბენიტესი, იგალო, მურილიო - ე. არმენტეროსი, ონვუ, სისი, ნინო

ბოლო 6 მატჩი

+2 =0 -4 (8-12) +2 =2 -2 (6-8)

ურთიერთშეხვედრები

სულ 5 თამაში: +3 =1 -1 (9:5)

**ესპანიოლი-სელტა** 01:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დავიდ ლოპესი - სამუელ ლორკა

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (9-7) +2 =1 -3 (9-13)

ურთიერთშეხვედრები

სულ 31 თამაში: +11 =9 -11 (42:36)

## 19 იანვარი

**ხეტაფე-სოსიედადი** 15:00

**დისკვალიფიკაცია:** ინიგო მარტინესი (სოსიედადი)
**ტრავმა:** მოსკერა, მიჩელი - დე ლა ბელია, სურუტუსა, გრანერო

ბოლო 6 მატჩი

+1 =0 -5 (3-17) +5 =0 -1 (17-11)

ურთიერთშეხვედრები

სულ 13 თამაში: +5 =5 -3 (11:14)

**ვილიარეალი-ალმერია** 20:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ე. პერესი, პაბლო ინიგესი, კანი, ფარინოსი - როდრი, ნელსონი

ბოლო 6 მატჩი

+3 =1 -2 (16-8) +2 =1 -3 (6-14)

ურთიერთშეხვედრები

სულ 14 თამაში: +5 =5 -4 (15:15)

**ლევანტე-ბარსელონა** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** დავიდ ბარალი (ლევანტე), დანი ალვეში (ბარსელონა)
**ტრავმა:** დ. ნავარო, ბ. დიავარა - ოიერი, ჯონათან დოს სანტოსი

ბოლო 6 მატჩი

+2 =0 -4 (5-10) +4 =1 -1 (15-4)

ურთიერთშეხვედრები

სულ 13 თამაში: +0 =3 -10 (8:36)

## 20 იანვარი

**ბილბაო-ვალიადოლიდი** 01:00

**დისკვალიფიკაცია:** მიკელ სან ხოსე, მიკელ რიკო (ორივე „ბილბაო")
**ტრავმა:** ალბისუა - ებერტი, გ. გარსია, ბარმეტლერი

ბოლო 6 მატჩი

+4 =1 -1 (12-6) +1 =1 -4 (5-13)

ურთიერთშეხვედრები

სულ 34 თამაში: +15 =11 -8 (43:36)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 19 | 16 | 2 | 1 | 53-12 | 50 |
| 2. ატლეტიკო | 19 | 16 | 2 | 1 | 47-11 | 50 |
| 3. რეალი | 19 | 15 | 2 | 2 | 53-21 | 47 |
| 4. ბილბაო | 19 | 11 | 3 | 5 | 32-24 | 36 |
| 5. ვილიარეალი | 19 | 10 | 4 | 5 | 37-21 | 34 |
| 6. სოსიედადი | 19 | 9 | 5 | 5 | 36-28 | 32 |
| 7. სევილია | 19 | 8 | 6 | 5 | 36-30 | 30 |
| 8. ვალენსია | 19 | 7 | 2 | 10 | 26-31 | 23 |
| 9. გრანადა | 19 | 7 | 2 | 10 | 19-25 | 23 |
| 10. ლევანტე | 19 | 6 | 5 | 8 | 18-27 | 23 |
| 11. ხეტაფე | 19 | 7 | 2 | 10 | 20-31 | 23 |
| 12. ესპანიოლი | 19 | 6 | 4 | 9 | 22-25 | 22 |
| 13. ოსასუნა | 19 | 6 | 3 | 10 | 17-29 | 21 |
| 14. მალაგა | 19 | 5 | 5 | 9 | 19-24 | 20 |
| 15. სელტა | 19 | 5 | 4 | 10 | 23-31 | 19 |
| 16. ალმერია | 19 | 5 | 4 | 10 | 21-38 | 19 |
| 17. ელჩე | 19 | 4 | 6 | 9 | 17-28 | 18 |
| 18. [ | 19 | 3 | 7 | 9 | 21-33 | 16 |
| 19. ვალეკანო | 19 | 5 | 1 | 13 | 19-45 | 16 |
| 20. ბეტისი | 19 | 2 | 5 | 12 | 16-38 | 11 |

**ბომბარდირები:** 20 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 12 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 11 - ხავი გერა (ვალიადოლიდი), პედრო (ბარსელონა), ალექსის სანჩესი (ბარსელონა), იკეჩუკვუ უჩე (ვილიარეალი)

**ლა ლიგის მეორე წრე დღეს, „ლა როსალედაზე" „მალაგას" და „ვალენსიას" მატჩით დაიწყება. ჩემპიონატის ლიდერები კი თავიანთ მატჩებს შაბათ-კვირას გამართავენ. სამივეს მეტ-ნაკლებად რთული შეხვედრა ელის - „ბარსელონა" სტუმრად „ლევანტეს" ხვდება, „რეალი" - „ბეტისს", ვისთანაც გასვლაზე თამაში უჭირს ხოლმე, ხოლო „ატლეტიკო" შესანიშნავ ფორმაში მყოფ „სევილიას" უმასპინძლებს.**

### დაუმარცხებელთა დუელი

ტურის ცენტრალურ შეხვედრად სწორედ „ატლეტიკოს" და „სევილიას" დაპირისპირება უნდა მივიჩნიოთ. ორივე გუნდი შესანიშნავ ფორმაშია - „ატლეტიკო" მიმდინარე სეზონის მთავარი აღმოჩენა გახლავთ და თავს 10-მატჩიანი წაუგებელი სერიით იწონებს. „სევილიას" კი, ჩემპიონატის დაწყების წინ, ბევრი მე-4 ადგილის დაკავებას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ **უნაი ემერის** სტარტზე გუნდის დალაგება გაუჭირდა, თუმცა ბოლოს ანდალუსიური კლუბის ახალწვეულები ერთმანეთს და პრიმერას გაუშინაურდნენ და შედეგად, ანდალუსიელები უკვე მე-7 ადგილზე არიან, თანაც ბილბაოს „ატლეტიკს" მხოლოდ 6 ქულით ჩამორჩებიან. წაუგებელი სერიით თავს სტუმარიც იწონებს - „სევილიას" ბოლო 7 მატჩია, არ წაუგია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ვისენტე კალდერონზე" ის აუტსაიდერის რანგში ჩადის.

„ატლეტიკოს" ფავორიტობას ხელს არა მხოლოდ უკეთესი სატურნირო მდგომარეობა, არამედ ამ გუნდების ბოლო ურთიერთშეხვედრებიც უწყობს. უკანასკნელად „სევილიამ" მეტოქეს 2010 წელს სძლია, იქიდან მოყოლებული კი ჩემპიონატში თუ თასზე გამართული რვა მატჩიდან 4 „როხიბლანკომ" მოიგო, 4 კი ფრედ დასრულდა.

გუნდების ბანაკში განსაკუთრებული ან ახალი დანაკლისი არ არის, მაგრამ არის ერთი ფაქტორი, რომელიც „სევილიას" შანსებს ზრდის - **დიეგო სიმეონეს** გუნდმა ბოლო 10 დღეში სამი ურთულესი მატჩი ჩაატარა (ორი „ვალენსიასთან" თასზე და ერთი „ბარსელონასთან"), სადაც არგენტინელს როტაციის დიდი საშუალება არ მისცემია. შესაბამისად, არაა გამორიცხული მადრიდელი ფეხბურთელები გადაღლილები იყვნენ.

### გარიდოს ბოლო შანსი

„ბენიტო ვილიამარინზე" თამაში ნებისმიერ გუნდს უჭირს, მათ შორის მადრიდის „რეალსაც", თუმცა წლევანდელ სეზონში „ბეტისი" იმდენად უსუსურია, ძნელი წარმოსადგენია, მასპინძლებმა „სამეფო კლუბს" სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ.

მადრიდელთა ბანაკში კარგი განწყობაა - **კრიშტიანო რონალდომ** „ოქროს ბურთი" მოიგო და ეს შესანიშნავი მოვლენა პირველივე თამაშში („ოსასუნასთან") გოლით აღნიშნა, მისი გუნდი კი სამეფო თასის 1/4 ფინალში გავიდა. ჩემპიონატში „რეალმა" ლიდერებთან სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა, შაბათს კი სულაც კონკურენტების დაწევის შანსი აქვს. რადიკალურად განსხვავებული განწყობაა „ბეტისში": მოგებით ხომ არავის არაფერი მოუგია, თავად გუნდს ჩემპიონატში უკვე 12 მატჩია არ უმარჯვია. რაც შეეხება თასს: სევილიელებმა ბილბაოში 0:2 წააგეს და ტურნირს გამოეთიშნენ.

ესპანურ პრესაში უკვე იმაზეც საუბრობენ, რომ **ხუან კარლოს გარიდოს** დანიშვნა შეცდომა იყო, რადგან პეპე მელის შემცვლელმა სიტუაცია ვერ გამოასწორა და გუნდი ისევე მიექანება სეგუნდა დივიზიონისკენ, როგორც ამას ყოფილი მწვრთნელის ხელში აკეთებდა. ჟურნალისტების ვარაუდით, მორიგი წარუმატებლობის შემთხვევაში, გარიდოს კარისკენ მიუთითებენ. თავადაც ხვდებით, რომ ამ სიტუაციაში, პოსტზე დარჩენის შანსი ესპანელ სპეციალისტს მინიმალურზე მინიმალური აქვს.

### ბარალის გარეშე

„ლევანტეს" „ბარსელონასთან" შეხვედრაში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი (4 გოლით, **ელ ჟართან** ერთად) **დავიდ ბარალი** არ ეყოლება, რომელმაც წინა ტურში მეხუთე ყვითელი ბარათი და დისკვალიფიკაცია მიიღო. ამავე მიზეზით, კატალონიელებს **დანი ალვეში** დააკლდებათ, რომელსაც შემადგენლობაში **მარტინ მონტოია** შეცვლის, აი, **ხოაკინ კაპაროსს** კი სერიოზული თავისტკივილი ელის, რადგან ბარალის გარდა, გუნდის მეორე საუკეთესო თავდამსხმელი **ბაბა დიავარა** (3 გოლი) ტრავმირებულია, „ლევანტეს" სხვა ფორვარდებს კი ამ სეზონში გოლი არ გაუტანიათ.

ვალენსიელებს მრისხანე მეტოქე არასდროს დაუმარცხებიათ და ამის გაკეთების შანსი არც ახლა უნდა ჰქონდეთ. მოსალოდნელია, რომ **ხერარდო მარტინო** ძირითად შემადგენლობაში **ლიონელ მესის** დააბრუნებს, რომელიც **ნეიმართან** ერთად, „ატლეტიკოსთან" სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ბრაზილიელზე იმავეს თქმა რთულია, რადგან მისი კონკურენტები, **პედრო** და **ალექსის სანჩესი** ძალიან კარგ ფორმაში არიან.

### ბრძოლა ოთხეულისთვის

მეოთხე ადგილზე მყოფი ბილბაოს „ატლეტიკი", რომელიც საკუთარ მოედანზე დაუმარცხებელია, თასზე „ბეტისთან" გამარჯვების შემდეგ მორიგ საშინაო მატჩს „ვალიადოლიდთან" გამართავს და ეცდება დაკავებული პოზიცია მინიმუმ ერთი ტურით მაინც შეინარჩუნოს. ბასკებს ორი მიკელი აკლიათ - **სან ხოსემ** და **რიკომ** წინა ტურში მეხუთე ყვითელი ბარათები მიიღეს. გუნდს განსაკუთრებით უკანასკნელის არყოფნა უნდა დაეტყოს, რადგან მიკელ რიკო, მიუხედავად ასაკისა (36 წლისაა) და პოზიციისა (საყრდენი ნახევარმცველია) 5 გოლით „ატლეტიკის" საუკეთესო ბომბარდირია.

„ბილბაოს" უახლოესი მდევრები „ვილიარეალი" და „სოსიედადი", შესაბამისად „ალმერიას" და „ხეტაფეს" ხვდებიან. „ყვითელი წყალქვეშა ნავი" ორმატჩიანი მოგებათა სერიის გაგრძელებას ეცდება, „სოსიედადს" კი წინა ტურში განცდილი სამარცხვინო წაგების შემდეგ (1:5, „ვილიარეალთან") გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაციის შანსი საშინელ ფორმაში მყოფ „ხეტაფესთან" აქვს, რომელმაც ბოლო 4 მატჩი წააგო.

ბოლოს კი ერთი საინტერესო სტატისტიკა: „ელჩემ" უკანასკნელ 9 ტურში მხოლოდ 4 ქულა მოაგროვა, მაგრამ ამჯერად ხვდება კლუბს, ვისთანაც სეგუნდაში გამართული 10 მატჩიდან 8 მოიგო და 2 ფრედ დაასრულა. „რაიო ვალეკანომ" ვალენსიელების დამარცხება მხოლოდ პრიმერაში, პირველი ტურის შეხვედრაში (3:0) შეძლო. ვნახოთ, მოახერხებს თუ არა „ელჩე" რევანშის აღებას და 5-მატჩიანი მოუგებელი სერიის დასრულებას.

**11.01. მადრიდი. ვისენტე კალდერონი** 00:00

**ატლეტიკო**

ბოლო 6 მატჩი

+4 =2 -0 (10-3) +4 =2 -0 (13-4)

ურთიერთშეხვედრები

სულ 38 თამაში: +12 =12 -14 (51:52)

**სევილია**

სავარაუდო შემადგენლობები

ატლეტიკო: კურტუა; გოდინი, მირანდა, ხუანფრანი, ფ. ლუიში; ტიაგო, გაბი, კოკე, ა. თურანი; დ. კოშტა, ვილია

სევილია: ბაკა; ვიტოლო, რეიესი, რაკიტიჩი, იბორა, მბია, ფ. ნავარო, კოკე, კარასო, ფასიო; ბეტუ

**დისკვალიფიკაცია:** დიოგო ფიგეირაში (სევილია)
**ტრავმა:** მარიო სუარესი - ჩერიშევი, სისინიო

სავარაუდო ტრანსფერები

## პრიმერას გუნდებს შეტევის გაძლიერება სურთ

პრიმერა დივიზიონის რამდენიმე გუნდი წინა ხაზის გაძლიერებას ეშურება, რის შედეგადაც, შესაძლოა, ლა ლიგაში საინტერესო ახალწვეულები გამოჩნდნენ. მაგალითად, მილანის „ინტერის" ახალგაზრდა ფორვარდი **სამუელ ლონგო**, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი „ვერონაში" გაატარა, კარიერას „ლევანტეში" გააგრძელებს და ვალენსიურ კლუბში ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩება. 22 წლის ლონგომ „ვერონაში" სულ ორი მატჩი ითამაშა, მაგრამ ერთი გოლის გატანა მაინც მოასწრო. შეგახსენებთ, რომ ფორვარდი შარშან „ესპანიოლში" ირიცხებოდა, სადაც თავი 3-ჯერ (18 შეხვედრაში) გამოიჩინა. თუ დოკუმენტები დროულად გაფორმდა, ლონგოს უკვე მომდევნო ტურში, „ბარსელონასთან" თამაშის შანსი ექნება.

შეტევის გაძლიერება სურს „ელჩესაც", რომელიც **მარკო ბორიელოს** გადაბირებას აპირებს. ვალენსიელებს **ლეო ბაპტიშტაოს** იჯარით აყვანა სურდათ, მაგრამ ბრაზილიელი „ბეტისში" აღმოჩნდა, რის შემდეგაც „ელჩეს" ხელმძღვანელებმა მთელი ყურადღება იტალიელზე გადაიტანეს, რომელსაც „რომაში" სათამაშო პრაქტიკა აკლია (11 თამაში, 1 გოლი). 31 წლის ფორვარდით „ვესტ ჰემიც" არის დაინტერესებული, მაგრამ თავად იტალიელს პირენეებზე ურჩევნია თამაში.

ერთბაშად ორ მოთამაშეს აკვირდება „ხეტაფე". მადრიდელებს **ჩიპრიან მარიკას** და **ადრიან კოლუნგას** სახით ორად ორი ფორვარდი ჰყავთ, თანაც ესპანელს თვალი გუნდიდან წასვლაზე უჭირავს. ჟურნალისტების ცნობით, „ხეტაფეს" ხელმძღვანელები **ტიევის** და **ობაფემი მარტინსის** ტრანსფერებზე ფიქრობენ. ახალგაზრდა ფრანგს „ესპანიოლში" თამაშის შანსი იშვიათად ეძლევა და მას „მალაგაც" აკვირდება, მუდამ ახალგაზრდა (ჯერ კიდევ 29 წლისაა!) მარტინსი კი „სიეტლ საუნდერსის" ფეხბურთელია, რომლის რიგებშიც შარშან მან 8 გოლი (21 თამაშში) გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



მარკო ბორიელო შესაძლოა „ელჩეში" ამოჩნდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტურის წინ


ლონდონში დევიდ მოიესი და ჟოზე მოურინიო ევროპული უქმეების მთავარ სანახაობას შემოგვთავაზებენ

# მოუ VS მოი

## ვან პერსით, მაგრამ რუნის გარეშე

### 18 იანვარი

**სანდერლენდი-საუთჰემ. 16:45**

**დისკვალიფიკაცია:** - ოსვალდო
**ტრავმა:** ვესტვუდი, კუელიარი -

ბოლო 6 მატჩი
+2=3-1 | +2=1-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 36 თამაში: +11=9-16 (37-47)

**არსენალი-ფულჰემი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** არტეტა, ბენდტნერი, დიაბი, უოლკოტი - ბრიგსი

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 | +2=0-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 49 თამაში: +32=10-7 (106-54)

**პალასი-სტოკი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტომასი, ჰანტი, მარი - ბეგოვიჩი, გუიდეტი

ბოლო 6 მატჩი
+1=1-4 | +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 31 თამაში: +15=6-10 (48-38)

**სიტი-კარდიფი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** როდუელი - მატჩი, ე. ტეილორი

ბოლო 6 მატჩი
+6=0-0 | +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 27 თამაში: +10=11-6 (53-45)

**ნორვიჩი-ჰალი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტერნერი, ჰაუსონი, ე. ბენეტი, პილკინგტონი, ტეტი - ბრეიდი, ალუკო, მაკშეინი

ბოლო 6 მატჩი
+0=3-3 | +1=2-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 9 თამაში: +2=4-3 (9-11)

**ვესტ ჰემი-ნიუკასლი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ნოლანი, ტომკინსი - დებუში
**ტრავმა:** კოლინსი, ვას ტე, რიდი - რ. ტეილორი, კოლოჩინი

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 | +2=1-3
ურთიერთშეხვედრები
სულ 93 თამაში: +31=25-37 (132-145)

**ლივერპული-ასტონ ვილა 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ნზოგბია, ჯ. ბენეტი, ჰერდი, ოკორე, კოზაკი - ფლენაგანი, ხ. ენრიკე, აგერი, კოატესი

ბოლო 6 მატჩი
+4=0-2 | +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
სულ 163 თამაში: +80=35-48 (285-222)

### 19 იანვარი

**სუონსი-ტოტენჰემი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლამელა, პაულინიო - მონკი, ლამა, ერნანდესი, ვორმი, დაიერი, მიჩუ

ბოლო 6 მატჩი
+0=2-4 | +4=1-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 9 თამაში: +2=1-6 (8-12)

### 20 იანვარი

**ბრომვიჩი-ევერტონი 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ალკარასი, კონე, გიბსონი, დელოფეუ - ჯონსი

ბოლო 6 მატჩი
+1=3-2 | +4=1-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 120 თამაში: +45=30-45 (193-178)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 21 | 15 | 3 | 3 | 41-19 | 48 |
| 2. სიტი | 21 | 15 | 2 | 4 | 59-23 | 47 |
| 3. ჩელსი | 21 | 14 | 4 | 3 | 40-19 | 46 |
| 4. ლივერპული | 21 | 13 | 3 | 5 | 51-26 | 42 |
| 5. ევერტონი | 21 | 11 | 8 | 2 | 34-19 | 41 |
| 6. ტოტენჰემი | 21 | 12 | 4 | 5 | 26-25 | 40 |
| 7. იუნაიტედი | 21 | 11 | 4 | 6 | 35-24 | 37 |
| 8. ნიუკასლი | 21 | 10 | 3 | 8 | 29-27 | 33 |
| 9. საუთჰემპტონი | 21 | 8 | 6 | 7 | 27-23 | 30 |
| 10. ჰალი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-27 | 23 |
| 11. ასტონ ვილა | 21 | 6 | 5 | 10 | 20-27 | 23 |
| 12. სტოკი | 21 | 5 | 7 | 9 | 22-35 | 22 |
| 13. სუონსი | 21 | 5 | 6 | 10 | 26-30 | 21 |
| 14. ბრომვიჩი | 21 | 4 | 9 | 8 | 23-28 | 21 |
| 15. ნორვიჩი | 21 | 5 | 5 | 11 | 17-35 | 20 |
| 16. ფულჰემი | 21 | 6 | 1 | 14 | 22-46 | 19 |
| 17. ვესტ ჰემი | 21 | 4 | 6 | 11 | 21-30 | 18 |
| 18. კარდიფი | 21 | 4 | 6 | 11 | 15-34 | 18 |
| 19. სანდერლენდი | 21 | 4 | 5 | 12 | 19-34 | 17 |
| 20. პალასი | 21 | 5 | 2 | 14 | 13-31 | 17 |

**ბომბარდირები:** 22 - ლუის სუარესი (ლივერპული), 13 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 10 - ლოიკ რემი (ნიუკასლი), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი), დენიელ სტარიჯი (ლივერპული)

### პოზიტიური სიგნალი ვან პერსისგან

შაბათს „სტემფორდ ბრიჯზე“ გასამართი „ჩელსი“-“მანჩესტერ იუნაიტედი“ მარტო პრემიერლიგის კი არა, ევროპის მასშტაბით შეიძლება ჩავთვალოთ ცენტრალურ მატჩად. პირველ წრეში გუნდებმა „ოლდ ტრეფორდზე“ არც ისე საინტერესო შეხვედრაში ფრედ ითამაშეს, თანაც გოლებიც ვერ გაიტანეს. **დევიდ მოიესს** მაშინ სერიოზული პრეტენზიები ჰქონდა მატჩის არბიტრთან, ვინც სტუმართა კარში პენალტი არ დანიშნა. ცხრილის ლიდერებთან 11-ქულიანი ჩამორჩენა „იუნაიტედს“ მოსვენებას არ აძლევს. ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაზე ლაპარაკი უკვე ნაკლებად მიდის. მთავარია, გუნდმა ოთხეულში მაინც გააღწიოს, რათა „იუნაიტედის“ გაუფასურებულ აქციებს ფასი კიდევ არ დააკლდეს.

„ეშმაკებმა“ ბოლო 6 ტურში 5 მატჩი მოიგეს, მაგრამ თუკი თვალს გადაავლებთ, აღმოაჩენთ, რომ დამარცხებულთაგან ყველა რანგით დაბლა მდგომი მეტოქეა. „ტოტენჰემი“ ერთადერთი იყო თანასწორთაგან და „იუნაიტედი“ მასთან დამარცხდა. წლევანდელი „ჩელსი“ კი „დეზებზე“ უფრო ძლიერია. მანკუნიანელებს ურთულესი ამოცანის ამოხსნა მოუწევთ. სტუმართა ბანაკში პოზიტიური განწყობა შეიძლება მხოლოდ იმან შეიტანოს, რომ **რობინ ვან პერსის** თამაში შეუძლია. რამდენს განვდება თვეზე მეტის უთამაშებელი ჰოლანდიელი, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. სამაგიეროდ ჟანრის კანონი არ დარღვეულა და ოთხშაბათს ღამით ისიც გაირკვა, რომ **უეინ რუნი** გუნდს კიდევ სამი კვირით ვერ დაეხმარება.

### აუტსაიდერი რეკორდსმენის წინააღმდეგ

„მანჩესტერ სიტი“ მიმდინარე სეზონში პირველად სწორედ „კარდიფ სიტისთან“ დამარცხდა. სტუმარმა გუნდმა მაშინ სამიდან ორი გოლი დებიუტანტისგან სტანდარტულებიდან გაუშვა. „სიტის“ ფეხის დაცდენის უფლება არ აქვს და ამას ნაკლებადაც უნდა ველოდოთ, თუნდაც იმიტომ, რომ უელსელებს ახალი დამრიგებელი ჰყავთ. **ოლე გუნარ სულშერისთვის** პრემიერლიგის ორომტრიალი ახალი ხილი არ არის, მაგრამ მწვრთნელის რანგში ამ დონეზე ნორვეგიელი მაინც გამოუცდელია. თავის მხრივ **მანუელ პელეგრინის** გუნდი რეკორდს რეკორდზე ამყარებს. რომ არა სეზონის პირველი ნახევრის ჩავარდნები, ცხრილში პირველ საფეხურზე ნამდვილად ის იქნებოდა და არა „არსენალი“.

19.01. ლონდონი. სტემფორდ ბრიჯი 20:00

**ჩელსი**

ბოლო 6 მატჩი
+5=1-0 | +5=0-1
ურთიერთშეხვედრები
სულ 151 თამაში: +46=42-63 (193-248)

**იუნაიტედი**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** - ფაბიო
**ტრავმა:** ლემპარდი, ივანოვიჩი, ვან გინკელი - იანგი, ფელაინი, ნანი, რუნი

ინგლისი. ასოციაციის თასი. III ეტაპი

# ერთი გოლი მეცხრე ცამდე

**სიტი-ბლექბერნი 5:0**

**გოლები:** 1:0 ნეგრედო (45+1), 2:0 ნეგრედო (47), 3:0 ჯეკო (67), 4:0 აგუერო (73), 5:0 ჯეკო (79)

**სიტი:** პანტილიმონი, რიჩარდსი (77. ჰუვსი), ლესკოტი, ნასტასიჩი, კლიში, მილნერი, ხ. გარსია, ხ. ნავასი, ფერნანდინიო (46. კოლაროვი), ნეგრედო (72. აგუერო), ჯეკო

„მანჩესტერ სიტის“ თავკაცი **მანუელ პელეგრინი** საკუთარი გუნდით კმაყოფილი დარჩა. ეს სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან გუნდმა სეზონში ჩატარებულ 33-ე შეხვედრაში 99 გოლი გაიტანა, აქედან 59 პრემიერლიგაში (21 თამაში), 18 (6) ჩემპიონთა ლიგაში, 6 (2) ასოციაციის თასსა და 16 (4) ლიგის თასზე. „სანაქებო შედეგიანობაა. გუნდში როცა მოვედი, ვთქვი, უმთავრესი ტიტულების მოგებაა-მეთქი, თუმცა ჩემთვის ასევე მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოვახერხებთ ამას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფაქტორი არც გულშემატკივრებისთვის ნიშნავს ცოტას. სწორედ ამიტომ ვცდილობთ, რაც შეიძლება შედეგიანად ვითამაშოთ. თამაშის კონტროლითა და მინიმალური სხვაობით კმაყოფილები არასდროს ვიქნებით. პირველიდან ბოლო წუთამდე სრულად ვიხარჯებით და ამის წყალობით დაბალანსებულ და მიმზიდველ ფეხბურთს ვთამაშობთ,“ - განაცხადა პელეგრინიმ.

„სიტის“ მიღწევა პრემიერლიგის კლუბის ახალი მიღწევაა - პელეგრინის გუნდმა წინა რეკორდი 8 მატჩით გააუმჯობესა. „სიტი“ ახლა პრემიერლიგაში „კარდიფს“ მასპინძლობს და პირველივე გოლი გუნდისთვის მეასე იქნება სეზონში.


ამ გუნდში ყველას გააქვს

ამბები

## სახელისუფლებო კრიზისი წმინდანებში


პოჩეტინო პრეზიდენტს გაყჰვება?

„ტელეგრაფის“ მტკიცებით, „საუთჰემპტონს“ ზაფხულზე შესაძლოა სერიოზული პრობლემები შეექმნას. მიზეზი კლუბიდან პრეზიდენტ **ნიკოლა კორტეზეს** წასვლაა. იტალიელი ბიზნესმენი არ მალავდა, რომ ახალ მესაკუთრესთან, შვეიცარიელ **კატარინა ლიბჰერთან** საერთო ენის გამონახვა უჭირდა და სასტიკად არ მოსწონდა კლუბის მართვის მისეული სტილი. „წმინდანების“ პრობლემები ამით არ ამოიწურება. გუნდის თავკაცი **მაურისიო პოჩეტინო**, ვის სახელსაც უკავშირდება გუნდის ბოლო ერთი წლის წარმატებები, კორტეზეს გაჰყვება, რადგან ფრაუ კატარინასთან ურთიერთობის პერსპექტივა არც მას ხიბლავს. მეტიც, ის ყოფილი პრეზიდენტის მეგობრად მიიჩნევს თავს. შარშან იანვარში **ნაიჯელ ედკინსის** ნაცვლად 41 წლის არგენტინელის დანიშვნა კორტეზეს პირადი გადაწყვეტილება გახლდათ, რამაც ერთმნიშვნელოვნად გაამართლა.

## ლონგი ვეფხვებში მიდის

„ჰალ სიტი“ „ვესტ ბრომვიჩს“ 7 მილიონ ფუნტად **შეინ ლონგის** ტრანსფერზე შეუთანხმდა. 26 წლის ფეხბურთელი „ვეფხვების“ შემადგენლობაში სამედიცინო შემოწმების გავლისთანავე ჩაირიცხება. შეგახსენებთ, რომ ირლანდიელის ყიდვას ჩემპიონატის დებიუტანტები გასულ ზაფხულზეც ცდილობდნენ, მაგრამ მაშინ „ბრომვიჩმა“ ხელშეკრულება ბოლო მომენტში ჩაშალა. ორიოდე დღის წინ **სტივ ბრუსის** გუნდმა „ევერტონიდან“ **ნიკიცა იელავიჩიც** გადაიბირა. ხორვატი შემტევი 6.5 მილიონი დაჯდა, თუმცა წარმატებული ასპარეზობის შემთხვევაში მერსისაიდული კლუბი დამატებით ბონუსებსაც მიიღებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


შეინ ლონგი

● ბაიერნი

# პეპის ლუქს-პრობლემა: ხავი მარტინესი

## ხან აქ, ხან იქ, უმეტესად კი სკამზე - ასეთია 40-მილიონიანი კაცის ბედი გვარდიოლას ხელში

**როჟერინიო კოუტინიოს** „ბაიერნის" ესპანელი ნახევარმცველი **ხავი მარტინესი** ნაღდად ვერ დაივიწყებს სწრაფად და იოლად. იმიტომ, რომ ქუვეითური კლუბის ყველასათვის უცნობმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა მარტინესი ორშაბათს რამდენჯერმე გააბითურა. არადა, ბავარიულმა გრანდმა ის თამაში არც მეტი, არც ნაკლები, 8:0 მოიგო.

თავად მარტინესი ორიენტაციადაკარგული იყო, თითქმის ყველა საკვანძო ეპიზოდში დაბნეული ჩანდა. მომხდარი 25 წლის ესპანელი ფეხბურთელის ზოგად მდგომარეობასაც ნათლად ასახავს, რადგან კითხვას, სად უნდა ითამაშოს 40 მილიონ ევროდ შეძენილმა მარტინესმა, ამომწურავად თავად „ბაიერნის" დამრიგებელი **ხოსეპ გვარდიოლაც** ვერ პასუხობს.

42 წლის პეპი მოსამზადებელი შეკრების 12 თამაშში **ფილიპ ლამს** უმეტესად ნახევარდაცვაში ათამაშებდა. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გვარდიოლა თავისი 30 წლის კაპიტნის ადგილს სეზონის მეორე ნახევარშიც შუა ხაზში უფრო ხედავს, ვიდრე დაცვაში. გვარდიოლა ლამს სწორედ იმ პოზიციაზე ათამაშებს, სადაც მარტინესი **იუპ ჰაინკესის** დროს ასპარეზობდა.


მიუნხენის „ბაიერნს" ხავი მარტინესში 40 მილიონი ევრო აქვს გადახდილი

ამასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ გვარდიოლა მარტინესს ძირითადად ცენტრალური მცველის პოზიციაზე ავარჯიშებს ხოლმე, თუმცა სეზონის პირველ ნახევარში, „ბაიერნის" დაცვის ცენტრს **ჟერომ ბოატენგი და დანტე** შესანიშნავად ამაგრებდნენ და ნაკლებად სავარაუდოა, რომ პეპმა რომელიმე მათგანი ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდოს. გამოდის, რომ გვარდიოლა 40-მილიონიან მარტინესს ამ ეტაპზე უფრო სარეზერვო, როტაციისთვის გამოსადეგ მოთამაშედ მიიჩნევს ძირითადი შემადგენლობის წევრად.

„პირველ წრეში მარტინესს ძალიან ბევრი პრობლემა ჰქონდა," - აცხადებს გვარდიოლა და პრობლემებში, რა თქმა უნდა, ტრავმებს, ოპერაციას და იძულებით პაუზას გულისხმობს. პეპის განმარტება მარტინესთან დაკავშირებით ასეთია: „ხავის ორივე პოზიციაზე შეუძლია თამაში - დაცვის ცენტრშიც და საყრდენ ნახევარმცველადაც. შესაბამისად, სადაც დამჭირდება, იქ ვათამაშებ. რაც შეეხება სასტარტო შემადგენლობაში თამაშს - ამის გარანტია „ბაიერნში" ორი-სამი ფეხბურთელის გარდა თითქმის არავის აქვს."

თვითონ ესპანელი ფეხბურთელი უაღრესად მოტივირებულია და ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასაბრუნებლად ბრძოლას ბოლომდე აპირებს: „ვითამაშებ იქ, სადაც მწვრთნელი გამამწესებს. გვარდიოლამ ყველაზე კარგად იცის, სად უფრო მაღალი იქნება ჩემი მარგი ქმედების კოეფიციენტი კონკრეტულ მომენტში. ჩემთვის პრობლემა არც ისაა, რომ ხან ერთ პოზიციაზე ვითამაშო, ხანაც მეორეზე. საერთო ჯამში, ცენტრალური მცველისა და საყრდენი ნახევარმცველის პოზიციები ერთმანეთს ძალიან ჰგავს და შესაბამისად, ჩემთვის ერთიდან მეორეზე გადასვლა პრობლემატური არ იქნება," - უთხრა მარტინესმა „მიუნხენერ თაგესცაითუნგს".

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# გიუნდოგანი ბარსელონაში?

## მოლაპარაკებები დაწყებულია


ილქაი გიუნდოგანი

დორტმუნდის „ბორუსიას" და გერმანიის ნაკრების 23 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ილქაი გიუნდოგანი** „რეალში" კი არა, შესაძლოა, „ბარსელონაში" აღმოჩნდეს. ჩვენი ესპანელი და გერმანელი კოლეგების ცნობით, კატალონიურ გრანდს წარმოშობით თურქი გიუნდოგანის გადაბირება ზაფხულში უნდა.

გერმანული ტაბლოიდის, „ბილდის" ინფორმაციით, გიუნდოგანის მამა **ირფანი** და ბიძა **ილფაი** „ბარსას" ბოსებს უკვე რამდენჯერმე შეხვდნენ. როგორც ირკვევა, კატალონიელებს ილქაი 33 წლის **ჩავი ერნანდესის** შემცვლელად სურთ.

ცხადია, დორტმუნდელებს ერთ-ერთი ლიდერის დათმობა არ სურთ და გერმანული მედიის ცნობით, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გიუნდოგანი (კონტრაქტი 2015 წლამდე, ფასი: 27 მილიონი ევრო) შეინარჩუნონ. გაირკვა, რომ „ბორუსიამ" ილქაის უკვე მიმართა ახალი წინადადებით, მაგრამ ფეხბურთელი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ყოყმანობს. ილქაიმ „დორტმუნდის" შეკრება გუშინწინ მწვავე ბრონქიტის გამო დატოვა, ჟურნალ „შპორტ ბილდის" ჟურნალისტს კი ასეთი რამ უთხრა: „გადაწყვეტილებას მალე მივიღებ. ჯერჯერობით ყველაფერი შესაძლებელია!" - ეს სიტყვები „ბორუსიასთან" გამოთხოვებაზე უფრო მიუთითებს, ვიდრე დორტმუნდში დარჩენაზე.

● იყო და არა იყო რა

# ბაიერნს ჩავი უნდოდა და...

## ტრანსფერი გვარდიოლამ არ დაუშვა!

**ჩავი ერნანდესი** „ელ მუნდო დეპორტივოს" კორესპონდენტს ბევრ რამეში გამოუტყდა, ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ თურმე 2008 წელს „ბარსელონასა" და ესპანეთის ნაკრების ლიდერი ძალიან ახლოს იყო მიუნხენის „ბაიერნში" გადასვლასთან და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ტრანსფერი არ შედგა, **ხოსეპ გვარდიოლა** გახლდათ!

„მიუნხენელთა დაინტერესება ძალიან სერიოზული იყო, - აცხადებს 33 წლის ჩავი, - „ბაიერნს" ჩემი გადაბირება უშუალოდ ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე უნდოდა. მეტიც: შედგა შეხვედრა „ბაიერნის" ხელმძღვანელებსა და ჩემს აგენტს შორის. მოლაპარაკებები ფაქტობრივად დაწყებული იყო."

სწორედ მაშინ ჩაერთო საქმეში გვარდიოლა, რომელსაც „ბარსას" მთავარი მწვრთნელის პოსტი ახალი ჩაბარებული ჰქონდა. ჩავი ამბობს, რომ პეპმა დაიბარა. „მაშინ არაფრის დრო არ გვქონდა. პეპმა დამიძახა და მითხრა, რომ ჩემი გაშვება არ შეეძლო. ეს წინადადება მან რამდენჯერმე გამიმეორა და დასძინა, „ბარსელონაში" რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, რომლებსაც აქედან წასვლის უფლება უბრალოდ არ აქვთ," - იხსენებს ჩავი.

ცხადია, რომ ჩავის ეს გადაწყვეტილება არასდროს უნანია, რადგან „ბარსელონასთან" ერთად ოთხჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა და ორჯერ ესპანეთის თასი. „მას მერე ხშირად მიფიქრია, რომ ძალიან სწორი გადაწყვეტილება მივიღე. დიდი ხანია, გადაწყვეტილი მაქვს, რომ კარიერა „ბარსელონაში" დავასრულო. ახლა ისე მოხდა, რომ თვითონ პეპი აღმოჩნდა „ბაიერნში". ასეთია ფეხბურთი," - ამბობს ჩავი.


ხოსეპ გვარდიოლა და ჩავი ერნანდესი

● ამბები

### ჰილდებრანდი შალკედან წავა


ტიმო ჰილდებრანდი

გელზენკირხენის „შალკემ" ოფიციალურად დაადასტურა, რომ 34 წლის მეკარე **ტიმო ჰილდებრანდთან** ახალი კონტრაქტი არ გაფორმდება. ეს იმას ნიშნავს, რომ სეზონის დასრულების შემდეგ ტიმო „შალკეს" დატოვებს. „კიკერის" ინფორმაციით, „შალკეში" მას **ფაბიან გიფერი** შეცვლის, რომელიც ახლა დიუსელდორფის „ფორტუნაში" თამაშობს, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში გელზენკირხენში უფასოდ გადავა და კონტრაქტს 2018 წლამდე გააფორმებს.

ჰილდებრანდი, რომელიც 2007 წელს „შტუტგარტში" გერმანიის ჩემპიონი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 34 წლისაა, კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს - ამბობს, ფეხბურთიდან კიდევ მინიმუმ 2-3 წელი არ წავალო და ახალი კლუბის ძებნას იწყებს.

### ჰამბურგმა ოლა ჯონი ინათხოვრა

რაკი **მაქსიმილიან ბაისტერმა** ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს, „ჰამბურგმა" ლისაბონის „ბენფიკადან" ზაფხულამდე 21 წლის გარემარბი **ოლა ჯონი** ინათხოვრა. ეს ინფორმაცია გუშინ ჩრდილოგერმანული კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ოლივერ კროიცერმა** ოფიციალურად დაადასტურა.

გაგახსენებთ, რომ ჯონი „ბენფიკაში" 2012 წელს, „ტვენტედან" 9 მილიონ ევროდ გაიყიდა და პორტუგალიურ კლუბთან კონტრაქტი 2017 წლამდე აქვს გაფორმებული. სადებიუტო სეზონში მან „ბენფიკაში" კარგად ითამაშა, ახლა კი ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდა, რის გამოც ლისაბონელებმა უპრობლემოდ დათმეს.

### აუგსბურგმა ჟი დაიბრუნა

კორეელი შემტევი ნახევარმცველი **დონ-ვონ ჟი** „აუგსბურგში" ბრუნდება. 22 წლის შემტევ ნახევარმცველს „სანდერლენდში" იშვიათად ათამაშებდნენ, რის გამოც ისევ ბუნდესლიგაში დაბრუნება და იმ კლუბის ფორმის მორგება გადაწყვიტა, სადაც შარშან მშვენივრად ასპარეზობდა.

2012/2013 წლების სეზონში ჟიმ ბუნდესლიგის მეორე წრეში 17 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. სანდერლენდში დაბრუნების შემდეგ კი ისევ სათადარიგოთა სკამზე ალმოჩნდა (ხუთი თამაში, აქედან სამი შეცვლაზე). კორეელმა აუგსბურგთან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა, ოლონდ ეს არენდა არ არის. ინგლისურმა კლუბმა ის საბოლოოდ დათმო, სატრანსფერო ფასი კი გასაიდუმლოებულია.

### გლადბახი: სისე დე იონგის ნაცვლად?

ბრიტანული და გერმანული მედიის ინფორმაციით, დიდი შანსია, რომ მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" და „ნიუკასლმა" თავდამსხმელები გაცვალონ. როგორც ირკვევა, „ნიუკასლის" ხელმძღვანელები გერმანიაში ჩავიდნენ და მიონხენგლადბახელ კოლეგებთან ერთად, **პაპის დემბა სისესა** და **ლუუკ დე იონგის** გაცვლის საკითხს განიხილავენ.

### ვერდერი ტურინში ვაჭრობს

ბრემენის „ვერდერის" ხელმძღვანელებს ბევრი საქმე აქვთ. „მუსიკოსების" სპორტული დირექტორი **თომას აიხინი** სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობს - გუნდის გაძლიერება უნდა. გუშინ აიხინი იტალიაში, კერძოდ ტურინში გაფრინდა, სადაც „იუვენტუსის" ხელმძღვანელებთან 3-დღიან მოლაპარაკებებს გამართავს. როგორც იცით, შემოდგომაზე „ვერდერმა" და „იუვემ" თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმეს და მაშინაც ვწერდით, რომ საქმე „იუვეს" ფეხბურთელების „ვერდერში" განათხოვრებას შეეხებოდა. „ბილდის" ინფორმაციით, აიხინი „იუვენტუსის" ბოსებს კონკრეტულად 27 წლის მარჯვენა მცველის, **მარკო მოტას** შესახებ ელაპარაკება - ეს ფეხბურთელი ტურინელებმა ბრემენელებს თავად შესთავაზეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ჭიდაობა

## 21-ში გაირკვევა

თუ გაუთვალისწინებელი მიზეზით არ გადაიდო, 21 იანვარს დაგეგმილია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის, **ლევან ყიფიანის** შეხვედრა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ **ლუკა კურტანიძესთან**, რომელზეც ორი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილება - „თავისუფალთა“ ნაკრების კონსულტანტ **ვლადიმერ მესტვირიშვილისა** და ფიზმომზადების გერმანელ ექიმთა მოწვევის საქმე. ორივე ეს ამბავი, „დეფაქტო“ გადაწყვეტილია, მაგრამ საბოლოო დაგვირგვინებას მათი ხელფასებით უზრუნველყოფის გადაუჭრელობა აფერხებს. ამ საქმეში ფედერაციას ფინანსური დახმარება სამინისტრომ უნდა გაუწიოს, რომელიც ასევე ყაბულსაა, თუმცა პარამეტრები ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის. აი, სწორედ ეს საკითხი უნდა გაირკვეს ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე. თან მათთან თანამშრომლობის ვადებზეც შეთანხმდებიან. სწორედ მაშინ გახდება ნათელი, როდიდან შეუდგება ორივე მხარე მუშაობას ჩვენს ნაკრებში და რამდენი ხნით იმუშავებენ. ორივე საკითხი იმდენად აქტუალურია ჩვენი ნაკრებებისთვის (გერმანელები ბერძენ-რომაელებსაც მოამზადებენ), ვფიქრობთ, სამინისტროც და ფედერაციაც მაქსიმალურად დააჩქარებენ სახელფასო დილემის გადაჭრას და ამ საჭირო სპეციალისტებს რაც შეიძლება მალე მიეცემათ ჩვენს სპორტსმენებთან მუშაობის საშუალება, თორემ დრო აღარ ითმენს - ევროპის ჩემპიონატი 1-6 აპრილს ფინურ ვანტააში ტარდება.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ექსპერტები თბილისში



მარცხნიდან: ლევან ყიფიანი, ლიზა ალანი და მარიან კლაუდიო ჩიმიუ

## ძიუდოს კომისრები თბილისში

თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებიან ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის კომისრები - **ლიზა ალანი** და **მარიან კლაუდიო ჩიმიუ**. მათი ჩამოსვლის მიზანი თბილისში 21-23 მარტს გასამართი ძიუდოისტთა „დიდი პრიზის“ ტურნირისთვის მზადების პროცესის შემოწმებაა. თუმცა რადგან ეს საერთაშორისო ფედერაციის პირველი ვიზიტია, ამჯერად ისინი მხოლოდ კონსულტაციებით და მითითებებით შემოიფარგლებიან. აგრეთვე დააკვირდებიან იმ რეკომენდაციების გათვალისწინებას, რაც ქართულ მხარეს უკვე აცნობეს წერილობით. კონკრეტულ მითითებებსა და შეფასებებს ისინი მომდევნო ვიზიტებისას გასცემენ, რაც მარტის ბოლომდე რამდენჯერმე მოეწყობა.

თბილისს რანგით „დიდ მუზარადზე“ უფრო სოლიდური შეჯიბრებებისთვისაც უმასპინძლია, თუმცა ძიუდოში ამ შეჯიბრებას პირველად მასპინძლობს და გასაგებია, საერთაშორისო ფედერაცია გამორჩეულ ყურადღებას თუ იჩენს. სწორედ ამიტომ ჩამოვიდნენ ახლა ექსპერტები, რომლებმაც გუშინ რამდენიმე შეხვედრა გამართეს. დილით ისინი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ლევან ყიფიანს** ესტუმრნენ, საიდანაც საზოგადოებრივ მაუწყებელში წავიდნენ. ვიზიტის ფარგლებში ისინი სპორტის სასახლეს, ძიუდოს აკადემიასა და იმ სასტუმროებს დაათვალიერებენ, სადაც ტურნირის მიმდინარეობისას სპორტსმენებმა, მსაჯებმა და ოფიციალურმა პირებმა უნდა იცხოვრონ.

მინისტრთან შეხვედრას ლევან ყიფიანის გარდა, მინისტრის მოადგილეები - **თამაზ თევზაძე** და **აკაკი ლოდია**, აგრეთვე სამინისტროს მასობრივი სპორტის სამმართველოს უფროსი **ვლადიმერ ნუცუბიძე** და ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **მამუკა ყიზილაშვილი** ესწრებოდნენ.

*„ჩვენთვის დიდი პატივია ასეთი ტურნირის მასპინძლობა. ეს კომისია ამოწმებს ინფრასტრუქტურის მდგომარეობას, შეამოწმებს არენას და იმ პირობებს, რომელშიც სტუმრები იცხოვრებენ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ტურნირი სალიცენზიო იყო“* - განაცხადა შეხვედრის შემდეგ ყიფიანმა. თავის მხრივ, ალანიმ გამოთქვა იმედი, რომ საქართველო ღირსეულად უმასპინძლებს „დიდ პრიზს“ და დარბაზი სავსე იქნება მაყურებლებით.

სტუმრები გუშინვე შეხვდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის, რომელმაც უნდა განახორციელოს პირდაპირი რეპორტაჟი, ხელმძღვანელობას. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას თავისი მოთხოვნები აქვს, რათა რეპორტაჟი სათანადო ხარისხისა იყოს და დაინტერესდნენ, რამდენად შეუძლია ჩვენს ტელევიზიას ამ ტექნიკური მოთხოვნების უზრუნველყოფა...

სტუმრებს ამჯერად რაიმე სახის შენიშვნა არ გამოუთქვამთ, რადგან, როგორც გითხარით, ისინი მხოლოდ ახლა იწყებენ საორგანიზაციო სამუშაოების გაცნობას და ამ ეტაპზე მხოლოდ რეკომენდაციებით შემოიფარგლებიან, კრიტიკულ შენიშვნებს კი შეჯიბრების მოახლოებისა და მათი განმეორებითი ვიზიტებისას უნდა ველოდოთ.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა

## ისაევის ქართული დესანტი

18 იანვარს ბაქო, ოლიმპიურ კომპლექს „სერხდეჯში“ აზერბაიჯანის ეროვნული გმირის, მთიანი ყარაბახის კონფლიქტისას დაღუპული მუშვიგ ისაევის ხსოვნის მე-17 ტურნირს უმასპინძლებს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა შორის. წინასწარი ინფორმაციით, მასში მონაწილეობას 6 ნაკრები მიიღებს: საქართველო, აზერბაიჯანი, რუსეთი, ირანი, ყაზახეთი და უზბეკეთი.

ჩვენი ნაკრები ტურნირში სრულად დაკომპლექტებული გუნდით გამოვა, თუმცა ზოგიერთ წონაში ჭაბუკთა ნაკრების ახალდანიშნული მთავარი მწვრთნელი **გიორგი იანტბელიძე** ექსპერიმენტებსაც მიმართავს და რამდენიმე ფალავანს გამოცდის. **გიორგი ხაჩიძე** (42), **თემურ ვანიშვილი** (46), **ალესანდრე კილაძე**, **გაიოზ გონგლაძე** (ორივე - 50), **გიორგი სულავა**, **ედემ ბოლქვაძე** (54), **შმაგი თოდუა** (58), **ივერი ჯულაყიძე** (63), **მირზა სხულუხია** (69), **მურად თოფჩიშვილი** (76), **ზაურ ბერაძე**, **მოგელი მეზვრიშვილი** (ორივე - 85), **კოტე გაბაშვილი**, **გივი მაჭარაშვილი** (100). ამათგან ჯულაყიძე სულაც დებიუტანტია, თანატოლებში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორები - კილაძე და თოდუა კი წლეულს ახალ წონით კატეგორიებში გამოდიან.

ჩვენი ჭაბუკებისთვის ეს ახალი სეზონის პირველი სტარტია და ამდენად - მნიშვნელოვანიც, თუმცა მათთვის მთავარი შეჯიბრება მაინც საქართველოს ჩემპიონატია, რომელიც 22-24 თებერვალს გაიმართება, თუმცა ამ თარიღმა შესაძლოა, ერთი კვირით გადაიწიოს - ეს დამოკიდებულია ახალგაზრდების ანალოგიურ შეჯიბრებაზე. ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელებს სურთ, იმათთანაც აჭიდაონ თავისი სპორტსმენების ნაწილი, რათა მეტი სტარტი მიეცეთ. საქართველოს ჩემპიონატი მთავარი შესარჩევი სტარტი იქნება ევროპის ჩემპიონატისთვის - გამარჯვებულები უმთავრეს ფავორიტებად იქცევიან, თუმცა ეს საევროპო ნაკრებში ადგილის ავტომატურად განაღდებას მაინც არ ნიშნავს. ჩემპიონებმა მომდევნო საერთაშორისო შეჯიბრებებში და შეკრებებზეც უნდა დაამტკიცონ საკუთარი სიძლიერე.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი, რომელიც მსოფლიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიასაც იძლევა, 6-11 მაისს ბულგარულ სამოკოვში გაიმართება.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

## ვერც ოქსანამ იყოჩაღა

ქართველებისთვის ავსტრალიის ღია პირველობა დასრულდა: უკვე გაუწყეთ, რომ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში **სოფიო შაფათავა** გამოეთიშა შეჯიბრებას, ძირითადი ბადის სტარტზე დამარცხდა **ანა ტატიშვილი**. გუშინ კი მათი ბედი გაიზიარა თბილისელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ**, რომელიც წყვილებში უკრაინელ ირინა ბურიაჩოკთან ერთად ცდიდა ძალებს. მსოფლიო რეიტინგით ოქსანა წყვილებში 57-ეა, ბურიაჩოკი - 74-ე. სტარტზე მათ ბევრად უფრო ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ - რუსი სვეტლანა კუზნეცოვა (ერთეულებში მე-20, წყვილებში - 55-ე) და ავსტრალიელი სამანტა სტოსური (ერთეულებში - მე-17, წყვილებში 46-ე). როგორც სავარაუდო იყო, წარმატებას რუსულ-ავსტრალიურმა წყვილმა მიაღწია, მაგრამ ოქსანა და ირინა ასე იოლად ორ სეტში, თანაც 46 წუთში თუ დათმობდნენ (1:6, 2:6) ორთაბრძოლას, არავის ეგონა. ასე რომ, ავსტრალიის ღია პირველობაზე (საპრიზო ფონდი 33.000.000 დოლარი) პაექრობები უქართველებოდ გაგრძელდება...

**ვაჟა დანელია**

სუმო. ჰაცუ ბაშო. 12-26 იანვარი

## გაგამარუ ლიდერებშია

იანვრის ბაშოს მესამედი მიილია და სუპერტურნირს ერთადერთი დაუმარცხებელი რიკიში შემორჩა - დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** (5-0). მონღოლს 4-4 მოგებით კვალში 8 სუმოისტი მისდევს. სასიხარულოა, რომ მათ შორის **თეიმურაზ ჯუღელიცაა (გაგამარუ)**, რომელიც ჰაცუ ბაშოზე მე-12 მაეგაშირას რანგში ასპარეზობს.

მეხუთე დღეს გაგამარუმ **მასუნოიამა** დაამარცხა იორიკირის ილეთით. მოკლედ, სასტარტო მარცხის მერე 199-კილოგრამიანმა ქართველმა ფალავანმა ზედიზედ ოთხი ბრძოლა მოიგო.

გაგამარუს მომდევნო მეტოქე მე-9 მაეგაშირა **ფუჯიაზუმაა**, რომელსაც აქამდე 6-ჯერ შეხვდა და ამდენჯერვე მოუგო. იმედია, ქართველი სუმოისტი ამ ტრადიციას არც ახლა დაარღვევს.



**V დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-იკიოი (სუკუინაგე), კაკურიუ-ტოიოჰიბიკი (ფუმიდაში), კოტოშოგიკუ-ამინიშიკი (იორიტაოში), აოიამა-კისენოსატო (იორიტაოში), ტოჩიოძანი-გოეიდო (ოშიდაში), კოტოოშუ-ტოიონოშიმა (ცუკიდაში), **გაგამარუ**-მასუნოიამა (იორიკირი).

**სატურნირო მდგომარეობა**

**5-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა).

**4-1:** კაკურიუ (ოძეკი), კოტოოშუ (სეკივაკე), გოეიდო (სეკივაკე), შოჰოზანი (მაეგაშირა 5), ტოჩინოვაკა (მ 8), ენდო (მ 10), **გაგამარუ** (მ 12), ტოკუშორიუ (მ 15).

**VI დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-აოიამა, კოტოშოგიკუ-ტოიოჰიბიკი, კისენოსატო-იკიოი, კაკურიუ-ამინიშიკი, კოტოოშუ-ტოჩიოძანი, გოეიდო-შოჰოზანი, **გაგამარუ**-ფუჯიაზუმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

თარიღები და მოვლენები

**17-19 იანვარი**

**17. 1942.** დაიბადა **იური გუტიაკულოვი** - წყალხტომა, მწვრთნელი

**17. 1948.** დაიბადა **დავით გოგია** - ფეხბურთი

**17. 1961.** დაიბადა **მაია ჩიბურდანიძე** - ჭადრაკი

**17. 1979.** დაიბადა **მამუკა წერეთელი** - ფეხბურთი

**17. 1980.** დაიბადა **ვალერი აბრამიძე** - ფეხბურთი

**18. 1954.** დაიბადა **ალექსანდრე ანპილოგოვი** - ხელბურთი (საიუბილეო თარიღი)

**18. 2006 წ.** ფიგურულ სრიალში **ელენე გედევანიშვილი** ევროპის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გავიდა

**19. 2008 წ.** რუსთავის „ოლიმპმა“ ფეხბურთში თანამეგობრობის თასზე პირველი მატჩი ბელგრადის ოფკ-ს 2:0 მოუგო

ჭადრაკი


ბადურ ჯობავა

# ჯობავამ პოზიციები განიმტკიცა

ვეიკ-ან-ზეეში ერთდღიანი შესვენების შემდეგ Tata Steel Challengers-ის ტურნირზე (ფიდეს მე-14 კატეგორია) გუშინ მე-5 ტურის შეხვედრები გაიმართა. **ბადურ ჯობავამ** (2710) შავი ფიგურებით 27-ე სვლაზე პოლონელ დიდოსტატ (2711) რადეკ ვოიტაჩეკს საათი გააჩერებინა და 5 შესაძლებლიდან 4,5 ქულით ლიდერობა განიმტკიცა. დანარჩენი პარტიები ასე დასრულდა: ბენჟამინ ბოკი (ჰოლანდია)-იან ტიმანი (ჰოლანდია) 0.5:0.5, საბინო ბრუნელო (იტალია)-დიმიტრი რეინდერმანი (ჰოლანდია) 1:0, იუ იანი (ჩინეთი)-კალდენ ტროფი (აშშ) 0.5:0.5, მერიინ ვან დელფი (ჰოლანდია)-ჟაო სიუე (ჩინეთი) 0.5:0.5, ანა მუზიჩუკი (სლოვენია)-ეტიენ გოუდრიაანი (ჰოლანდია) 1:0, ივან სარიჩი (ხორვატია)-იანკშიშტოფ დუდა (პოლონეთი) 1:0.

ხუთი ტურის შემდეგ: ჯობავა-4.5, სარიჩი, მუზიჩუკი-4-4, ბოკი, ჟაო სიუე-3-3, რეინდერმანი, ტიმანი, ბრუნელო-2.5-2.5, დუდა, ვოიტაშეკი, ტროფი-2-2, იუ იანი, ვან დელფი-1.5-1.5, გუადრიაანი-0 ქულა.

მე-6 ტურში ითამაშებენ: ჟაო სიუე-ტიმანი, რეინდერმანი-ბოკი, ტროფი-ბრუნელო, დუდა-იან იანი, გუადრიაანი-სარიჩი, ჯობავა-მუზიჩუკი, ვან დელფი-ვოიტაშეკი.

Masters-ის ტურნირზე (მე-20 კატეგორია) გუშინ მოჭადრაკეები ისვენებდნენ, მე-4 ტურის შეხვედრების შედეგები: ლევონ არონიანი (სომხეთი)-ჰიკარუ ნაკამურა (აშშ) 1:0, სერგეი კარიაკინი (რუსეთი)-რიჩარდ რაპორტი (უნგრეთი) 1:0, პერეს დომინგესი (კუბა)-ფაბიანო კარუანა (იტალია) 1:0; დაზავდნენ: ლიუკ ვან ველი (ჰოლანდია)-ჰარიკრიშნა (ინდოეთი), ბორის გელფანდი (ისრაელი)-არკადი ნაიდიჩი (გერმანია), ანიშ გირი (ჰოლანდია)-უესლი სოუ (ფილიპინები).

ოთხი ტურის შემდეგ: არონიანი-3, გირი, კარიაკინი, სოუ, ჰარიკრიშნა-2.5-2.5, დომინგესი, კარუანა, ნაკამურა-2-2, ვან ველი, რაპორტი-1.5-1.5, გელფანდი, ნაიდიჩი-1-1 ქულა.

ვაჟა დანელია

# ასპარეზობა მესამე ათეულში დაასრულეს

13 ქვეყნის 67 მოჭადრაკე მონაწილეობდა ტალინში პაულ კერესის ტრადიციულ მემორიალში, რომელიც გუშინ დამთავრდა. ბოლო ტურში საერთაშორისო ოსტატი **აკაკი შალამბერიძე** შავი ფიგურებით დიდოსტატ დანიილ ლინტჩევსკისთან (რუსეთი) დამარცხდა, **ვარლამ ვეფხვიშვილმა** კი ვალენტინ დრაგუნს (ესტონეთი) სძლია. ორივე ჩვენებურმა 5-5 ქულას მოუყარა თავი და, შესაბამისად, 21-ე და 30-ე ადგილები დაიკავეს. 7 ქულით პირველ ადგილზე ალექსანდრ დანინი (რუსეთი) გავიდა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულებით ჩამორჩნენ და მეორე-მეექვსე ადგილები არტიომ სმირნოვმა, ვასილი ემელინმა (ორივე-რუსეთი), ვადიმ მალახატკომ (ბელგია), ვიორელ იორდაჩესკუმ (მოლდოვა) და ევგენი გლეიზეროვმა (რუსეთი) გაინაწილეს.

ვაჟა დანელია

# გამარჯვებულს 0.5 ქულით ჩამორჩა


ლევან ფანცულაია

ნიუ-დელიში გუშინ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა. ლიდერთა ჯგუფის შეხვედრები ასე დამთავრდა: აბჯით გუპტა (ინდოეთი)-ელდარ გასანოვი (უკრაინა) 0,5:0,5, პაულ გომესი (ფილიპინები)-ვალერი ნევეროვი (უკრაინა) 0,5:0,5, **ლევან ფანცულაია**-სრინათ ნარაიანანი (ინდოეთი) 1:0, ალექსანდრ ევდოკიმოვი (რუსეთი)-დიიპენი (ინდოეთი) 0:1... რაჯეში (ინდოეთი)-**მერაბ გაგუნაშვილი** 0,5:0,5, რასეტ ზიატდინოვი (აშშ)-**თორნიკე სანიკიძე** 0:1.

ამდენად, 10 ტურის შემდეგ 8 ქულით პირველი ადგილი გუპტამ დაიკავა. 7,5-7,5 ქულით მეორე-მეექვსე ადგილები ნევეროვმა, დიიპენმა, გასანოვმა, გომესმა და ფანცულაიამ გაიყვეს. 6,5-6,5 ქულით გაგუნაშვილი და სანიკიძე, შესაბამისად მე-12 და 17 ადგილებზე გავიდნენ.

ვაჟა დანელია

# Сейчас есть, а сейчас нету?!

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში აზერბაიჯანის საინფორმაციო წყაროებსა საჭადრაკო საიტ e3e5.com-ზე დაყრდნობით გაუწყეთ, რომ ბაქოს 2015 წლის პირველი ევროპული თამაშების პროგრამაში ევროპის კომისიის სპეციალური გადაწყვეტილებით ჭადრაკი შეიტანეს. უფრო მეტიც, ამ წყაროების მიხედვით, აზერბაიჯანის ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრ აზად რაგიმოვს ჟურნალისტებისთვის უთქვამს, რომ "მომავალ შეჯიბრებაზე აზერბაიჯანი წარდგება მოჭადრაკეთა ძლიერი გუნდით, რომელიც წარმატებით იასპარეზებსო".

გუშინ სალამოს კი "ბაქო-2015"-ის საორგანიზაციო კომიტეტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ პირველი ევროპული თამაშების პროგრამაში ჭადრაკი შეტანილი არ არისო". საინტერესოა, რომელს დავუჯეროთ - აზერბაიჯანის სპორტის მინისტრსა თუ "ბაქო-2015"-ის საორგანიზაციო კომიტეტს?!

ვაჟა დანელია

კალათბურთი. შეკრება



# ვია-სთანაც მოიგეს

საქართველოს ორგზის ჩემპიონი „არმია“ შეკრებას ლატვიაში გადის. ქალაქ ვალმეირაში ქართველებმა უკვე ორი შეხვედრა ჩაატარეს. ჯერ ყაზახეთის ჩემპიონ „აქტაუს“ 64:55 აჯობეს, შემდეგ ლატვიის მეორე ლიგის წარმომადგენელ ვია-სთან 6 ქულის სხვაობით იმარჯვეს - 82:76.

ლატვიურ გუნდთან გამოირჩნენ **ანატოლი ბოისა, ბექა წივწივაძე** და **გიორგი შარაბიძე**, შესაბამისად 14, 13 და 12 ქულა.

არმიელები საქართველოში 18 იანვარს დაბრუნდებიან. მანამდე კიდევ ერთ შეხვედრას ჩაატარებენ.

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთი. სამწვრთნელო ამბავი



# კოკოშკოვი პოლონელებსაც მოუნდათ

უცხოურ პრესაზე დაყრდნობით ვწერდით, რომ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს (რომელსაც კონტრაქტის ვადა 2013 წელს დაუსრულდა) სერბეთი და სლოვენია ეპატიჟებოდნენ.

როგორც ჩვენთან ინტერვიუში ბატონმა იგორმა განაცხადა, ეს მხოლოდ სპეკულაციები იყო. სერბეთის ნაკრებში **საშა ჯორჯევიჩი** დაინიშნა, ხოლო სლოვენიისაში - გუშინ **იურე ზდოვცი**.

გუშინვე პოლონურმა საიტმა „პრეჟეგლადმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, იგორ კოკოშკოვის პერსონით პოლონეთის კალათბურთის ფედერაციაა დაინტერესებული. თუმცა იქვე ჩამოთვლილია რამდენიმე გვარი, რომლებიც ასევე განიხილებიან კანდიდატებად: **ბოჟიდარ მალიკოვიჩი, რენატო პასკუალი, სებასტიან მაჩოვსკი, მიხაილო უვალინი.**

აი, რა წერია იგორ კოკოშკოვის შესახებ: „სერბ სპეციალისტს ბევრი პლუსი აქვს. კარგად იცნობს პოლონეთის ნაკრებს, 2010 წლიდან მოყოლებული, სამჯერ ოფიციალურად ეთამაშა. 2013 წლის ევრობასკეტის გახსნით მატჩში სწორედ კოკოშკოვის გაწვრთნილმა საქართველომ დაამსხვრია პოლონელთა მეორე ეტაპზე გასვლის იმედები. გარდა ამისა, იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ამერიკულ „ფინიქსში“ და კარგად იცნობს პოლონელ ვარსკვლავ **მარცინ გორტატს**“.

პუბლიკაციას ახლავს გამოკითხვა, რომლის მიხედვით ყველაზე სასურველ კანდიდატთა შორის კოკოშკოვი და მალიკოვიჩი ლიდერობენ. მათ ხმების 27 პროცენტი აქვთ მიღებული. დანარჩენი პრეტენდენტებიდან 10-პროცენტიან ბარიერს ერთიც ვერ სცდება.

ჩვენი მხრივ კი შეგახსენებთ, რომ იგორ კოკოშკოვს საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება ევრობასკეტის დასრულებასთან ერთად სექტემბერში ამოეწურა, ფედერაცია კი ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს.

ვაჟა სიმონიშვილი




საქართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ტანმოვარჯიშე, სპორტის ოსტატი სპორტულ ტანვარჯიშში

იზოლდა მახარაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი, ისტორია

# რუსებს ეროვნულზე დავუხვდებით

„პირველი ოცი წუთი, ფაქტობრივად, არ გვითამაშია. შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი - ამდენი ხანია საქართველოს ნაკრებს არ წაუგია რუსეთთან და თუ გინდათ, რომ თქვენ იყოთ პირველები, ვინც ამას მოახერხებს, კი ბატონო, მიდით და წააგეთ. თუ არა და, რაც დაგეგმილი გვაქვს, ისე ითამაშეთ და თქვენი ქვეყნისთვის კიდევ ერთხელ მოიგეთ მეთქი.“ - თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა.

ასე იწყება ერთა თასის შარშანდელი გათამაშების რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების რეპორტაჟი, რომელიც სოჭში გაიმართა. მაშინ ბიჭებმა კიდევ ერთხელ მოიკრიბეს ძალა, მოედანზე მაქსიმალურად მობილიზებულები გაისარჯნენ და რუსებს მე-15 მარცხი აგემეს. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებთან „ბორჯღალოსნებმა“ სულ 17 თამაში გამართეს და აქედან მხოლოდ ერთში დამარცხდნენ, ერთშიც ფრეს დასჯერდნენ.

სოჭში ჩვენი ბიჭები ისე თამაშობდნენ, როგორც საკუთარ კედლებში:

*„თამაშის დაწყებამდე სტადიონზე საათ-ნახევრით ადრე მივედით. ტრიბუნები, ბუნებრივია, თითქმის ცარიელი დაგვხვდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ქომაგი, განსაკუთრებით კი დასავლეთ ტრიბუნაზე, სულ უფრო მატულობდა. საქართველოს დროშებით შეიარაღებული სოჭელი და პლასტუნკელი ქართველები „ბორჯღალოსნებს“ მთელი მატჩის განმავლობაში გულმხურვალედ ქომაგობდნენ. რამდენიმე თეთრფაფახიანი ჩვენებური როსტოვიდანაც ჩამოსულიყო.“* - წერდა მაშინ „ლელო“.

ცხადია, მათი მხარდაჭერა დიდად წაადგათ ბიჭებს, რადგან იქაური ქართველების ომახიანი შეძახილების ფონზე რუსი ქომაგების ძალისხმევა კატის კნავილივით ისმოდა. იმ შეხვედრაში პირველი ტაიმი მართლაც არ გამოგვივიდა. შესვენების შემდეგ მორაგბეებმა დაცვაში ყურადღება გააძლიერეს და მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს.

მართალი უნდა ითქვას, რომ ერთი წლით ადრე თბილისში 46:0 გამარჯვების შემდეგ, სოჭში უფრო იოლ გამარჯვებას ველოდით. თუმცა, რუსები დანებებას არ აპირებენ და ყველა მატჩში მთელი მონდომებით ცდილობენ თავიანთთვის „საშინელ ტრადიციას“ ბოლო მოუღონ.

ძნელი სავარაუდოა, მათ ეს წლეულს მოახერხონ. „ბორჯღალოსნები“ მეტოქეს მესამე ტურის მატჩში თბილისში, ეროვნულ სტადიონზე დაუხვდებიან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნოემბრის ტესტებზე რუსებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს, მათ თამაშში პროგრესზე საუბარი გადაჭარბებული იქნება.

მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში რუსეთის ნაკრები მესამე ადგილზეა და მეორე საფეხურზე დაწინაურების თეორიული შანსი აქვს. მაგრამ, თუ მოვლენები მათ სასარგებლოდ განვითარდება, პირველობასაც შეიძლება გამოჰკრან ხელი. თუმცა, ეს ყველაზე ნაკლებად სავარაუდოა. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რა შედეგს აჩვენებენ რუსები საწყის ორ ტურში. პირველი მატჩი მათ სტუმრად აქვთ გასამართი ესპანეთის ეროვნულ გუნდთან, რომელიც დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ხოლო შემდეგ უშუალო კონკურენტს, რუმინეთის ნაკრებს შინ ეთამაშებიან.

რუსებმა თავიანთი თამაშის სუსტი წერტილი, შერკინების პირველი ხაზი ქართველი მორაგბეების ნატურალიზებით გააძლიერეს. ძმებმა **გრიგოლ** და **ვალერი ცნობილაძეებმა** რუსთა ხელმძღვანელობას თავშივე უთხრეს, რომ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ არასდროს ითამაშებდნენ და არც თამაშობენ. ამდენად, მათი „აქილევსის ქუსლი“ ჩვენს ნაკრებთან თამაშში იგივე იქნება. ამასთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ბორჯღალოსნებმა“ უკანა ხაზის თამაში, ხელდახელ ბურთაობა საკმაოდ გააძლიერეს, რაც რუსებს დამატებით თავის ტკივილს გაუჩენს.

**რუსეთი-საქართველო 9:23**

**რუსეთი** (15-9) კლუჩნიკოვი, არტემევი, გერასიმოვი, მაკოვეცკი, ბაბაევი (ტრიშინი 76), ს. იანუშკინი (სუგრობოვი 75), ა. იანუშკინი. (1—8) ვოლკოვი, ტიმოშუკი (პოლივალოვი 57), იგრეცოვი (პრონენკო 51), ვოიტოვი, კულემინი, ტემნოვი, ბუტენკო (ფატახოვი 53), გრესევი (კვერნაძე 74).

**3ს:** კლუჩნიკოვი, ს. იანუშკინი, სუგრობოვი.

**სინბინი:** ვოლკოვი.

**საქართველო** (15-9) კვირიკაშვილი, მჭედლიძე (კაჭარავა 66), ზიბზიბაძე (წიკლაური 75), შარიქაძე, მაჩხანელი, ხმალაძე, ბეგაძე (ხუციშვილი 76). (1-8) ნარიაშვილი (კაკოვინი 51), ნატრიაშვილი (მამუკაშვილი 51), ზირაქაშვილი (ქუბრიაშვილი 51), ჩხაიძე, მიქაუტაძე (ლომიძე 78), სუთიაშვილი (კოლელიშვილი 41), გორგოძე, ბასილაია.

**2ლ:** კოლელიშვილი, ქუბრიაშვილი. 2გ,3ს: კვირიკაშვილი.

**სინბინი:** მიქაუტაძე.

**მსაჯი:** ლორან კარდონა (საფრანგეთი).

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 5 | 4 | 1 | 0 | +74 | 19 |
| 2. რუმინეთი | 5 | 4 | 1 | 0 | +49 | 19 |
| 3. რუსეთი | 5 | 3 | 0 | 2 | -6 | 14 |
| 4. პორტუგალია | 5 | 1 | 1 | 3 | -21 | 7 |
| 5. ბელგია | 5 | 0 | 1 | 4 | -39 | 5 |
| 6. ესპანეთი | 5 | 0 | 2 | 3 | -57 | 5 |

**ბესიკ ჯანგავაძე**



მამუკა გორგოძეს სოჭელი ქართველები მადლობას უხდიან

# თორნიკე მეგრელიძე ბელგიის ნაკრებში

**საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში ბელგიის ეროვნული გუნდი იქნება. „შავი ეშმაკების“ მთავარმა მწვრთნელმა რიჩარდ მაკკლინტოკმა იმ 24 მორაგბის სია გააცხადა, რომლებიც 1 თებერვალს თბილისში „ბორჯღალოსნებს“ დაუპირისპირდებიან.**

აღსანიშნავია, რომ ბელგიელთა რიგებში გამოჩნდა ახალგაზრდა ქართული წარმოშობის გარემარბი **თორნიკე მეგრელიძე**. ქართველი მორაგბეების ნატურალიზება ერთა თასის გათამაშებაში მონაწილე ნაკრებებისთვის დიდი ხანია „მოდაში შემოვიდა“. ერთადერთი გუნდი, სადაც წარმოშობით ქართველები არ თამაშობენ პორტუგალიის ნაკრებია. აი იმ მოთამაშეების სია, რომლებიც ჩვენი მეტოქეების ღირსებას იცავენ: **დავით გურგენიძე** (ესპანეთი), **ვალერი ცნობილაძე, გრიგოლ ცნობილაძე, ვასილ კვერნაძე** (რუსეთი), **ოთარ ტურაშვილი** (რუმინეთი).

ბელგიის ნაკრებში 24 მორაგბედან 13 ფრანგული კლუბების წარმომადგენელია არიან. როგორც აღმოჩნდა, ბელგიელები საკმაოდ სერიოზული გუნდების კვართებით ასპარეზობენ. ესენია: „პერპინიანი“, „აუენი“, „მეტრო რასინგი“, „ლილი“, „კოლომიე“ და „პო“. შარშანდელი შემადგენლობიდან „შავ ეშმაკებს“ დააკლდებათ, **ტიბო ანდრე, კარლოს პიერო** და **ჩარლი ფურნო,** რომლებმაც სანაკრებო კარიერა დაასრულეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და ბელგიის ნაკრებების დაპირისპირება 1 თებერვალს „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ გაიმართება.

**ბელგიის ნაკრები**

**პირველი ხაზი:** ალექსის კუფოლო (კარკასონი), ტომას დინსტი (ლილი), მაქსიმ ჟადო (პო), ჟულიენ მასიმი (ოსერი), ალაინ მირიალაკისი (ვორათაზი), ბასტიან ვერმეილენი (ბუატსფორტი).

**მეორე ხაზი:** კირილ ნანაი ნჟილემი (ანდერლეხტი), ბრიუს ფრატორი (ლა უპლე), პიერ ჰედრიქსი (ბუატსფორტი).

**მესამე ხაზი:** ჟულიენ მორელი (ბასტია), დენის ეპე, მაიკლ დე მოლდერი (ორივე-ბუატსფორტი), ტომას დე მოლდერი (პო).

**№:9:** ჰებდრიკ ბრაუერი (მეტრო რასინგი), სებასტიან გუნსი (ბუატსფორტი).

**№10:** კრისტოფერ ბრაუნი (სენ რაფაელი), ფლორენ დებატი (სუაგნისი).

**№12-13:** იენს ტორფსი (პერპინიანი), გილემ პირონი (კოლომიე), გილემ ბრებანტი (ბუატსფორტი).

**№11-14:** თორნიკე მეგრელიძე (სუაგნისი), მარკ ჩაენგი (პერპინიანი).

**№15:** ალან ვილიამსი (კონიაკი), სილვიან როსი (აუენი).

**ბესიკ ჯანგავაძე**

ტრანსფერები



ანტონ ფეიქრიშვილი

# ფეიქრიშვილი მეტრო რასინგში

საქართველოს ნაკრების და ფრანგული „კასტრის“ 26 წლის ბურჯი **ანტონ ფეიქრიშვილი** 2014-15 წლების სეზონიდან კარიერას პარიზულ „მეტრო რასინგში“ განაგრძობს.

*„კასტრში“ ძალიან კარგი სიტუაციაა, ყველაფრით კმაყოფილი ვარ, თუმცა „მეტრო რასინგში“ „კასტრის“ ყოფილი სამწვრთნელო შტაბი გადაბარგდა და საკმაოდ კარგი პირობები შემომთავაზეს. თანაც მათ ამბიციური გეგმები გააჩნიათ კლუბის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით. ამიტომ, გადავწყვიტე წავსულიყავი პარიზულ კლუბში და მათთან სამწლიან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი, რომელიც ძალაში ამ სეზონის დასრულებისთანავე შევა“* - განაცხადა ანტონ ფეიქრიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ანტონ ფეიქრიშვილი „კასტრში“ 2010 წლიდან ასპარეზობს და გასულ წელს საფრანგეთის ჩემპიონიც გახდა. ეროვნულ ნაკრებში კი, კლუბ „ხულიგანას“ აღზრდილ ბურჯს 9 კეპი აქვს მოხვეჭილი.

**გიორგი ბარბაქაძე**

# ბოლნისი ყოჩები ძლიერდება

საქართველოს XXIV სარაგბო ჩემპიონატის დებულების თანახმად, უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდებს ზამთრის სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში არ აქვთ უფლება, ტრანსფერები განახორციელონ შიდა ჩემპიონატიდან, ამიტომ კლუბებს უცხოეთში მოთამაშე ლეგიონერების დამატებით უწევთ საკუთარი შემადგენლობის გაძლიერება.

„ბოლნისი ყოჩებმა“ გუნდში არსებულ მოთამაშეთა საკმაოდ ძლიერ კონტინგენტს კიდევ ორი უაღრესად გამოცდილი მოთამაშე დაამატა. რუსეთის კრასნოიარსკის „ენისეიდან“ მშობლიურ კლუბში დაბრუნდა მარბიელი **რატი ურუშაძე**, ხოლო რუმინული „ტიმიშოარადან“ ბურჯი **გიორგი ხოსიტაშვილი.**

38 წლის რატი ურუშაძემ სარაგბო კარიერა „ყოჩებში“ დაიწყო, უკანასკნელი წლების განმავლობაში კი, „ენისეიში“ ასპარეზობდა. რატის საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 41 მატჩი აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე 5 ლელოა.

გიორგი ხოსიტაშვილი უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში რუმინეთის ჩემპიონატში წარმატებით ასპარეზობდა და გასულ წელს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა „ტიმიშოარას“ რიგებში.

**გიორგი ბარბაქაძე**

ექვსი ერი

# უელსი ტიტულის შენარჩუნებას ეცდება

ერთა თასის გათამაშების პარალელურად 1 თებერვალს სტარტს აიღებს ექვსი ერის გათამაშება. ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულის, უელსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **უორენ გეთლენდმა** იმ 32 მორაგბეს ვინაობა გააცხადა, რომლებიც წლეულს ტიტულის დაცვას შეეცდებიან.

მწყობრშია „წითელი ურჩხულების“ კაპიტანი **სემ ვერბარტონი,** რომელიც თანაგუნდელებთან ერთად შეეცდება ექვსი ერის გათამაშება ზედიზედ სამჯერ მოიგოს. პირველ შეხვედრას უელსელები კარდიფში, „მილენიუმზე“ იტალიის ნაკრებთან გამართავენ.

*„გასული სეზონი ჩვენთვის ფანტასტიკური გამოდგა. ამჟამად შანსი გვაქვს რაგბის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩავწეროთ. კარგად ვაცნობიერებთ, რომ ტიტულის შენარჩუნება და ექვსი ერის გათამაშების ზედიზედ მესამედ მოგება ურთულესი იქნება. წლეულს სამი მატჩი შინ უნდა გავმართოთ, ორი გასვლითი შეხვედრა კი, უმძიმესი იქნება. თუმცა ანალოგიური გრაფიკი გვქონდა 2008 და 2012 წლებშიც, როცა დიდი სლემი მოვიგეთ.“* - თქვა უელსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უორენ გეთლენდმა.

**უელსი**

შერკინება: პაულ ჯეიმზი (ბასი), გეთინ ჯენკინსი (კარდიფი), რაიან ბევინგტონი, რიჩარდ ჰიბარი, ადამ ჯოუნზი, ალუნ ვინ ჯოუნზი, იან ევანსი, რაიან ჯოუნზი, ჯასტინ ტიპურიჩი (ყველა-ოსფრიზი), კენ ოუენსი, ემირ ფილიპსი, სამსონ ლი, როდრი ჯოუნზი, აარონ შინდლერი (ყველა-ჰლანეჰლი), ლუკ ჩარტერისი (პერპინიანი), ენდრიუ კომბსი, ტობი ფალეტაუ (ორივე-ნიუპორტი), სემ ვერბარტონი (კარდიფი), დენ ლიდიატი (მეტრო რასინგი).

უკანა ხაზი: როდრი ვილიამსი, რის პრისტლენდი, ჯონათან დევსი, სკოტ ვილიამსი, ლიამ ვილიამსი (ყველა-ჰლანეჰლი), მაიკ ფილიპსი, ჯიმი რობერტსი (ორივე-მეტრო რასინგი), რის ვები, დენ ბიგარი (ორივე-ოსფრიზი), ჯეიმზ ჰუკი (პერპინიანი), ალექს კატბერტი, ლეიგ ჰალპფენი (ორივე-კარდიფი), ჯორჯ ნორსი (ნორსჰემპთონი).

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯორდან კროუფორდი

# სამმაგი ტრეიდი მეომრების სასარგებლოდ

გუშინ, საინტერესო ტრეიდი განხორციელდა ლიგაში. სამ გუნდს შორის გარიგების თანახმად, „გოლდენ სტეიტის“ რიგები შეავსეს **ჯორდან კროუფორდმა** და **მარშონ ბრუქსმა**. ნანაცვლოდ, „მეომრებმა“ „მაიამიში“ გაუშვეს მცველი **ტონი დუგლასი**. თავის მხრივ, „ჰიტმა“ „ბოსტონს“ დაუთმო ცენტრი **ჯოელ ენტონი** და მომავალ დრაფტებზე პირველ და მეორე რაუნდებში არჩევანის უფლება.

ამ გაცვლის თანახმად, „მაიამიმ“ მოიშორა ენტონის (მან წელს მხოლოდ 12 მატჩში მიიღო მონაწილეობა, თან მოედანზე საშუალოდ 3 წუთს ატარებდა) ძვირად ღირებული კონტრაქტი. ამით ის თანხის ეკონომიას შეძლებს, აგრეთვე გაიუმჯობესებს შანსებს გუნდის ლიდერებთან - **ლებრონ ჯეიმსთან, დუეინ უეიდთან** და **კრის ბოშთან** კონტრაქტის გახანგრძლივების მიმართულებით.

გარდა ამისა, გუშინდელი ტრეიდის მიხედვით, „გოლდენ სტეიტის“ ისედაც შთამბეჭდავი უკანა ხაზი (**კლეი ტომპსონისა** და **სტივენ კარის** დუეტი ერთ-ერთი უძლიერესია ლიგაში) კიდევ უფრო გაძლიერდა.

# რონდოს 29 233 380 ნაში


რაჟონ რონდო

„29233380 ნაში“ - ასეთი უცნაური ჩანაწერი გაჩნდა „ბოსტონის“ გამთამაშებლის **რაჟონ რონდოს** „ტვიტერზე“. ეს დრო უდრის 338 დღეს. სწორედ დროის ეს მონაკვეთია მცველის ოპერაციიდან „ლეიკერსთან“ მატჩამდე, რომელიც შაბათს გაიმართება.

ამერიკელმა ჟურნალისტებმა მაშინვე აიტაცეს ეს ახალი ამბავი და დაწერეს, რომ რონდო ამ კვირას დაუბრუნდება რეგულარულ ჩემპიონატს. რა თქმა უნდა, ამ სიახლემ კლუბის სამწვრთნელო შტაბამდეც მიაღწია და მისმა ერთმა წარმომადგენელმა **ბრედ სტივენსმა** განაცხადა, რომ რონდოს მოედანზე დაბრუნება შორეული პერსპექტივა აღარ არის, თუმცა ზუსტი თარიღის დასახელება ჯერ შეუძლებელია. საერთოდაც, რაში სჭირდება „ბოსტონს“ რონდოს სწრაფი დაბრუნება? „სელტიქსს“ ზედიზედ ცხრა ნაგება დაუგროვდა და ასეთი წარუმატებელი თამაში აახლოებს გუნდს მომავალი დრაფტის პირველ ნომერს. ამიტომაც, „ბოსტონს“ რონდო და მოგებები არ სჭირდება.

ასე რომ, რაჟონს შაბათს, „ლეიკერსის“ წინააღმდეგ ვერ ვიხილავთ.

# მენეჯერების ფავორიტები

ევროლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ტურნირის მონაწილე კლუბების გენერალური მენეჯერების გამოკითხვის შედეგები. სპეციალისტებს რამდენიმე კითხვაზე უნდა გაეცათ პასუხი - დაესახელებიან ტურნირის ფავორიტები, ყველაზე მოუხერხებელი მეტოქეები და ა. შ.

„ოთხთა ფინალში“ მოხვედრის მთავარ პრეტენდენტებად დასახელდნენ მადრიდის „რეალი“ და ცსკა (მათ მიიღეს მენეჯერთა ხმების 95.8 პროცენტი). შემდეგ მოდის ტურნირის მოქმედი ჩემპიონი „ოლიმპიაკოსი“ (91.6 პროცენტი) და „ფენერბაჰჩე“ (87.5%). გარდა ამისა, „რეალი“ ყველაზე მოუხერხებელ მოწინააღმდეგედ დასახელდა - ასე ფიქრობს გამოკითხულთა 37 პროცენტი, 70.8 პროცენტი მიიჩნევს, რომ მადრიდელებს ყველაზე სანახაობრივი გუნდი ჰყავთ.

გენერალური მენეჯერების 58 პროცენტმა დაასახელა „ფენერბაჰჩეს“ დამრიგებელი **ჟელკო ობრადოვიჩი** ევროლიგის საუკეთესო მწვრთნელად (სამეულში მოხვდნენ „რეალის“ თავკაცი **პაბლო ლასო** და „ოლიმპიაკოსის“ დამრიგებელი **გეორგიოს ბარკოცასი**).

# მაიამის სირცხვილი დედაქალაქში

გუშინდელ ნომერში მოგიყევით იმის შესახებ, რომ „მაიამი ჰიტს“, NBA-ის ჩემპიონის რანგში ვიზიტი ჰქონდა თეთრ სახლში, სადაც აშშ-ის პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** შეხვდა. მეორე დღეს კი ფლორიდელები „ვაშინგტონს“ შეხვდნენ და მოულოდნელად, პირწმინდად დათმეს შეხვედრა. მარტო პირველი მეოთხედი მაიამელებმა 18:43 წააგეს. სწორედ დროის ამ მონაკვეთში იყო დედაქალაქელთა ფანტასტიკური სპურტი - 20:0! ამ შოკიდან **ერიკ სპოელსტრას** შეგირდები ბოლომდე ვერ გამოვიდნენ, ხოლო „ვაშინგტონის“ უპირატესობა ერთ მომენტში 34 ქულასაც კი აღწევდა. „ჰიტმა“ მთლიანად ჩააგდო შეხვედრა დაცვაში: 48 წუთში მხოლოდ ერთი დაფარება შეასრულა, აგრეთვე მეტოქეს თამაშიდან ტყორცნების 54.7 პროცენტის რეალიზაციის საშუალება მისცა.

ამ მატჩს „მაიამისთვის“ მხოლოდ ერთი დადებითი მომენტი ჰქონდა: ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, მოედანს დაუბრუნდა 2007 წლის დრაფტის პირველი ნომერი **გრეგ ოდენი**. ეს ის კალათბურთელია, რომელიც „პორტლენდმა“ შვიდი წლის წინ, **კევინ დურანტს** ამჯობინა. ორივე მუხლის ტრავმებითა და გაუთავებელი ოპერაციებით გაწამებულმა კალათბურთელმა 2009 წლის 5 დეკემბრის შემდეგ პირველად ითამაშა, 8 წუთი დაჰყო მოედანზე და ერთ-ერთი საუკეთესოც გახდა „მაიამის“ რიგებში. მან ექვსი ქულა დააგროვა, ორჯერ ჩატენა ბურთი კალათში და მარგიქმედების დადებითი კოეფიციენტი დააფიქსირა. „ჰიტის“ მოთამაშეებისგან მხოლოდ **ბატიე** თუ დაიკვეხნის ასეთი კოეფიციენტით.

„მაიამიმ“ ზედიზედ მესამე მატჩი წააგო, რაც პირველად მოხდა 2012 წლის გაზაფხულის შემდეგ.

■ ■ ■

„ბოსტონ სელტიქსმა“, როგორც იქნა, შეწყვიტა ცხრამატჩიან წაგებათა სერია - ეს „ტორონტოსთან“ საშინაო მატჩში მოხდა. „სელტიქსის“ ფორვარდმა **ჯარედ სალინჯერმა** 25 ქულა და 20 მოხსნა დააგროვა. საინტერესოა, რომ მე-19 მოხსნის შემდეგ, „ბოსტონის“ ტრავმირებულმა გამთამაშებელმა **რაჟონ რონდომ** ურჩია პარტნიორს, ტაბლოსთვის შეეხედა და კიდევ ერთი მოხსნის აღება ეცადა უნიკალური ორმაგი დუბლის დასაფიქსირებლად.

„ბოსტონის“ ბოლო კალათბურთელი, რომელმაც ერთ მატჩში მინიმუმ 20 ქულა და მოხსნა დააგროვა, 2007-08 წლების სეზონში **კევინ გარნეტი** იყო. ახლა, ეს კალათბურთელი „ბრუკლინში“ თამაშობს, რომელიც ერთი მოგებით უსწრებს „ბოსტონს“ და პლეი ოფის ზონაში ბოლო პოზიცია უკავია.

თუ „ბოსტონმა“ შეძლო თავისი წარუმატებელი სერიის შეწყვეტა, „ორლანდომ“ ეს ვერ მოახერხა - ფლორიდულმა კლუბმა ასევე მეცხრე შეხვედრა წააგო, როცა შინ დამარცხდა „ჩიკაგოსთან“. მასპინძლებს ვერ უშველა დებიუტანტ **ვიქტორ ოლადიპოს** 35-მა ქულამ. **ჟაკ ვონის** შეგირდები 58 (!) წუთის განმავლობაში არაფერს უთმობდნენ „ხარებს“, სამი ოვერტაიმის თამაში აიძულეს მეტოქეს, მაგრამ მესამე დამატებით დროში მაინც მოუწიათ დანებებამ.

გუშინ, კიდევ რამდენიმე სერია გაგრძელდა: „ნიუ ორლეანმა“ და „მილუოკიმ“ მეშვიდე მატჩი წააგეს ზედიზედ, „ლეიკერსმა“ ფინიქსში აიყვანა თავისი წაგებების სერია ექვსამდე, სამაგიეროდ, დასავლეთი კონფერენციის ლიდერი „სან ანტონიო“ ექვსი მატჩია, არ მარცხდება.

■ ■ ■

ერთ-ერთი ყველაზე სახალისო შეხვედრა ლოს ანჯელესში გაიმართა, სადაც „კლიპერსმა“ სირენამდე ოთხი წუთით ადრე გააბათილა 17-ქულიანი ჩამორჩენა „დალასის“ წინააღმდეგ. მატჩის გმირი გახდა **ჯეი ჯეი რედიკი** (33 ქულა - NBA-ის პირადი რეკორდი). შეხვედრის დასრულებამდე 34 წამით ადრე, მან მორიგი სამქულიანით (9-დან 7 შორეული ტყორცნა ჩააგდო) მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. რამდენიმე წამში რედიკს **დირკ ნოვიცკის** წინააღმდეგ მოუწია თავის დაცვამ. გაუგებარია, როგორ აღმოჩნდა მეორე „ნომერი“ მეოთხის მეურვე, მაგრამ ამან გაამართლა. ლეგენდარულმა გერმანელმა ბურთი ვერ ჩააგდო, საპასუხოდ კი **ჯამალ კროუფორდმა** ორივე საჯარიმო გამოიყენა და „კლიპერსი“ წინ გაიყვანა.

**მილუოკი-მემფისი 77:82**

10:20, 25:22, 25:16, 17:24

**მილ:** ნაითი (27), ლ. სანდერსი (10+12 მოხსნა), კ. ბატლერი (10).

**მემ:** ჯეიმს ჯონსონი (15), კონლი (15), ედი დევისი (14), კუფოსი (10).

**ორლანდო-ჩიკაგო 125:128 (3ო)**

20:26, 29:20, 31:27, 21:28, 10:10, 8:8, 6:9

**ო:** ოლადიპო (35+8 პასი), ჯ. ნელსონი (31+10 პასი), ტ. ჰარისი (22+16 მოხსნა), გ. დევისი (17), ო'ქუინი (12).

**ჩ:** ნოა (26+19 მოხსნა), ბუზერი (23), ჯ. ბატლერი (21), ოგასტინი (19), სნელი (15), დანლივი (11).

**ფილადელფია-შარლოტი 95:92**

24:27, 29:18, 19:23, 23:24

**ფ:** ე. ტერნერი (23), კარტერ-უილიამსი (20), ჰოიესი (17+14 მოხსნა), ტ. იანგი (11).

**შ:** კ. უოკერი (26), ე. ჯეფერსონი (24), სეშენსი (11), მაკრობერტსი (10).

**ვაშინგტონი-მაიამი 114:97**

43:18, 26:30, 17:29, 28:20

**ვ:** უოლი (25), ბილი (19), ნენე (19), ტ. ბუკერი (13+11 მოხსნა), გორტატი (12), უებსტერი (11), არიზა (10).

**მ:** ბოში (26), ლ. ჯეიმსი (25+8 მოხსნა+7 პასი), კოული (15).

**ბოსტონი-ტორონტო 88:83**

23:25, 22:16, 28:15, 15:27

**ბ:** სალინჯერი (25+20 მოხსნა), ბრედლი (20), ჯეფ გრინი (13), ჰემფრიზი (12), პრესი (0+10 პასი).

**ტ:** დეროზანი (23), ლოური (18+12 პასი), სალმონსი (13).

**მინესოტა-საკრამენტო 108:111**

23:24, 24:34, 26:25, 35:28

**მ:** ლავი (27+11 მოხსნა), კევ. მარტინი (14), პეკოვიჩი (14), ბარეა (14), შვედი (13), კ. ბრიუერი (12).

**ს:** გეი (33), ა. ტომასი (26), კაზინსი (20+11 მოხსნა), დერიკ უილიამსი (16).

**ნ. ორლეანი-ჰიუსტონი 100:103**

30:19, 26:26, 25:29, 19:29

**ნ-ო:** ე. გორდონი (35), ე. დევისი (24), ჯ. სმიტი (10), ბ. რობერტსი (10).

**ჰ:** ჰარდენი (26), ტ. ჯონსი (25), პარსონსი (17), ლინი (13), დ. ჰოვარდი (12+11 მოხსნა), მოტეიუნასი (10).

**სან ანტონიო-იუტა 109:105**

28:25, 22:20, 31:24, 28:36

**ს-ა:** კანტერი (25), ლეონარდი (15), ბელინელი (15), დანკანი (15), ჯინობილი (13), ეირსი (10).

**ი:** კანტერი (25+11 მოხსნა), ბერკსი (20), ფეივორსი (19+12 მოხსნა), რ. ჯეფერსონი (15), ტ. ბერკი (17+11 პასი).

**ფინიქსი-ლეიკერსი 121:114**

26:27, 28:31, 34:24, 33:32

**ფ:** ჯერ. გრინი (28), მარკიფ მორისი (24), ფრაი (20), გ. დრაგიჩი (18+10 მოხსნა+7 პასი), პი-ჯეი ტაკერი (15).

**ლ:** პ. გასოლი (24), უ. ჯონსონი (22), კამანი (18), მიქსი (14), მარშალი (10+13 პასი).

**პორტლენდი-კლივლენდი 108:96**

26:27, 28:23, 23:25, 31:21

**პ:** ოლდრიჯი (32+18 მოხსნა), ლილარდი (28), მეტიუზი (15).

**კ:** დენგი (25), ირვინგი (21), უეიტერსი (18), ტ. ტომპსონი (10+10 მოხსნა).

**გ. სტეიტი-დენვერი 116:123**

32:35, 26:30, 24:26, 34:32

**გ-ს:** ლი (28+11 მოხსნა), ს. კარი (24), კ. ტომპსონი (21), ჰ. ბარნსი (15), დ. გრინი (11), ბოგუტი (10+10 მოხსნა).

**დ:** ნ. რობინსონი (24), ტ. ლოუსონი (22+11 პასი), უ. ჩენდლერი (22), ფოიე (21), ჰიქსონი (13+24 მოხსნა), მოზგოვი (10).

**კლიპერსი-დალასი 129:127**

30:32, 42:30, 28:36, 29:29

**კ:** რედიკი (33), მ. ბარნსი (25), გრიფინი (23), ჯამ. კროუფორდი (16), დ. კოლისონი (13+10 პასი), ჯ. დადლი (10).

**დ:** ნოვიცკი (27), დალემბერი (20), კალდერონი (16), მერიონი (14), მ. ელისი (13+13 პასი).



ლებრონი ვაშინგტონში გაოგნებული დატოვეს

## ამბები

### ხუმრობა არ გამოუვიდა

ძვირად დაუჯდა მოედანზე სულელური ხუმრობა „ნიუ იორკ ნიქსის“ მცველ **ჯეი არ სმიტს**. მან სერიოზული ჯარიმა მიიღო იმის გამო, რომ მატჩის მსვლელობისას თასმები გაუხსნა მეტოქე კალათბურთელს. სმიტი კლუბისგანაც დაისაჯა: ბოლო ოთხ მატჩში ორჯერ სათადარიგოთა სკამზე დარჩა და ერთი წუთითაც არ გასულა მოედანზე. ამასთან, მისი ტრავმის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. ბოლო მატჩში „შარლოტთან“, რომელიც „ნიქსმა“ წააგო, **მაიკ ვუდსონმა** ყველა კალათბურთელი გამოიყენა, გარდა სმიტისა.

ჯერჯერობით, კლუბის ხელმძღვანელობა კომენტარს არ აკეთებს შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, საკალათბურთო პრესა კი ვარაუდობს, რომ შორს არ არის ცნობა სმიტის გაცვლასთან დაკავშირებით.

### გალინარის წელს ვერ ვნახავთ

„დენვერის“ ფორვარდმა **დანილო გალინარიმ** განაცხადა, რომ ვერ მოასწრებს ამ სეზონის ბოლომდე აღდგენას. შეგახსენებთ, რომ იტალიელმა მუხლის ტრავმა გასული წლის აპრილში მიიღო და ჯერაც აღდგენით კურსს გადის.

*„ამ მომენტისთვის დავასრულე აღდგენითი პროცესის ყველაზე მოსაწყენი ნაწილი. კუნთების ტონუსი დაბრუნდა და სატრენაჟორო დარბაზში ისეთ სიმძიმეებს ვეწევი, რაც ადრე არასოდეს გამიკეთებია. ბურთთან ერთად ვმუშაობ, ბევრს დავრბივარ, მაგრამ, ახლა, ფსიქოლოგიური მიმართულებით მჭირდება მუშაობა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. ამიტომაც, მუდმივად ვიფიქრებ ჩემს მუხლზე. არ ვაწესებ მოედანზე დაბრუნების თარიღს. ამ გადაწყვეტილებას მოგვიანებით მივიღებ. გამოვტოვებ თუ არა მთელ სეზონს? ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ეს იდეაც მომდის თავში. მაგრამ, შეიძლება, უფრო ადრე დავბრუნდე“,* - განაცხადა გალინარიმ.

### აშიქი და ლინი რჩებიან

როგორც Sporting News იტყობინება, „ჰიუსტონის“ გენერალური მენეჯერი **დერილ მოური**, სავარაუდოდ, ვერ მოახერხებს მიმდინარე სეზონში თურქი ცენტრის **ომერ აშიქის** სხვა კლუბში გაშვებას. ამის მიზეზი ბანალურია - თურქს ბარძაყის ტრავმა აქვს და დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია, ამიტომაც, ახლა, მისი საბაზრო ღირებულება დაბალია.

ასევე არ აპირებს „ჰიუსტონი“ გამთამაშებლის **ჯერემი ლინის** გაშვებას, არადა, ცოტა ხნის წინ, ამ კალათბურთელს „ბრუკლინში“ გადაბარგებას უწინასწარმეტყველებდნენ.

ამავდროულად, „ჰიუსტონი“ მზად არის, გაცვალოს თავისი ლიტველი ფორვარდი **დონატას მოტეიუნასი**, რომლის მიმართ ინტერესს გამოთქვამენ „ბოსტონი“ და „დალასი“.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი.

# თაღლითობა მელბურნ პარკზე

ავსტრალიის პოლიციამ დააპატიმრა 22 წლის ბრიტანელი, რომელიც საბუკმეიკერო კანტორებში ფსონების დასადებად, ავსტრალიის ღია პირველობის მატჩების მსვლელობის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა გარკვეულ პირებს.

ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის გვარი არ სახელდება, ტრიბუნებზე იმყოფებოდა და სპეციალური შენიღბული მოწყობილობით ანგარიშში ცვლილების შესახებ ინფორმაციას უგზავნიდა მეგობრებს. საქმე ისაა, რომ „მწვანე კონტინენტიდან" ევროპაში სატელევიზიო სიგნალი ათი წამის დაგვიანებით მიდის.

როგორც ავსტრალიური პრესა წერს, ბოროტმოქმედს ათწლიანი პატიმრობა ემუქრება.

მძლეოსნობა

# გამოუსადეგარი დოპინგი მიუღია

აკრძალული პრეპარატი ოქსილოფრინი, რომელიც 100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენის,



ასაფა პაუელი

იამაიკელი **ასაფა პაუელის** დოპინგსინჯში აღმოაჩინეს, არანაირ უპირატესობას არ აძლევდა სპრინტერს ტურნირების დროს. ამის შესახებ იამაიკის ანტისადოპინგო სააგენტოში პაუელის საქმის მოსმენისას ტოქსიკოლოგიის სპეციალისტმა გამოაცხადა.

პროფესორმა **უეინ მაკლოფლინმა** განაცხადა, რომ ოქსილოფრინი ვერ ეხმარება სპორტსმენს სიჩქარის გაზრდაში. ეს სტიმულატორი პაუელის სინჯში 2013 წლის ივნისში, იამაიკის ჩემპიონატის დროს აღებულ ტესტში აღმოაჩინეს. იმავე პრეპარატის გამოყენებაში ამხილეს კიდევ ერთი იამაიკელი მორბენალი **შერონ სიმპსონი**. დადებითი დოპინგსინჯების გამო, პაუელიც და სიმპსონიც იძულებულნი გახდნენ, გამოეტოვებინათ მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატი.

31 წლის პაუელის საქმის განხილვა თებერვალში უნდა დასრულდეს. თუ სპორტსმენს დამნაშავედ ცნობენ, ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# იხვების ისტორია

უცნაური ანგარიშით დასრულდა ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარულ ჩემპიონატში „ანაჰაიმისა" და „ვანკუვერის" შეხვედრა. დასავლეთი კონფერენციის ლიდერმა „ანაჰაიმმა" 9:1 გაანადგურა ამავე კონფერენციის ერთ-ერთი ფავორიტი. საინტერესოა, რომ **ბრიუს ბუდროს** შეგირდებს ამ სეზონში არც ერთი მატჩი არ წაუგიათ შინ ძირითად დროში, თანაც, ბოლო 19 შეხვედრაში 18 თავის სასარგებლოდ დაასრულეს. ბოლოს, ასეთი სერია „მონრეალს" ჰქონდა 1967-68 წლებში.

ცხრიდან ექვსი შაიბა „ანაჰაიმმა" რიცხობრივ უპირატესობაში გაიტანა. მესამე პერიოდის შუაში, „ვანკუვერის" ჰოკეისტებმა რამდენიმე ჩხუბი მოაწყვეს, რის გამოც „კენაქსმა" შვიდი წუთი ითამაშა სამი კაცით ხუთის წინააღმდეგ. თამაშის ბოლომდე გაძევება მიიღო ექვსმა ჰოკეისტმა, მათ შორის, „ვანკუვერის" ოთხმა წარმომადგენელმა.

მატჩის გმირი აღმოჩნდა „ანაჰაიმის" ფორვარდი **კორი პერი**, რომელმაც ორ გოლი გაიტანა და ამდენივე შედეგიანი პასი შეასრულა. ასევე დუბლები შეასრულეს **ნიკ ბონინომ და ტეემუ სელიანემ.**

„ანაჰაიმს" 49 მატჩში 77 ქულა აქვს და ლიდერობს როგორც დასავლეთ კონფერენციაში, ასევე მთლიანად რეგულარულში. „ვანკუვერი" 48 მატჩში 57 ქულით მეშვიდე გუნდია დასავლეთში.

**ტორონტო-ბაფალო 4:3 (ბ)**

1:0, 2:2, 0:1, 0:0, 3:1

**გოლები:** 1:0 კესელი-22, 1:1 ელისი-2 (მიერსი-9, პისიკი-5), 1:2 მოულსონი-15, 2:2 კულემინი-6 (ჰოლანდი-5), 3:2 რაილი-2 (კადრი-16, რეიმონდი-17), 3:3 ჰოჯსონი-10 (ენისი-9, ერჰოფი-16).

**ბულიტები გაიტანეს:** ვან რიმსდიკი (ტორონტო), მოულსონი (ბაფალო), ლუპული (ტორონტო), ბოჟაკი (ტორონტო).

**პიტსბურგი-ვაშინგტონი 4:3**

0:1, 2:1, 2:1

**გოლები:** 0:1 ლეიჩი-5 (ელზნერი-10), 1:1 ლეტანგი-9 (კროსბი-43, გლესი-6), 1:2 ჩიმერა-9 (მ. იოჰანსონი-24, ორლოვი-3), 2:2 პიატი-1 (მაატა-12, ი. იოკინენი-21), 2:3 ოვეჩკინი-34 (მ. იოჰანსონი-25, მაიკ გრინი-20), 3:3 ი. იოკინენი-13 (ბ. სატერი-9, ნისკანენი-18), 4:3 მაატა-4 (მალკინი-35, ნისკანენი-19).

**ანაჰაიმი-ვანკუვერი 9:1**

2:0, 4:1, 3:0

**გოლები:** კოლიანო-16 (სილფვერბერგი-8, ს. კოივუ-11), 2:0 სელიანე-6 (ვატანენი-7, ლინდჰოლმი-11), 3:0 პერი-26 (მარუნი-8, ლინდჰოლმი-12), 4:0 ბონინო-14 (ვატანენი-8, პერი-25), 5:0 ბონინო-15 (გეტცლაფი-31, პერი-26), 6:0 სილფვერბერგი-6 (მ. პერო-17, ბოშემენი-9), 6:1 კასიანი-9 (ბუტი-6, ედლერი-7), 7:1 პერი-27 (გეტცლაფი-32), 8:1 სელიანე-7 (ბელესკი-10, ლავჯოი-10), 9:1 ვატანენი-6 (ფისტრიჩი-2, სელიანე-10).





კოლიანო გოლს ზეიმობს

ავსტრალიის ღია პირველობა



მარიამ დიდი ბრძოლა გადაიტანა

# მარიას თრილერი და დიდი სენსაცია კაცების ბადეში

**ავსტრალიის ღია პირველობაზე დასრულდა მეორე წრე და გაირკვა ყველა მეთექვსმეტედფინალისტი. გუშინდელი სათამაშო დღე გამორჩეული იყო ბევრი საინტერესო მომენტით. დღის მოვლენად კი შეიძლება მოვნათლოთ 42-გრადუსიანი სიცხე, რის გამოც ორგანიზატორებმა ადგილობრივი დროით 14 საათზე ორი მთავარი კორტი მოძრავი სახურავით გადახურეს, დანარჩენ მოედნებზე კი მატჩები 16 საათისთვის გადადეს. მოგვიანებით, მელბურნში გაწვიმდა და ამ მიზეზით, შეხვედრების განახლება კიდევ ორი საათით გადაიდო. ამიტომაც, სათამაშო დღე ღამის ორ საათამდე გაგრძელდა.**

## დღის მატჩი

ძალიან რთული გამარჯვება მოიპოვა გუშინ რუსმა **მარია შარაპოვამ**, რომელიც მსოფლიოს 44-ე ჩოგანს, იტალიელ **კარინ კნაპს** ხვდებოდა. მარია მხოლოდ მეორე ტურნირს ატარებს ხუთთვიანი პაუზის შემდეგ და სათამაშო პრაქტიკა აკლია, რაც კარგად გამოჩნდა გუშინდელ მატჩში. შეხვედრა 40-გრადუსიან სიცხეში სამი საათი და 28 წუთი გაგრძელდა. ორგანიზატორებმა კორტის გადახურვა მაშინ მოიფიქრეს, როცა მესამე სეტი იწყებოდა.

*„მე მოვიგე პირველი სეტი, ბრეიკი შევასრულე და წინ გავედი მეორეში. უბრალოდ, მომდევნო გეიმის მოგება მჭირდებოდა"*, - დანანებით აღნიშნა მატჩის შემდეგ შარაპოვამ.

მეორე პარტიის წაგების შემდეგ, რუსს სამი მატჩბოლი ჰქონდა 5:4-ზე, მაგრამ კნაპმა ჯერ ხაზზე დასვა ბურთი მარცხნიდან დარტყმით, მეორე ჯერზე ბრწყინვალე ფორჰენდი შეასრულა, მესამე მატჩბოლზე კი შარაპოვამ ბადეს მოარტყა ბურთი. იტალიელმა ანგარიში გაათანაბრა - 5:5. ბრძოლა ძალიან დაძაბული იყო და კნაპი ბევრით არაფრით ჩამოუვარდებოდა მეტოქეს. და მაინც, მე-17 გეიმში შარაპოვამ ბრეიკი გააკეთა, რის შემდეგაც შეინარჩუნა საკუთარი მოწოდება და მესამე რაუნდში ფრანგ **ალიზ კორნეზე** გავიდა - 6:3, 4:6, 10:8.

## დღის სენსაცია

ავსტრალიის ღია პირველობას არ შეიძლება ეწოდოს **ხუან მარტინ დელ პოტროს** საყვარელი ტურნირი. არგენტინელი მელბურნში არასოდეს გასულა მეოთხედფინალზე შორს, თუმცა არც ისე მომხდარა, რომ მეორე წრის მატჩი წაეგოს მსოფლიოს 62-ე ჩოგანთან. მაგრამ, გუშინ, ასეთი რამ მოხდა. მეხუთე ნომრად განთესილმა ოთხსაათიანი მარათონი დათმო ესპანელ **რობერტო ბაუტისტა-აგუტთან** - 6:4, 3:6, 7:5, 4:6, 5:7. ეს არის ჯერჯერობით ყველაზე დიდი სენსაცია მამაკაცთა ბადეში.

## ფავორიტთა გასეირნება

იოლად მოიგეს თავიანთი მატჩები **რაფაელ ნადალმა და როჯერ ფედერერმა**. ესპანელმა მხოლოდ რვა გეიმი დაუთმო 17 წლის ავსტრალიელ **ტანასი კოკინაკისს**. ფედერერმა კი ბრწყინვალე სტილში მოუგო პირველი ორი სეტი **ბლაჟ კავჩიჩს**, მესამეში ოდნავ მოუკლო, მაგრამ მაინც სძლია მეტოქეს ტაიბრეიკზე.

ძალიან ახლოს იყო ერთი სეტის წაგებასთან **ენდი მარეი**. ის ფრანგ **ვენსან მიიოსთან** მესამე სეტს 1:5-ს აგებდა, მაგრამ სეტბოლი მოიგერია და შემდეგ ზედიზედ 23 (!) გათამაშება თავის სასარგებლოდ დაასრულა.

## დღის მებრძოლი

ფრანგმა **ჟილ სიმონმა**, რომელიც ჯერ კიდევ შაბათს, ტრავმირებული კოჭის გამო ყავარჯნებით გადაადგილდებოდა, ავსტრალიის ღიაზე ზედიზედ მეორე ხუთსეტიანი მატჩი მოიგო. ორი დღის წინ, მან **დანიელ ბრანდსთან** 16:14 იმარჯვა მეხუთე სეტში, თანაც, იმ თამაშში ჟილმა შვიდი მატჩბოლი მოიგერია. ახლა კი 3 საათი და 53 წუთი ბრძოლის შემდეგ დაამარცხა ავსტრალიის ღიას ყოფილი ფავორიტი **მარინ ჩილიჩი** - 4:6, 7:6, 6:7, 6:1, 6:2. სიმონმა მოიგო მეორე პარტია, რომელშიც ჩილიჩი ორჯერ აწვდიდა სეტზე, მესამეში კი 0:5-დან 6:5 დაწინაურდა...

ახლა, სიმონი 1/16 ფინალში თანამემამულე **ჟო-ვილფრიდ ცონგას** შეხვდება.

## დღის ციფრი

წინადღეს, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** ავსტრალიის ღია პირველობაზე მოგებათა რიცხვი 60-მდე აიყვანა. გუშინ კი ერთგვარი იუბილე ჰქონდა როჯერ ფედერერს. სლოვენიელ ბლაჟ კავჩიჩთან მოგება 70-ე იყო შვეიცარიელისთვის „მელბურნ-პარკის" კორტებზე.

## დღის კურიოზი

დღის კურიოზიც „დიდი სლემის" ტურნირების 17-გზის გამარჯვებულს უკავშირდება. საქმე ისაა, რომ ავსტრალიის ღიას ორგანიზატორებმა ფედერერის მატჩი არა ცენტრალურ კორტზე, არამედ, მნიშვნელობით მეორე მოედანზე დანიშნეს. არადა, აქამდე, როჯერს ზედიზედ 63 მატჩი ჰქონდა ჩატარებული **როდ ლეივერის** სახელობის ცენტრალურ კორტზე.

*„ბოლოს, მეორე კორტზე ათი წლის წინ ვითამაშე*, - იხსენებს ფედერერი. - *ამიტომაც, გასახდელიდან ადრე გამოვედი, რათა მოედნამდე მისასვლელი გზა არ ამრეოდა და მატჩზე დროულად გამოვცხადებულიყავი"*.

სამაგიეროდ, დაიბნენ ფედერერის მეუღლე **მიროსლავა** და მისი გუნდის სხვა წევრები. მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ისინი როდ ლეივერის კორტზე მივიდნენ და მოგვიანებით მიხვდნენ, რომ მეორე კორტზე უნდა გადასულიყვნენ, საითკენაც გზა ნავიგატორის დახმარებით გაიკვლიეს.

*„მომეწონა აქ თამაში, რადგან ეს კორტი დიდად არ განსხვავდება როდ ლეივერის არენისგან. პუბლიკაც კარგად იქცეოდა და ატმოსფეროც სასიამოვნო იყო"*, - არ გაუწყრა ორგანიზატორებს ფედერერი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

### II წრე

**კაცები**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ტანასი კოკინაკისი (ავსტრა) 6:2, 6:4, 6:2; **გაელ მონფილსი (საფ, 25)**-ჯეკ სოკი (აშშ) 7:6(2), 7:5, 6:2; **დონალდ იანგი (აშშ)**-ანდრეას სეპი (იტა, 24) 654, 2:6, 6:3, 4:6, 7:5; **კეი ნიშიკორი (იაპ, 16)**-დუშან ლაიოვიჩი (სერ) 6:1, 6:1, 7:6(3); **მილოშ რაონიჩი (კან, 11)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 7:6(9), 6:4, 6:4; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 22)**-იენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:3, 6:3, 7:6(11); **ბენუა პერი (საფ, 27)**-ნიკ კირგიოსი (ავსტრა) 6:7(5), 6:7(5), 6:4, 6:2, 6:2; **რობერტო ბაუტისტა აგუტი (ესპ)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 5) 4:6, 6:3, 5:7, 6:4, 7:5; **ენდი მარეი (ბრიტ, 4)**-ვენსან მიიო (საფ) 6:2, 6:2, 7:5; **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 26)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:4, 7:6(6), 6:4; **სტეფან რობერი (საფ)**-მიხალ პრსიეჟნი (პოლ) 7:6(3), 6:1, 6:7(3), 6:1; **მარტინ კლიჟანი (სლოვაკ)**-ბლაჟ როლა (სლოვენ) 6:4, 6:3, 5:7, 7:6(2); **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 10)**-ტომას ბელუჩი (ბრა) 7:6(6), 6:4, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ, 18)**-მარინ ჩილიჩი (ხორ) 4:6, 7:6(3), 6:7(5), 6:1, 6:2; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 31) 7:6(1), 3:6, 2:6, 6:4, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 6)**-ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ) 6:2, 6:1, 7:6(4).

**ქალები**

**ელენა იანკოვიჩი (სერ, 8)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:2, 6:0; **კურუმი ნარა (იაპ)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ, 32) 6:4, 6:3; **ზარინა დიასი (ყაზ)**-მარინა ერაკოვიჩი (ზელ) 6:4, 6:0; **სიმონა ჰალეპი (რუმ, 11)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:4, 0:6, 6:1; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 16)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 7:6(2), 3:6, 8:6; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 20)**-სტეფანი ფოგელი (შვეიც) 6:0, 6:1; **ალიზ კორნე (საფ, 25)**-კამილა ჯორჯი (იტა) 6:3, 4:6, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 3)**-კარინ კნაპი (იტა) 6:3, 4:6, 10:8; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 5)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:0, 7:5; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 29)**-მენდი მინელა (ლუქ) 6:2, 6:2; **გარბინ მუგურუსა (ესპ)**-ანა შმიედლოვა (სლოვაკ) 6:3, 6:3; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 10)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 6:0, 1:6, 6:2; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 13)**-აილა ტომლიანოვიჩი (ხორ) 3:6, 6:2, 7:5; **ელინა სვიტოლინა (უკრ)**-ოლივია როგოვსკა (ავსტრა) 6:4, 7:5; **ივონ მოისბურგერი (ავსტრია)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ, 33) 3:6, 6:3, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:1, 6:4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# გაურკვევლობა ტესტების წინ

ფორმულა 1-ის ლიდერები აღიარებენ, რომ ტექნიკურ რეგლამენტში კარდინალური ცვლილებების გამო, არ იციან რას ელოდონ დამდეგი სეზონისგან.

იმ დროს, როცა გუნდები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მაქსიმალურად მომზადებული შეხვდნენ პირველ ოფიციალურ ტესტებს, რომელიც 28 იანვარს ხერესში დაიწყება, **ფელიპე მასამ** და **ნიკო ჰიულკენბერგმა** სრული გაურკვევლობა გამოხატეს იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოუტანს მათ ახალი სეზონი.



*„ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, - დაიჩივლა ბრაზილიელმა „უილიამსის“ ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში. - თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ყველანი ერთ ნავში ვსხედვართ. სანამ ბოლიდის საჭეს არ მივუჯდებით, შეუძლებელია იმის გაგება, რას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.*

*მაგალითად, უნდა გავერკვეთ იმაში, როგორ მოვეპყრათ აქსელერატორის სატერფულს, რადგან გაიზარდა ძრავების ბრუნვის მომენტი. და კიდევ, უნდა გავარკვიოთ, რამდენად იმოქმედებს მანქანის მართვაზე უფრო მძლავრი ენერგიის რეკუპერაციის სისტემა.*

*2014 წლის მანქანებს უფრო მცირე მოჭიდების ძალა ექნებათ, ვიდრე მათ წინამორბედებს, განსაკუთრებით, სეზონის პირველ ნახევარში. რაც შეიძლება სწრაფად უნდა შევძლოთ ამ ყველაფერთან ადაპტირება“.*

ნიკო ჰიულკენბერგმა, რომელმაც ფელიპეს მსგავსად გუნდი შეიცვალა, ივარაუდა, რომ არასოდეს ყოფილა ახალი სეზონის წინ ასეთ გაურკვევლობაში.

*„ამ მომენტში არავინ იცის, რას უნდა ველოდოთ ახალი მანქანებისგან და მთლიანად სეზონისგან, - აცხადებს გერმანელი. - არსებობს უამრავი კითხვა, რომელზეც პასუხს მხოლოდ ტრასაზე გასვლის შემდეგ შევიტყობთ. და სეზონის პირველი რბოლაც ვერ გაგვარკვევს ყველა საკითხში. უამრავი ინფორმაციის შეგროვება მოგვიწევს ჩემპიონატის მსვლელობისას.*

*არასოდეს ყოფილა ისეთი სიტუაცია, როცა პირველი წინასასეზონო ტესტების წინ, არავინ იცოდა ჩემპიონატში ძალთა მოსალოდნელი გადანაწილება.*

*ეს აბსოლუტურად უნიკალური სიტუაციაა ყველა ჩვენგანისთვის - და შანსი საკუთარი თავის საუკეთესოდ წარმოჩენისთვის. მაგრამ, ამავდროულად, იზრდება შეცდომების ალბათობაც, ამიტომაც, ყველაფრის უშეცდომოდ კეთებაა საჭირო“.*

# ფერარიმ 25 იანვარი დანიშნა



„ფერარის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მიჰბაძოს „მაკლარენს“ და 2014 წლისთვის განკუთვნილი ბოლიდი ხერესის ტესტების დაწყებამდე წარადგინოს. პრეზენტაცია 25 იანვრისთვის არის დანიშნული. საინტერესოა, რომ პირველად გუნდის ისტორიაში, ახალი მანქანის ინდექსს გულშემატკივრები აირჩევენ. კერძოდ, დღევანდელი დღიდან, ქომაგებს შეეძლებათ „ფერარის“ ოფიციალურ გვერდზე ხმა მისცენ ინდექსის ხუთიდან ერთ ვარიანტს: F14 T, F14 Maranello, F14 Scuderia, F166 Turbo, F616. ხმების რაოდენობას 24 იანვარს შეაჯამებენ, რასაც მეორე დღეს მოჰყვება ახალი მანქანის პრეზენტაცია. წარდგენა შედგება სოციალურ ქსელებსა და „ფერარის“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

ამ მომენტისთვის, ფორმულა 1-ის გუნდების პრეზენტაციათა განრიგი ასეთია:

მაკლარენი - 24 იანვარი
ფერარი - 25 იანვარი
მერსედესი, კატერჰემი - 28 იანვარი

დანარჩენი გუნდები ახალ მანქანებს სეზონისწინა პირველი ტესტების დროს წარმოადგენენ, „ლოტუსი“ კი ამას ბაჰრეინში, ტესტების მეორე სერიის წინ გააკეთებს.

# ბერნი ნიურბურგრინგს ყიდულობს

ჩვენ არაერთხელ დავწერეთ იმ ფინანსური პრობლემების შესახებ, რომელსაც ბოლო პერიოდში გერმანიის ტრასა - „ნიურბურგრინგი“ განიცდის. ერთი პირობა, გერმანიის გრანპრის ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მაგრამ **ბერნი ექლსტოუნმა** შემხვედრი ნაბიჯები გადადგა ავტოდრომის მფლობელთა მიმართულებით და 2013 წელს რბოლა გაიმართა.

მიუხედავად ამისა, ფინანსური პრობლემები დღემდე რჩება და ტრასა გასაყიდად არის გატანილი. ორი დღის წინ გახდა ცნობილი, რომ „ნიურბურგრინგის“ შეძენით თავად ბერნი ექლსტოუნია დაინტერესებული. ამის შესახებ მან გერმანულ პრესას განუცხადა.

*„ჩვენ წინადადებით მივმართეთ ტრასის მფლობელებს და ახლა, პასუხს ველოდებით. მიგვაჩნია, რომ შეგვიძლია ამ ტრასისთვის იმაზე მეტის გაკეთება, რაც აქამდე კეთდებოდა. გადაწყვეტილება უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში უნდა იქნეს მიღებული“,* - განაცხადა ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა. ამასთან, ავტოდრომის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს კომენტარისგან.



ავტოსპორტი. დაკარი 2014

# დაკარის მეფეს ორი წუთი დარჩა

რალი-რეიდ დაკარის მეათე ეტაპის შემდეგ, უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია ავტომობილების კლასში. რალის მონაწილეები კვლავაც ჩილეში, უდაბნოში, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს - მეათე ეტაპის დისტანცია იკიკესა და ანტოფაგასტას შორის გადიოდა.

ეტაპის გამარჯვებული გახდა კატარელი **ნასერ ალ-ატიია**, რომლისთვისაც ეს მეორე გამარჯვება იყო წლევანდელ დაკარზე. მაგრამ ეს არ არის მთავარი: „დაკარის მეფედ“ წოდებულმა **სტეფან პეტერანსელმა**, რომელიც მეორე მივიდა ფინიშთან, დაახლოებით 11 წუთი მოუგო საერთო ჩათვლის ლიდერს, ესპანელ **ხოან ნანი რომას**. ახლა, გენერალურ კლასიფიკაციაში რომასა და პეტერანსელს შორის სხვაობა მხოლოდ ორი წუთი და 15 წამია ესპანელის სასარგებლოდ, ასე რომ, პეტერანსელი ძალიან მიუახლოვდა კარიერაში მე-12 ტიტულს.

წარუმატებლად დასრულდა დაკარი ლეგენდარულ **კარლოს საინსისთვის**. ერთ-ერთი მონაკვეთზე ესპანელი რალისტის მანქანამ სერიოზული დაზიანება მიიღო, რის გამოც კარლოსმა დაასრულა გამოსვლა წლევანდელ ავტომარათონზე.

რაც შეეხება მოტოციკლების კლასს, აქ ბევრი არაფერი შეცვლილა. ეტაპი მოიგო ესპანელმა **ხოან ბარედა ბორტმა**, რომელმაც 11.5 წუთით აჯობა **მარკ კომას**. თუმცა ამ უკანასკნელის ლიდერობას საერთო ჩათვლაში საფრთხე არ დამუქრებია - კომა ბარედას 44 წუთს უგებს.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| აინტრახტი-შახტარი | 0:1 |
| ჰოფენჰაიმი-მიუნხენი | 3:0 |
| ლევერკუზენი-ფორტუნა | 4:0 |
| ფრაიბურგი-უნიონი | 0:5 |
| ნიურნბერგი-ლუცერნი | 2:1 |
| ვერდერი-სტიაუა | 0:0 |
| ფენერბაჰჩე-ჰანოვერი | 2:1 |
| ლაგოსი-ლოკომოტივი (მ) | 0:5 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ალფრეტონი-ტამუორტი | გადაიდო |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| ვილიარეალი-სოსიედადი | 0:1 (0:0) |
| ხეტაფე-ბარსელონა | 0:2 (0:4) |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ეშტორილი-ბელენენსეში | 1:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| კალონი-ოფი | 0:1 დ.დ. 0:2 (1:0) |
| ნიკო ვოლუ-აპოლონი | 1:0 (1:3) |
| **ირანი** | |
| დამაში-ფაჯრი | 1:3 |
| რაჰ აჰანი-სეპაჰანი | 1:1 |
| საიპა-მალავანი | 1:2 |
| ტერაქტორი-საბა ქომი | 1:1 |
| ხოზ აჰანი-ფოოლადი | 0:0 |
| ესტეგლალი-გოსტარეში | 3:1 |
| **აფრიკის თასი** | |
| **შესარჩევი** | |
| ზიმბაბვე-უგანდა | 0:0 |
| ბურკინა ფასო-მაროკო | 1:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| ატლანტა-ბრუკლინი | 81:91 |
| **ევროლიგა** | |
| ჟალგირისი-მაკაბი (თ-ა) | 78:87 |
| ოლიმპიაკოსი-ბარსელონა | 72:81 |
| გალათასარაი-ლოკომოტივი | 62:63 |
| **ხელბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| ესპანეთი-ისლანდია | 33:28 |
| მაკედონია-ავსტრია | 22:21 |
| უნგრეთი-ნორვეგია | 26:26 |
| დანია-ჩეხეთი | 33:29 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-სპარტაკი | 4:1 |
| ავტომობილისტი-დინამო (მნ) | 2:0 |
| ბარისი-ზაგრები | 1:3 |
| ტრაქტორი-ს. იულიაევი | 5:3 |
| იუგრა-დონბასი | 3:1 |
| ნეფტეხიმიკი-მეტალურგი (მ) | 3:5 |
| **ნორვეგია** | |
| რუსენბორგი-ვოლერენგა | 2:6 |
| ლორენსკოგი-სტიერნენი | 4:0 |
| ტონსბერგი-სტავანგერი | 0:8 |
| ლილეჰამერი-სტორჰამარი | 7:5 |
| სპარტა-ფრისკ ასკერი | 4:0 |
| **შვეიცარია** | |
| ლოზანა-სერვეტი | 1:2 (ო) |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ვექსიო | 3:1 |
| ბრინასი-ფერიესტადი | 2:3 (ო) |
| ლექსანდი-ჰვ 71 | 2:4 |

ამბები

ფორმულა 1

## ფეტელი მამა გახდა



მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, გერმანელი **სებასტიან ფეტელი** მამა გახდა. მისმა მეგობარმა **ჰანამ** ორი დღის წინ, შვეიცარიაში გოგონა გააჩინა.

იმის შესახებ, რომ „რედ ბულის“ პილოტი მამა გახდებოდა, ჯერ კიდევ დეკემბერში გაჩნდა ინფორმაცია. ჯერჯერობით, გერმანელი ავტომრბოლის მენეჯმენტს ოფიციალური ცნობა არ გაუვრცელებია.

სებასტიანმა და ჰანამ ერთმანეთი ფეტელის მშობლიურ ქალაქ ჰეპენჰაიმში, სკოლაში სწავლის პერიოდში გაიცნეს და უკვე შვიდი წელია, ხვდებიან ერთმანეთს.

## კიმი ფინეთში საუკეთესოა

ფინეთში გაიმართა ტრადიციული გალა-ცერემონია, რომლის დროსაც დაასახელეს 2013 წელს ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები.

ხმის მიცემის შედეგად, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ჟურნალისტები, **კიმი რაიკონენი** საუკეთესო პილოტი გახდა. შარშან, „ლოტუსის“ ბოლიდით მან მეხუთე ადგილი დაიკავა ინდივიდუალურ ჩათვლაში. კიმიმ ერთ რბოლაში გაიმარჯვა და რვაჯერ ავიდა პოდიუმზე.

თავად რაიკონენი, რომელიც „ფერარიში“ დაბრუნდა, ცერემონიას არ ესწრებოდა: ამ დღეებში ის მარანელოში იმყოფება, სადაც „ფერარის“ სარბოლო სიმულატორზე მუშაობს და შეხვედრებს მართავს ინჟინრებთან.

კრივი

## პაკიაოს სია გაიზარდა

პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი კუბელი **იურიორკის გამბოა**, რომელიც WBA-ის დროებითი ტიტულის მფლობელია მჩატე წონაში, ფილიპინელი **მენი პაკიაოს** პოტენციურ მეტოქეთა სიაში მოხვდა იმ შეხვედრისთვის, რომელიც 12 აპრილს, ლას ვეგასის MGM Grand Garden-ში უნდა გაიმართოს. პაკიაოს მრჩეველს **მაიკლ კონცს** იმედი აქვს, რომ მენის მომავალ მეტოქესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მომავალ კვირას, სამშაბათს გამოაცხადებს ფილიპინელის პრომოუტერი **ბობ არუმი**.

შეგახსენებთ, რომ პაკიაოს კიდევ ორი პოტენციური მეტოქეა მეორე ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონი **ტიმოტი ბრედლი** და და პირველ ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის საჩემპიონო ქამრის მფლობელი **რუსლან პროვოდნიკოვი**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# ბებერი ჩაიკა



გეცნობათ სპორტსმენი ჩემპიონთა თასით ხელში? ესიენიდან დაწყებული ობი მიკელამდე ყველა აფრიკული წარმოშობის ფეხბურთელი წარმოვიდგინე, მაგრამ „ჩელსის" მოთამაშეთაგან ერთსაც ვერ მივამსგავსე. უმალ გამახსენდა **თორნიკე შენგელიას** მიერ „ფეისბუკზე" დადებული ფოტო, რომელშიც იგი ლონდონის ბიგ ბენის სიმაღლეს ზომავს.



თოკოს „ბრუკლინ ნეთსი" ხომ ამჟამად ინგლისშია. ჰოდა, ჩემპიონთა თასით ხელში ბრუკლინელი კევინ გარნეტია, რომელსაც, ისევე როგორც დანარჩენ თანაგუნდელებს „ჩელსიმ" უმასპინძლა. ბრიტანელებმა NBA-ს წარმომადგენლებისთვის ექსკლუზიურად დაამზადეს მაისურები და გასახდელში შესულ კალათბურთელებს სიურპრიზად დაახვედრეს.

სტუმრებმა ფორმები კი მოირგეს, მოედანზეც გავიდნენ, მაგრამ არ ვრცელდება ინფორმაცია, ვის ეთამაშნენ და რა შედეგით დასრულდა მატჩი.

ვითომ „სტემფორდ ბრიჯზე" „ატლანტას" კალათბურთელებს დაუპირისპირდნენ? NBA-ს გლობალიზაციასთან დაკავშირებით ხომ 16 იანვარს „ბრუკლინმა" და „ატლანტამ" ლონდონში ითამაშეს. საინტერესო სანახავი კი იქნებოდა ფეხბურთი კალათბურთელთა შესრულებით...

კევინ გარნეტი საყრდენ ნახევარმცველად მეორე პატრიკ ვიეირა იქნებოდა, კაცს არ გააჭაჭანებდა საკუთარ საჯარიმოსთან...

დერონ უილიამსი ჩავისებრ გაათამაშებდა ბურთს...

ჯო ჯონსონი საჯარიმოს გარედან დაბომბავდა მეტოქის კარს...

ფლანგებიდან კი ფორვარდები თორნიკე შენგელია და ანდრეი კირილენკო შეუტევდნენ, „პრასტრელს" თუ დაკიდებულს „ხელიდან არ გაუშვებდნენ"...

არც მეკარე ბრუკ ლოპესი გაუშვებდა გოლს, ისევე იოლად ჩამოხსნიდა საფეხბურთო ბურთს, როგორც NBA-ში ფარიდან ასხლეტილ „სპალდინგს"...

მხოლოდ ერთია საკითხავი: თამაშის დალაგება „ბრუკლინს" ისევე ხომ არ გაუჭირდებოდა, როგორც ნაციონალურ ლიგაში, სეზონის დასაწყისში? ახალბედა მწვრთნელ ჯეისონ კიდს ხომ თავიდან მართლაც გაუჭირდა „ჩაიკასავით" ბებერი (ვეტერანებით სავსე) „ბრუკლინის" ამოქოქვა. თუმცა „სტემფორდ ბრიჯზეც" არაერთხელ გვინახავს მასპინძელთა მძიმე სტარტი და ბოლო წამებზე მოგებული მატჩები. იმედი დავიტოვოთ, რომ თორნიკე შენგელიას „ნეთსი" NBA-ს პლეი ოფებისთვის ისეთ სისწრაფეს აკრეფს, რომ მას ვერავინ შეაჩერებს. ევროპაში გამოფრენამდე „ნეთსმა" აკი დაამარცხა მოქმედი ჩემპიონი „მაიამი ჰიტი".

ჩვენი „ტაიმლაინისთვის" იმ შეხვედრის საფინალო ანგარიშზე უფრო საინტერესო კალათბურთელთა ფორმები იყო. ბრუკლინელებს შავი ფერის ჩვეულებრივი მაისურები ემოსათ, მაიამელებს - თეთრი. მათაც ჩვეულებრივი. უჩვეულო მხოლოდ წარწერები იყო: ნამდვილი გვარების ნაცვლად მეტსახელები ეწერათ.

ალბათ გაინტერესებთ, რას ეძახიან თორნიკე შენგელიას ამერიკაში. მართალია, მას იმ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მის მაისურას მეტსახელი მაინც ამშვენებდა - „თოკომოტივი". რეჯი ევანსს ლათინური ასოებით ეწერა - „ჯოკერი", კევინ გარნეტს Big Ticket, მირზა ტელეტოვიჩს - MT3, ბრუკ ლოპესს - Brooklyn, დერონ უილიამსს - D-Will, ანდრეი კირილენკოს რუსული ასოებით - „კირილენკო", ჯო ჯონსონს - JJ.

JJ „მაიამიშიც" იყო - ჯეიმს ჯონსი, კრის ანდერსენს „ჩიტკაცა" (Birdman)



რქმევია, ხოლო ლებრონ ჯეიმსის მეტსახელი რთული გამოსაცნობი სულაც არ არის - King James.

მეტსახელებზე წერას სიამოვნებით განვაგრძობდით, მაგრამ იმდენად საინტერესო თემაა, რომ უმჯობესია სხვა დროს ერთი „ტაიმლაინი" მთლიანად დავუთმოთ. აქ კი სხვა, ოპერატიულ თემას უნდა მივხედოთ, რომელიც ერთი კვირა ვერ მოიცდის.




## ჭამე...

ლიონელ მესიმ იმდენად მიგვაჩვია ოქროს ბურთის მოგებას, რომ 2012 წელს ფიფას დაჯილდოების ცერემონიალსაც ტრადიციული სახე მისცა და ყველაფერი, გეგმურად, მშვიდად ჩატარდა. 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელად კრიშტიანო რონალდო დასახელდა, რომელმაც ბევრი ხმაურიანი ფრაზით მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და ფიფას დაჯილდოების ცერემონიალიც ექსტრავაგანტური გამოდგა.

სხვათა შორის, მესიმაც გაამრავალფეროვნა - ყველასგან განსხვავებული, შინდისფერი კოსტიუმი ეცვა და „ეკიპირებით" ყურადღების ცენტრშიც მოხვდა. უნდა გენახათ, როგორი „შურის თვალით" უყურებდა მას ზლატან იბრაჰიმოვიჩი...



ერთ-ერთ თვალმახვილ ქართველს მესის დანახვაზე „კომედი შოუს" მეგრელი გმირი ჟიმნი მებონია გაახსენდა, რომელიც ერთთავად წითელ შარვალსა და პიჯაკს ატარებს. მესისა და ვახო ბიჭიკაშვილის ფოტოები ერთმანეთს მიაწება და მეგრულად მიაწერა - წამოდი ჩემთან ზუგდიდში, კარგი გუნდი გვყავსო.





დღეს პიჯაკი და შარვალი ელიტარულ ღონისძიებებზე ისეთივე აუცილებლობაა, როგორიც იყო საუკუნეების წინათ სამეფო წვეულებებზე თეთრი „ელასტიკი" კაცებისთვის. არ სჯობდა ფიფას დაჯილდოების ცერემონიალზე მესი „ბარსელონას" ან არგენტინის ნაკრების სპორტულებით გამოცხადებულიყო? ეტიკეტი კოსტუმს რომ არ მოითხოვდეს, იბრაჰიმოვიჩი, ალბათ, ყვითელი ეკიპირებით მივიდოდა, რონალდო - თეთრით, ჩავი - წითლით და ფიფას დაჯილდოების ცერემონიალიდან შავ-ყვითელ ფოტოებს კი არა, ფიროსმანის ნამუშევრებივით ფერადოვან სურათებს მივიღებდით.

„კომედი შოუც" ვახსენეთ, ზლატან იბრაჰიმოვიჩიც და ჩავიც. დღეისთვის საქართველოში ყველაზე პოპულარული ფრაზაა: „ჭამე ნოდარი". შვედეთშიც ასე ყოფილა: ფიფას დაჯილდოებისას იბრაჰიმოვიჩმა ნოდარის დედა გაიხსენა და დარბაზისკენ მიმავალ ჩავის კეფაში წამოარტყა. ესპანელმა გაკვირვებულმა მიიხედა უკან და იბრაჰიმოვიჩის დანახვაზე გაელიმა, იფიქრებდა - ასეთი „ვირული ხუმრობა", აბა, სხვას ვის მოაფიქრდებოდაო.







დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

# მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; *leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608